

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

# ბიზნესი კანონმდებლობა



№4 სექტემბერი-დეკემბერი 2017



№4 September-December 2017

[www.b-k.ge](http://www.b-k.ge)  
[info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge)



# Business & Law

# ბიზნესი და კანონმდებლობა

№4 სექტემბერი-  
დეკემბერი  
2017

საქართველო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი  
რეგისტრირებულია 2008 წლიდან

**WWW.B-K.GE**

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავის-  
სუფალი პრესის პრინციპებით. რედაქ-  
ციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ  
ემთხვეოდეს ავტორისას. უამრუსული  
სტატიების უინაარსზე და მონაცემთა  
სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისაღწივად:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 3.  
ტელ: 293-53-28, 599 56-14-57, 574 43-64-27  
ვებ გვერდი: [www.b-k.ge](http://www.b-k.ge)  
e-mail: [info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge), [gfaafm@gmail.com](mailto:gfaafm@gmail.com)

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;  
ბანკის კოდი: BAGAGE22;  
ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

**გამომცემელი:**

**საქართველოს აუდიტორთა, ხელშეწყობის  
და უინანსური მენეჯერთა ფედერაცია,  
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“**

**რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:**

**ზაურ ნაჭყვიაძე**

**მთავარი რედაქტორი:**

**იური პაპასუხა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი**

**პასუხისმგებელი რედაქტორი:**

**ილია ალაშვილი**

**ტექნიკური რედაქტორი:**

**ლევან ბოჭორიშვილი**

**საქვემოთ მისაღწივად:**

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:  
მიხეილ ჯიბუტი (საბჭოს თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა,  
ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური,  
ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯვალალონი, თემურ ხომერიკი,  
კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ლავთაძე,  
ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტყარაძე, დემნა კვარაცხელია,  
ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე, ზურაბ ლიპარტია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი  
ანდრეასი სილაგაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი  
ჯემალ ბახოვიძე.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
მამუკა თავაძე.

როპერტ ვ. მახვი (აშშ ფაქტევის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის  
პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი ვ. ლენსი (ნორტვესტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის  
პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიგლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერაჰი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი,  
ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბულვარული  
აღრეცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსანდრე რუფი (რუსეთის ფედერაციის ბულვარულ ექსპერტთა და  
ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ  
საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტი/ინაუდიტი ალიანსის“ გენერალური  
დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია ბრიგორი (ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,  
მოლდოვეთის ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის  
ბულვარული აღრეცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფადრიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის  
საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარპერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

# BUSINESS & LAW

№4 SEPTEMBER-  
DECEMBER  
2017

SCIENTIFIC,  
ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL  
Referenced since 2008

**WWW.B-K.GE**

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

**ADDRESS OF EDITORIAL BOARD:**

Tbilisi, Kostava str. 6.

Tel: 293-53-28, 599 56-14-57, 574 43-64-27

URL: [www.b-k.ge](http://www.b-k.ge)

e-mail: [info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge), [gfaafm@gmail.com](mailto:gfaafm@gmail.com)

**Bank details:**

JSC Bank of Georgia

Bank code: BAGAGE22

c/a GE30BG000000850902700 i/c 404956455

**PUBLISHERS:**

**THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS  
AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;  
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY  
„IVERIONI“**

**CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:**

**ZAUR NACHKEBIA**

**EDITOR - IN – CHIEF**

**IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor**

**EDITOR – IN – CHARGE**

**ILONA ADAMIA**

**TECHNICAL DIRECTOR:**

**LEVAN BOCHORISHVILI**

**EDITORIAL BOARD:**

**DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:**

Mikheil Jibuti (Chairman of the Board), Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gvatsadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze, Zurab Lipartia.

Academic of the Georgian Academy of Sciences

**AVTANDIL SILAGADZE**

Doctor of Law and Politics Sciences

**JEMAL GAKHOKIDZE**

Doctor of Pedagogical Sciences

**MAMUKA TAVKHELIDZE**

Fayetteville State University Professor

**ROBERT MCGEE (USA)**

Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

**VINCENT R. JOHNSON,**

The Graduate School, Northcentral University,  
(Prescott Valley, Arizona, USA)

**ANTONY W. DNES**

Berlin University Professor

**BERNARD ZIGLER (GERMANY)**

Bonn University Professor,

**IOHAN FISHER (GERMANY)**

Baku State University, Professor

**ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)**

**MARIE LANG,** Technical Director of EFAA

**ANNA KARMAŃSKA,** Professor, EFAA Board Member,  
Warsaw School of Economics.

**ALEXEY RUF,** Chairman of the Board of Guild of Accountant  
Experts and Financial Auditors of Russian Federation.

**LILIA GRIGOROI,** Ph. D.in Economics, Head of Accounting Department,  
Academy of Economic Sciences of Moldova.

**FEDERICO DIOMEDA,** doctor, Special Adviser to the President of EFAA.

**ROBIN JARVIS,** Professor, Special Adviser,  
Association of Chartered Certified Accountants.

## შინაარსი

<b>დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა</b> <b>ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირების</b> <b>ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციებში</b> -----	5
<b>პროფესორი ზურაბ ლიპარტია 70 წლისაა</b> -----	10
<b>გიორგი შუბლაძე</b> <b>ეკონომიკური თეორიის თანამედროვე დეფინიციის საკითხისთვის:</b> <b>„ეკონომიკის“, პოლიტიკური ეკონომია თუ ზოგადი ეკონომიკური თეორია?</b> -----	13
<b>ანზორ მესხიშვილი</b> <b>ვრთხილად, სახელმწიფო მინის ნართმავით იმუქრება!</b> -----	18
<b>დავით მელუა</b> <b>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი</b> <b>თვითმმართველი ერთეულების დაფინანსების ასპექტები</b> -----	21
<b>მაია მარტიაშვილი</b> <b>საბაზრო ღირებულების შეფასების პრაქტიკული ასპექტები</b> -----	30
<b>Ольга Гончар, Андрей Битий, Михайл Гончар.</b> <b>ЭКОНОМИЧЕСКИЙ ПОТЕНЦИАЛ ПРЕДПРИЯТИЯ И СОВРЕМЕННЫЙ РЫНОК</b> -----	35
<b>Грозный И.С.</b> <b>МЕТОДОЛОГИЯ МОДЕЛИРОВАНИЯ ДИВЕРСИФИКАЦИИ</b> <b>ВНЕШНЕЭКОНОМИЧЕСКИХ ВЗАИМОДЕЙСТВИЙ</b> -----	38
<b>Kravchenko Tatiana</b> <b>PROFESSIONAL TRAINING FOR PUBLIC ADMINISTRATION LEADERS IN UKRAINE</b> -----	40
<b>Омельчак Екатерина</b> <b>ПРАВОВЫЕ ОСНОВЫ ГОСУДАРСТВЕННОГО РЕГУЛИРОВАНИЯ РЫНКА ЗЕМЕЛЬ В УКРАИНЕ</b> ----	42
<b>Ирина Полищук</b> <b>ФАКТОРЫ ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ РАЗВИТИЕ МАРКЕТИНГОВОГО ПОТЕНЦИАЛА</b> <b>ПРЕДПРИЯТИЯ В УСЛОВИЯХ МЕЖДУНАРОДНОЙ ИНТЕГРАЦИИ</b> -----	44
<b>Sokhatska Hanna</b> <b>INNOVATION AS A DETERMINANT OF COMPETITIVENESS</b> <b>IN THE MARKET OF BUSINESS EDUCATION</b> -----	46
<b>Валентина Хачатрян</b> <b>ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКОГО</b> <b>ПОТЕНЦИАЛА В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ</b> -----	48
<b>მიხეილ ჯიბუტი</b> <b>თბილისის ურბანული კრიზისი ასახული „განვითარების“ ძრონიკებში</b> -----	50
<b>ციალა მელაძე</b> <b>სუსპენზიური ეფექტი ადმინისტრაციულ სამართალში</b> -----	79

# ბუღალტრის პროფესიული სერტიფიკაციის ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციებში

**ანოტაცია:** სტატიაში განხილულია ბუღალტრის პროფესიული სერტიფიკაციის და განგრძობითი სწავლების მოთხოვნები ახალი რეგულაციის მიხედვით. მასში აღნიშნულია, რომ პროფესიულ სერტიფიკაციას და განგრძობით სწავლებას ახორციელებს პროფესიული ორგანიზაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად. პირის პროფესიული სერტიფიკაციისათვის აუცილებელია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სრული სასერტიფიკაციო პროგრამის დაძლევა. კვალიფიკაციის შენარჩუნებისათვის კი, განგრძობითი განათლება. ამასთან, განგრძობითი განათლების პროცესში შესაძლოა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის დარგში გავლილი და ჩაბარებული საგნების ჩათვლის მიღება. განგრძობითი განათლების მისაღებად განსაზღვრულია შემომწმედადი და არაშემომწმედადი სწავლების საათების მინიმალური მოცულობა.

სტატიაში წარმოდგენილია აგრეთვე სერტიფიკაციის პროცესის შეფასება და ავტორთა მოსაზრებები მისი შემდგომი სრულყოფისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** სერტიფიკაციის ბუღალტერი, განგრძობითი განათლება, პროფესიული კომპეტენცია, სასერტიფიკაციო პროგრამა.

## FUNDAMENTAL ACCENTS OF PROFESSIONAL CERTIFICATION OF AN ACCOUNTANT IN THE NEW REGULATION

**David Jalagonia**, Professor of business and economic faculty of Sokhumi State University  
**Iuri papasqua**- Associate Professor of business and economic faculty of Sokhumi State University

### ANNOTATION

The article discusses demands of new regulation of professional certification and continued training of accountant. It discloses, that professional certification and continuous training is implemented by a professional organization accordingly to accounting standards of accountancy elaborated by Ministry of Finance of Georgia and State Audit Office of Georgia. The certification of a person requires a bachelor degree and full accomplishment of the certification program. For maintaining the qualification continuation of education is required. Therefore, during the process of continuation of education the passed subjects can be deducted. For continued education minimal amount of confirmable and unconfirmable studying hours is determined.

The article also included evaluating of certification program and author's opinions regarding it's further development.

**Keywords:** Certified accountant, Continuing education, Professional competence, Certification program.

სამენარმეო საქმიანობის ეფექტიანობას, როგორც წესი, განაპირობებს მენეჯერის მიერ შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ასეთი გადაწყვეტილებები მით უფრო პროდუქტიულია, რაც უფრო მეტადაა გააზრებული წარმოებულ პროდუქციაზე ან განეულ მომსახურებაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოსალოდნელ დანახარჯებთან (ხარჯებთან) შეფარდებით. აღნიშნული პროპორციის ოპტიმალობის დასადგენად მნიშვნელოვანია ზუსტი და დროული

ინფორმაცია. ბიზნესისთვის, ასეთი ინფორმაციის წყაროა სანარმოს ფინანსური ანგარიშგება, რომლის სახელმძღვანელოა უზრუნველყოფს აუდიტი. ინფორმაციულად დატვირთული ფინანსური ანგარიშგების შედგენას და საერთაშორისო სტანდარტებთან მის შესაბამისობის დამონმებას სჭირდება მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიული კომპეტენციის მქონე ბუღალტერი, რომელიც კარგადაა გარკვეული სამენარმეო საქმიანობის ეკონომიკურ არსში, შესწავლილი აქვს ასეთი საქმიანობის მარეგულიერებელი სამართლებრივი



**დავით ჯალაღონია**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი



**იური პაპასკუა**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი



დოკუმენტები, სისტემატურად ეცნობა მასში განხორციელებულ ცვლილებებს, სიღრმისეულად ერკვევა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მეთოდოლოგიაში და უწყვეტად იმაღლებს პროფესიულ კომპეტენციას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დირექტიული გამოყენება საქართველოს სამენარმეო სივრცეში მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. მეტი ყურადღება მას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის [1] მიღების შემდეგ ეთმობა, თუმცა ამ მხრივ, თვალსაჩინო მიღწევები ჯერ კიდევ არ ჩანს. უფრო მწირია ბუღალტრის პროფესიულ კომპეტენციაზე ორიენტაციის გამოცდილება. ეს პროცესი მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობიერება, პროფესიული კომპეტენციის ამაღლების პროცედურების კრიტიკული აღქმა და მომხმარებლისათვის დამუშავებული ინფორმაციის სწორად მიწოდება.

პროფესიული კომპეტენციის შექმნა და მათი განვითარება გამოიხატება ტექნიკურ კომპეტენციების, პროფესიულ უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადოდ სრულყოფაში [2].

**ტექნიკური კომპეტენციები** ესაა სასერტიფიკაციო საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; **პროფესიული უნარები** მოიცავს კომუნიკაბელურობის, პერსონალური და ორგანიზაციული უნარების ერთობლიობას. პროფესიული უნარების ტექნიკურ

კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიული კომპეტენცია; **პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და დამოკიდებულებების** ქვეშ მოიაზრება პროფესიული ქცევა და სხვა ისეთი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიულობას. ამასთან, მასში შედის ქცევის (ეთიკური) პრინციპები, რომლებიც არსებითად დამახასიათებელია პროფესიისთვის.

საქართველოში მიღებული ახალი რეგულაციის თანახმად, **სერტიფიცირებულ ბუღალტრად მიიჩნევა** ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს. თავის მხრივ, განგრძობითი განათლება ესაა სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების შემდგომ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შექმნილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნების და განვითარების პროცესი.

როგორც წესი, პროფესიული კომპეტენციის ჩამოყალიბება იწყება საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დანესებულების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში. ამ დონეზე საბუღალტრო აღრიცხვის

დარგში მიღებული ცოდნის შემდგომი გაღრმავება-განვითარებისათვის აუცილებელია პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება. თავის მხრივ, პროფესიული სერტიფიცირებისათვის საჭიროა პირის მიერ სრული სასერტიფიკაციო პროგრამის დაძლევა. სასერტიფიკაციო პროგრამა, ესაა პროფესიული სერტიფიცირებისათვის განსაზღვრული სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგი სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტებით, სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მანიფესტაციის მიზანმიმართული პირის შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ღონისძიებები. სრული სასერტიფიკაციო პროგრამა მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსებს და სასერტიფიკაციო გამოცდებს.

საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილებიდან და ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიჩნეულია არსებობდეს მარეგულირებელი ორგანო, რომელსაც შეეძლება პირი აღიაროს სერტიფიცირებულ ბუღალტრად. საქართველოში ასეთი ორგანოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. სწორედ, აღნიშნული ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია შეიმუშაოს პირის სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებისათვის და კვალიფიკაციის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტები.

ინვესტორებისათვის ბიზნესინფორმაციის ხელმისაწვდომობის და აღქმადობის ხარისხის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული სტანდარტები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივების და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (**International Federation of Accountants-IFAC**) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (**illuminating engineering society-IES**) მოთხოვნებს. ამ მიმართულებით შესაბამისი რეგულაციების მიღება საქართველოში მიმდინარეობს ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნათა დაცვით და პროცესები სწორი გზით ვითარდება. სწორედ, ამ პროცესის ფარგლებში მუშავდება პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, რომელშიც ნარმოდგენილია:

- პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი;
- საგამოცდო პროცესის ნარმართვის წესი;
- საგნების ჩათვლის და გამოცდებისაგან გათავისუფლების წესი;
- პროფესიული სერტიფიცირებისათვის ნარსადგენ დოკუმენტთა წუსხა;
- სერტიფიკატის გაცემის წესი.

განგრძობითი განათლების სტანდარტიც, რომელიც უკვე მიღებულია და მოქმედებაშია, აგრეთვე შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებს და განსაზღვრავს: განგრძობითი განათლების პროგრამას, მისი განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს. მასში ნარმოდგენილია განგრძობითი განათლების ფორმები,

შეფასების კრიტერიუმები, სწავლის შედეგების დადასტურებისა და განგრძობითი განათლების მოთხოვნის ჩათვლის მექანიზმი.

ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად, სერტიფიცირების პროცესს ნარმართავს პროფესიული ორგანიზაცია და სერტიფიცირების პროგრამის დაძლევის შემთხვევაში მაძიებელ პირებზე გასცემს სერტიფიკატს. პროფესიული ორგანიზაციებს, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში, შეეშუშავებული უნდა ჰქონდეთ შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრის განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებულ ბუღალტრს ეძლევა საშუალება განგრძობითი განათლების მიღების მიზნით ჩაერთოს სხვა პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი განათლების პროგრამაში.

უწყვეტი განგრძობითი განათლების მიღების ფარგლებში, სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის განსაზღვრულია ყოველწლიური შემოწმებადი და არაშემოწმებადი სწავლების საათების მინიმალური მოცულობა.

გამჭვირვალობისა და ხელოვნური ჩარევისაგან თავის არიდების მიზნით, ერთმანეთისაგან გამიჯნულია პირის პროფესიული სერტიფიცირებისათვის აღიარებული სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანო და სერტიფიცირებისთვის უფლებამოსილი პროფესიული ორგანიზაცია. სერტიფიცირების მთელ პროცესზე კონტროლის ფუნქცია და საბოლოო პასუხისმგებლობა დაკისრებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურზე.

ვფიქრობთ, რომ ასეთი იერარქიული და გამჭოლი სისტემა უზრუნველყოფს ბუღალტრების სერტიფიცირებისა და განგრძობითი სწავლების ხარისხის ამაღლებას, შესაბამისად, მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა, ერთი მხრივ, ზრდის პირის მიერ პროფესიული კვალიფიკაციის შენარჩუნებისა და განვითარების მოტივაციას, მეორე მხრივ კი, პროფესიული ორგანიზაციის უქმნის წინაპირობას ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში განგრძობითი განათლების მიღების მსურველს მიაწოდოს შედეგზე ორიენტირებული განგრძობითი განათლების პროგრამა.

ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ამ მიზნით, პროფესიულმა ორგანიზაციებმა ბაზრის კვლევასთან ერთად, სალექციო კურსის ბოლოს, მიწოდებული ინფორმაციის ხარისხთან დაკავშირებით, ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით მსმენელებისაგან უნდა მიიღონ შეფასება (მათ შორის სილაბუსის და ლექტორის შესახებ) და აღნიშნული გამოკითხვის შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი პროგრამების შედგენის პროცესში. ასევე სასურველია, რომ ახალი პროგრამების შედგენისას განგრძობითი განათლების პროგრამაში სიახლეები უნდა აისახოს შემდეგი თანმიმდევრობით [3]:

- პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კო-

დექსი (IESBA Code);

- ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC);
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტები;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები;
- საგადასახადო, ბიზნეს კანონმდებლობა და სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

სერტიფიცირებული, ანუ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე დიპლომირებული ბუღალტერი წარმოადგენს უმაღლესი კომპეტენციის მქონე პირს ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსების დარგში. სერტიფიცირებული ბუღალტერი არის აუდიტორი, თუმცა მას, გარდა სერტიფიკატის ფლობისა, მოეთხოვება ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრობა, დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრაციის გავლა აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში, განგრძობითი სწავლების პროგრამაში ჩართვა, პროფესიული კვალიფიკაციის პერიოდული დადასტურება და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ეძლევა უფლებამოსილება განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), მათ შორის, ინდივიდუალურად. პროფესიულ ორგანიზაციაში წევრობის, სერტიფიცირების პროცესის გავლის და რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, დიპლომირებულ ბაკალავრს არა აქვს უფლება ეწეოდეს პროფესიულ აუდიტორულ პრაქტიკულ საქმიანობას. ეს, ერთი შეხედვით, მკაცრი პირობაა პროფესიული კარიერისთვის, მაგრამ აუდიტორის მიმართ დაკისრებული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის, მოთხოვნილი მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიის პრესტიჟულობის გათვალისწინებით, სავსებით მისაღები და სამართლიანი მიდგომაა. მთავარი ანრიგითი ბუღალტრის კარიერული წინსვლისთვის კი, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ მკაცრ პირობებს, როგორც აუდიტორისთვისაა განსაზღვრული, თუმცა, ამასთან, საერთაშორისო სტანდარტებით, სამენარმეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის საჭირო კომპეტენცია და პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, წარმოშობს ბუღალტრების პროფესიული კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების გამკაცრებას და კვალიფიკაციის მიხედვით მათ რანჟირების აუცილებლობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომირებული ბუღალტერი (**CPA-Certified Public Accountant**) იგივეა, რაც სერთიფიცირებული აუდიტორი ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვის დარგში. მრავალ ინგლისურენოვან ქვეყნაში სწორედ, **CPA-ის** კვალიფიკაცია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსების დარგში ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად. ამის დასტურია ფაქტი, რომ

აშშ-ში მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომირებული ბუღალტრის ლიცენზიის მქონე პირს აქვს უფლება ეწეოდეს ბიზნესსუბიექტების საბუღალტრო, საგადასახადო და ფინანსურ მომსახურებას. შესაბამისი ლიცენზიები გაიცემა შტატის ადმინისტრაციის მიერ. ამასთან, კანონით არა არის აკრძალული კონკრეტულ შტატში გაიცემული ლიცენზიის მქონე პირმა, „მობილობის“ წესით, აღნიშნული მომსახურება განიოს სხვა შტატშიც. ცალკეულ შტატებში ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნის განსხვავებულობის მიუხედავად, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პირმა:

- ჩააბაროს ერთიანი გამოცდა (**Uniform Certified Public Accountant Examination**);
- ჰქონდეს უმაღლესი პროფესიული განათლება (მინიმუმ 150 სასწავლო კრედიტი, რომელიც მიახლოებით მაგისტრატურის ხარისხს უთანაბრდება);
- ჰქონდეს მუშაობის სტაჟი სპეციალობით. ცალკეულ შტატებში, განსხვავებული ვადის მიუხედავად, ის 1 წელზე ნაკლები არ შეიძლება იყოს.

როგორც ჩანს, აშშ-ში უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომირებული ბუღალტრის სტატუსის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს უმაღლესი პროფესიული განათლების მიღება, რომელიც სასწავლო კრედიტის მოცულობიდან გამომდინარე უთანაბრდება მაგისტრატურის ხარისხს. ერთიანი გამოცდა შედგება 4 ნაწილისაგან და მოიცავს შემდეგ საგნებს: აუდიტი; ფინანსური აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება; გადასახადები და სამართალი; საქმიანი გარემო. ცალკეული საგნის ჩაბარების დრო გრძელდება დაახლოებით 3-4 საათი და შედგება ტესტებისაგან და ამოცანებისაგან, რომელთა ამანახსნების დასაბუთებაც ხდება წერილობითი ფორმით. საქართველოში, პროფესიული სერტიფიცირების მიზნებისათვის გათვალისწინებულია, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაიშვას პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლების<sup>1</sup> ბაკალავრის დიპლომი და გაიარა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული პროფესიული ორგანიზაციის სასერტიფიკაციო პროგრამა, რომელიც მოიცავს სულ მცირე 4 სასწავლო კურსს და შესაბამის, სულ მცირე 4 გამოცდას, შემდეგი თანმიმდევრობით: „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ - ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; „აუდიტი“ - აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება და პროფესიული უნარები, პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა, ეთიკური პრინციპები, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართ ვალდებულება, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; „ბიზნესის მართვა და რისკი“ - კორპორაციული მართვა, რისკის მართვა და შიდა კონტროლი, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; „ბიზნეს სამართალი და საგადასახადო დაბეგვრა“ - ბიზნეს და საგადასახადო კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე.

<sup>1</sup> უმაღლესი განათლება მოიცავს ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიურ ან მათთან გათანაბრებულ ხარისხს.



ამასთან ერთად, პროფესიული სერტიფიცირებისათვის აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში პირს გავლილი ან ჩათვლილი ჰქონდეს სასწავლო კურსი/საგანი სულ მცირე კომპეტენციის საშუალო დონეზე შემდეგ საგნებში [2]:

- ა) ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება;
- ბ) მმართველობითი აღრიცხვა;
- გ) აუდიტი და მარნმუნებელი მომსახურება;
- დ) კორპორაციული მართვა, რისკების მართვა და შიდა კონტროლი;
- ე) სამენარმეო და ორგანიზაციული გარემო;
- ვ) ბიზნესის სტრატეგია და მართვა;
- ზ) პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა;
- თ) ეთიკური პრინციპები;
- ი) საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება;
- კ) ფინანსური ანალიზი.

გარდა ჩამოთვლილი კურსის/საგნისა, პირის პროფესიული სერტიფიცირებისთვის აუცილებელია პროფესიული კომპეტენციის გამოცდაზე შესამონმებელი სასწავლო დისციპლინები. მათ შორის:

- ა) ბიზნეს სამართალი;
- ბ) საგადასახადო დაბეგვრა;
- გ) ფინანსები და ფინანსური მართვა;
- დ) ეკონომიქსი;
- ე) ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ვ) მათემატიკა;
- ზ) სტატისტიკა.

ასევე, პროფესიული კომპეტენციის გამოცდაზე შესამონმებელი სხვა კომპეტენციის ისეთი სფეროები, როგორცაა:

- ა) ინტელექტუალური უნარები;
- ბ) პიროვნებათაშორისი ურთიერთობისა და კომუნიკაბელურობის უნარები;
- გ) პიროვნული უნარები;
- დ) ორგანიზაციული უნარები.

სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელ პირს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და ჩაბარებული აქვს საგნები: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, მენეჯმენტი, ფინანსები, ასევე, საგნები ეკონომიკის დარგში, უფლება აქვს ჩააბაროს პროფესიული ორგანიზაციის სასერტიფიკაციო პროგრამის შესაბამისი საგნის/კურსის გამოცდა სასერტიფიკაციო პროგრამაზე სწავლის პროცესში ჩართვის გარეშე. სასერტიფიკაციო გამოცდები არის სერტიფიცირების საბოლოო ეტაპი და წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კანდიდატს ენიჭება სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი.

საქართველოში, განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, სადაც გამოცდა მთლიანად კომპიუტერიზირებულია და, შესაბამისად, გამოცდას წერილობითი ფორმის (ქალაქის) გამოყენებას, ნებადართულია როგორც წერილი, ასევე გამოცდის

კომპიუტერული ფორმატიც. სასერტიფიკაციო გამოცდები საქართველოში შეიძლება ჩატარდეს წელიწადში სულ ცოტა ორ - ზამთრის და ზაფხულის საგამოცდო სესიებად. აშშ-ში კი გამოცდის ჩასაბარებლად წელიწადში გამოყოფილია 4 სატესტო პერიოდი (საგამოცდო სესია): იანვარი-თებერვალი; აპრილი-მაისი; ივლისი-აგვისტო; ოქტომბერი-ნოემბერი. გამოცდები ტარდება მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე. ამასთან, ყოველი გამოცდა ცალკე აღებულ ერთ სატესტო პერიოდში ბარდება მხოლოდ ერთხელ. რაც ნიშნავს იმას, რომ კანდიდატს<sup>1</sup> ერთი და იმავე სატესტო პერიოდში, ერთიდაიგივე გამოცდის მეორეჯერ გადაბარების უფლება არა აქვს. ყველა გამოცდის ჩასაბარებლად კანდიდატს ეძლევა 18 თვე. აღნიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში, კანდიდატი ვალდებულია ადრე ჩაბარებული საგნები თავიდან გადააბაროს<sup>2</sup>. საქართველოს რეალობაში კი მკვიდრდება პრაქტიკა, როდესაც კანდიდატს ცალკეული გამოცდის შედეგი უნარჩუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დანარჩენ ყველა გამოცდას ჩააბარებს პირველად ჩაბარებული გამოცდის შედეგების ხელმისაწვდომობის დღიდან 5 წლის განმავლობაში. ე.ი. კანდიდატს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მოსაპოვებლად ეძლევა მეტი დრო და შესაძლებლობა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ კანდიდატისთვის მინიჭებული აღნიშნული უპირატესობა ინვესტს ჩაბარებული მასალის მოძველებას და, შესაბამისად, მისი პროფესიული კომპეტენციის ჩამორჩენას დროში.

პირის პროფესიული სერტიფიცირების, მიღებული ცოდნის შენარჩუნების და ბუღალტრის კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტების საფუძველზე ჩვენს მიერ წარმოდგენილი ალგორითმი, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროცესს და უზრუნველყოფს დარგში სტაბილურობის შენარჩუნებას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; 24 ივნისი 2016;
2. პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი;
3. განგრძობითი განათლების სტანდარტი;
4. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის,“ მუხლი 28, კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, და კორპორაციული მმართველობა.

<sup>1</sup> სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელი;

<sup>2</sup> <https://ru.wikipedia.org/wiki/>

## პროფესორი ზურაბ ლიპარტია 70 წლისაა

ღვანოსილ მეცნიერს ზურაბ შალვას ძე ლიპარტიას 70 წელი შეუსრულდა. ისტორიისთვის 70 წელი ერთი წამიც არაა, ადამიანის ბიოგრაფიისთვის კი ჭარმაგობის პერიოდია, სიბრძნითა და გამოცდილებით დახუნძული. ნიჭიერებამ და თავდაუზოგავმა შრომამ მას სამეცნიერო ტიტულები და ნოდებები უხვად არგუნა, 70 წლის იუბილეს ხელდამშვენებული ხვდება: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საპატიო წევრი, საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

ზურაბ ლიპარტია დაიბადა 1947 წლის 5 აგვისტოს სოფელ რუხში (ზუგდიდის რ.); ზურმუხტოვანი სამეგრელოს სანახებში გაატარა ბავშვობა. ნიჭიერმა ყმაწვილმა 1964 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა დიდი-ჯიხაიშის (სამტრედიის რ.) ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საცდელ ტექნიკუმში გააგრძელა; 1966 წელს მას ბუღალტერ-მეგობრის კვალიფიკაცია მიენიჭა და წარჩინების დიპლომით ხელდამშვენებული შეუდგა შრომით საქმიანობას. მოგვიანებით, უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლას მონყურებული ახალგაზრდა ქ. ლენინგრადში – „ჩრდილოეთის დედა-ქალაქში“ (ამჟამად ქ. სანკტ-პეტერბურგი) გაემგზავრა, სადაც 1972 წელს წარმატებით დაამთავრა სატყეო-ტექნიკური აკადემია და ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია მიენიჭა. 1972-73 წლებში იგი ქ. ლენინგრადის საკავშირო ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო ინსტიტუტის მართვის ლაბორატორიის უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობს; ამავე დროიდანა ხდება ეკონომიკის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელიც.

ზურაბ ლიპარტიას 1973-1987 წლებში საპასუხისმგებლო საქმე დააკისრეს: \_ დაინიშნა საქართველოში მთავარი „ენგურჰესმშენის“ სამრეწველო საწარმოთა გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილედ ეკონომიკურ დარგში. შრომისმოყვარე პროფესიონალმა თავდადებული და უნაკლო მუშაობით დაიმსახურა სამთავრობო ჯილდოები, მის წარმატებულ საქმიანობაზე წერდნენ მაშინდელ პრესაში (შ. კაპანაძის წიგნი - „ძლეული მთები“, თბ., 1978).

ზურაბ ლიპარტია თავისი მაღალი კვალიფიკაციისა და საუკეთესო ეკონომისტის გამოცდილებით სასურველი კადრია ყველა უმაღლესი სასაწავ-ლებლისთვის; 1987 წლის სექტემბრის თვიდან დღემდე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის (1989), ამჟამად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით აგრძელებს, სადაც განვლო არცთუ ია-ვარდით მოფენილი გზა მეცნიერი მუშაკიდან სრუ-



ლი პროფესორის აკადემიურ თანამდებობამდე; იგი ქ. სოხუმში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფუნქციონირების პერიოდში, 1989-1993 წლებში ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის პირველ მოადგილედ გვევლინება.

1992-1993 წლებში მშობლიურ აფხაზეთში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სოხუმის უნივერსიტეტის კოლეგა-მეგობრებთან ერთად, ზურაბ ლიპარტია მთელი ძალისხმევით მონაწილეობდა ქ. სოხუმის დაცვაში; თუმცა, სავალალოდ, განვი-თარებული მოვლენების გამო, ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი, იძულებული გახდა, რომ აფხაზეთიდან წამოსულიყო. ზურაბ ლიპარტიას, ოჯახთან ერთად, ბოლომდე არ დაუკარგავს იმედიანი შემართება და სოხუმში არ დაუტოვებია. თავის მეუღლესთან, ქალბატონ გალინასთან (ქ. სოხუმის მე-15 საშუალო სკოლის პედაგოგი) და ვაჟიშვილ ლევანთან (იმჟამად, სოხუმის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი) ერთად მრავალდღიანი ტყვეობიდან თავის დაღწევა და ოკუპირებული ტერიტორიიდან გამოსვლა მეგობრებისა და ისევ აფხაზი მეზობლების დახმარებით მოახერხა.

ძლიერ ადამიანებს ვერანაირი განსაცდელი ერთხელ აღებული სწორი გეზიდან ვერ გადააცდენს. ზურაბ ლიპარტიამ უძიმეს წლებში უერთგულად მეცნიერებას: \_ საკანდიდატო დისერტაცია 1993 წელსვე დაიცვა ქ. სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკისა და ფინანსების სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე: „საქართველოს აგროსამრეწველო სექტორში იჯარული ურთიერთობების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“. საქართველოს აგროსამრეწველო

კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილები-სა და მენარმეობის განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების ინტერპრეტაციები, აგროსამრეწველო ფირმის (სანარმოს) მართვის ეროვნული მოდელის შექმნის, მისი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროგნოზირების ორიგინალური მეთოდოლოგიის ასპექტები აისახა მის სადოქტორო დისერტაციაში თემაზე: „აგროსამრეწველო კომპლექსის სანარმოთა საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა“, რომელიც წარმატებით დაიცვა ქ.სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკისა და ფინანსების სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებულ სადოქტორო დისერტაციების საბჭოზე 1999 წლის ოქტომბერში. რუსეთის უმაღლესი საატესტაციო კომისიის 2000 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით, ბატონ ზურაბ ლიპარტიას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

ნიჭიერ მეცნიერს სამშობლოშიც შესაბამისი პატივი მიაგეს და ბატონი ზურაბი 2000 წლის დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის „ბუღალტრული აღრიცხვა, ანალიზი და კონტროლის“ კათედრის პროფესორად აირჩიეს; იგი 2002-2004 წლებში ამავე ფაკულტეტის მეთოდურ საბჭოს ხელმძღვანელობდა; 2005-2006 წლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „ბუღალტრული აღრიცხვის, კონტროლისა და აუდიტის“ საგანმანათლებლო პროგრამას (კათედრას) უძღვებოდა. 2009 წლიდან დღემდე არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულების პროფესორი. ბატონი ზურაბი 2013 - 2015 წლებში ამავე ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი იყო.

ზურაბ ლიპარტია სხვადასხვა დროს, აქტიურად ითავსებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში; 1998 წლიდან დღემდე სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე მონვეული პროფესორის თანამდებობა აქვს, არის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის“ ხელმძღვანელი. ასევე 2000-2007 წლებში მას პროფესორის თანამდებობა ჰქონდა საქართველოს საბაჟო აკადემიაში. იგი 1997-2002 წლებში სოხუმის საერო მენეჯერების ინსტიტუტში (რექტორი პროფესორი გივი კილასონია) ეკონომიკის კათედრას ხელმძღვანელობდა და აფხაზეთიდან დევნილი არაერთი ახალგაზრდა აზიარა მენეჯერის პროფესიას.

ახლის განუყვეტელი ძიების სურვილით ანთებული მეცნიერი, სრული პროფესორი ზურაბ ლიპარტია 2007 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ივლისამდე პარალელურად ახალციხის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტში (ამჟამად სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ხელმძღვანელობდა „აღრიცხვა, კონტროლისა და აუდიტის მენეჯმენტის“ სამაგისტრო და „საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის“

საბაკალავრო პროგრამებს. 2008-2010 წლებში იგი ახალციხის ინსტიტუტის პირველი აკადემიური საბჭოს წევრად აირჩიეს.

ბატონი ზურაბი, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, აქტიურ სამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა. მას 1997-2008 წლებში მოპოვებული აქვს „აუდიტისა“ და „პროფესიონალი ბუღალტრის“ - საერთაშორისო სერტიფიკატები; პრაქტიკულად მონაწილეობდა საქართველოს ბაფ-ის მიერ ორგანიზებულ პროფესი-ონალ ბუღალტერთა გადამზადებასა და სერტიფიცირებაში, ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმების განსახორციელებლად. მან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ასობით ფინანსისტი და ეკონომისტი, მათ შორის, მრავალი აფხაზეთიდან დევნილი პროფესიონალი აზიარა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტან-დარტებს“ (ბასს-ი).

აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ზურაბ ლიპარტია სამეცნიერო საქმიანობას რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ეწევა: იგი აანალიზებს საქართველოს რეგიონების თანამდროვე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მათი განვითარების სამომავლო გზებს (პრიორიტეტების) იკვლევს; ქმნის სასწავლო მეთოდურ-პრაგმატულ ლიტერატურას ეროვნული აღრიცხვა-ანგარიშიანობისა და აუდიტის (კონტროლის) სისტემის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციებისა და მათი საქართველოს სამეურნეო-სამეწარმეო პრაქტიკული დამკვიდრებისათვის; მუშაობს კორპორაციის (სანარმოს) ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის სტრატეგიული პრიორიტეტების ფორმირებაზე და შესაბამისი მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოების გამოცემაზე.

ზურაბ ლიპარტია არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი რამდენიმე სადისერტაციო საბჭოს წევრი; მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით მომზადდა 10 სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად და წარმატებით შედგა დაცვაც; მათ შორის აღსანიშნავია: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის აკადემიური დოქტორები: ლავრენტი ჭუმბურიძე და ნანა მაისურაძე; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში - 8 დოქტორი, აქედან: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ელისო ლანჩავა; ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიზნობრივი პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორები: ნანა ჯღარკავა, მაია გელაშვილი და როინ თათეშვილი. ასევე, ბატონი ზურაბის რეცენზირებით შესრულდა 21 სადოქტორო დისერტაცია; მისი ხელმძღვანელობით სამაგისტრო პროგრამების ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობების: ფინანსებისა და აღრიცხვა-აუდიტის მენეჯმენტის მიმართულებით მომზადდა 43 მაგისტრი (მათ შორის: სსუ-ში-18, სტუ-ში-12, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 13), რომლებიც შემდგომში საქართველოს სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო და საკონტროლო სფეროებში დასაქმდნენ.

2002-2007 სასწავლო წლებში ზურაბ ლიპარტიას აფხაზეთის ა/რ მეცნიერთა აკადემიასთან არსებული შპს უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დანესებულების („აესა“-ს) დირექტორი იყო; ამ პერიოდში აესა-მ 100-მდე კვალიფიცირებული ეკონომისტი და იურისტი მოამზადა.

პროფესორ ზურაბ ლიპარტიას ოცდაათწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა მუდამ გამოირჩეოდა ნაყოფიერებით; მეცნიერმა სხვადასხვა დროს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა მშობლიურ და რუსულ ენებზე, მათ შორის: 6 მონოგრაფია, 12 სახელმძღვანელო (7 თანაავტორობით); მათი დიდი ნაწილი ინტერნეტის ვებ გვერდზეა განთავსებული და სტუდენტ-ახალგაზრდობას მაღალი პროფესიული განათლებისა და პრაქტიკული ცოდნის უნარ-ჩვევების გამოუმუშავებაში შეუფასებელ სამსახურს უწევს. ამ ნაშრომების სახელწოდებების გაცნობაც კი შთაბეჭდავ წარმოდგენას გვიქმნის ბატონი ზურაბის მოღვაწეობაზე, კერძოდ: „ფირმის ეკონომიკა და ბიზნეს-გეგმა“ (1995), „აუდიტის საფუძვლები“ (1997), „სტრატეგიული დაგეგმვა“ (1998), „სტატისტიკა“ 2 ნიგნად (2001, 2009 წწ.), „მიკროეკონომიკა“ (2004), „ეკონომიკური ანალიზი“ 2 ნიგნად (2003, 2007 წწ.), „ფინანსური მენეჯმენტი“ (2006), „კორპორაციული ფინანსების მართვა“ (2009), „საბუღალტრო საქმე“ ტ. 1 (2008, 2010, 2013), „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი“ (2011), „ფინანსური კონტროლი“ (2012), „კორპორაციული ფინანსები“ (2012, 2013 წწ.), „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“ (2017) და სხვ.

პროფესორ ზურაბ ლიპარტიას სამეცნიერო რედაქტორობით გამოცემულია 20-ზე მეტი სახელმძღვანელო და სასწავლო-პრაქტიკული მასალა: კ. ლურწკაიას რედაქტორობით თარგმნილი პ. სამუელსონის „ეკონომიკა“ 4 ტომად (1998); თ. გოლეთიანის „საწარმოს ეკონომიკის პრაქტიკა“ (2002); გ. თოდუას „ბუღალტრული აღრიცხვის თეორია, ბასს-ით“ (2004); ბ. ბინაძის „კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები“ (2006); ნ. ძიმცვიშვილის „ფინანსური ანგარიშგება“ (2007); გ. ცაავას „რისკოლოგია“ (2006); თ. გელაშვილი, ც. ზარანდია „ფინანსური ანგარიშგების აუდიტი“ (2007); თ. გელაშვილი, გ. ბუცხრიკიძე „მინის მარკეტინგი“ (2007); ტ. კიკვაძის „შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში“ (2008); გ. ფოფხაძის „ფინანსური მენეჯმენტი“ (2010); ე. კაკულია „ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა“ (2010); თ. გელაშვილი, კ. ხუციშვილი „აუდიტის საფუძვლები“ (2010); რ. თათეშვილი „საგადა-სახადო საქმე“ (2011); ლ. ჭუმბურიძე „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება“ (2014); ლ. ელიავა „საქართველოს თანამედროვე ფინანსური გამოწვევები“ (2015); ნ. მაისურაძე „კორპორაციის სტრატეგიული მართვის სრულყოფის მექანიზმი საქართველოს სამთო მომპოვებელი კომპანიების „MGR“-ის მაგალითზე“ (2016); ცაავა, ა. სიჭინავა, ხანთაძე გ. „კორპორაციული ფინანსები“ (2017) და სხვა.

პროფესორი ზ. ლიპარტია არის მრავალი სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტი: ი. მესხია, დ. ჯალაღონია „ბუღალტრული აღრიცხვა ბასს-ით“ (2006); გ. ცაავა „საბანკო საქმე“ (2005); ე. ბა-

რათაშვილი „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ (2007); ბ. ბინაძე „კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები“ (2009); ი. მესხია „საერთაშორისო ფინანსები“ (2012); დ. ჯალაღონია „ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით.“ ნაწილი 1. (2011); ნ. ძიმცვიშვილი, გ. ბაქრაძე „მმართველობითი აღრიცხვა (ფინანსური ინფორმაცია მმართველების-თვის)“ 2012 და სხვა.

ზურაბ ლიპარტია რამდენიმე სარედაქციო კოლეგიის წევრია: სამეცნიერო შრომების კრებულის (აფხაზეთის ეროვნულ მეცნიერებათა და სსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს წევრი); საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალების: „ეკონომიკა“ (მთავარი რედაქტორი პროფესორი რევაზ შენგელია); „სოციალური ეკონომიკა-XXI საუკუნის პრობლემები“ (მთავარი რედაქტორი პროფესორი ვახტანგ დათაშვილი); „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე); „გადასახადები“ (მთავარი რედაქტორი პროფესორი დავით ჯალაღონია).

პროფესორი ზურაბ ლიპარტია არჩეულია საზოგადოებრივი აკადემიების „ფაზისის“ (პრეზიდენტი აკადემიკოსი ნუგზარ ნადარია) და საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის „ქალღეას“ (პრეზიდენტი პოეტ-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი) აკადემიკოსად და ვიცე-პრეზიდენტად. არის საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი და მშობლიური სოფელ რუხის (ზუგდიდის რაიონი) საპატიო მოქალაქე. ბატონი ზურაბი სათავადაზნაურო გვარის „ლიპარტია-ლიპარტიანის“ საზოგადოების პრეზიდენტია.

ზურაბ ლიპარტია იუბილარია! ბარაქიანია მისი შემოდგომა; მუხლჩაუხრელ შრომასა და შემოქმედებით ნვაში გაღებული 70 წელიწადი, თუმცა დასახული მიზნების მიღწევა ჯერაც მრავალგზის თეთრად გათენებულ ღამესა და შეუწონავ ღვწლს მოითხოვს. ამისთვის ამაგდარი მეცნიერი არ ზოგავს ნიჭსა და ენერჯიას.

ბატონი ზურაბი ბედნიერი ადამიანია: ჰყავს დიდებული მეუღლე, გამრჯე შვილები და მომავლის იმედს თვალმახარა შვილიშვილები უფროთანებენ. საკუთარ შრომასა და თავდადებას მამულიშვილურ ასპარეზზე, ეს მოკრძალებული ადამიანი, ქვეყნის აღმშენებლობაში შეტანილ მცირე წვლილს უწოდებს მხოლოდ.

ჟურნალი „**ბიზნესი და კანონმდებლობა**“ და **აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობა** ვულოცავთ ბატონ ზურაბ ლიპარტიას - ადამიანს, მეცნიერს, სახელოვან პედაგოგს ღირსეულ იუბილეს, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო ასპარეზზე, გამარჯვებებს ქვეყნის გაერთიანებისთვის, ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის ბრძოლაში, - ბრძოლაში, რომლის სანუკვარი შედეგი აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებაა.

**საქართველოს ეკონომიკურ  
მეცნიერებათა აკადემია,  
ჟურნალ „ბიზნესი და  
კანონმდებლობის“ რედაქციის,  
აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ  
მენეჯერთა ფედერაციის გამგეობა.**

# ეკონომიკური თეორიის თანამედროვე დეფინიციის საკითხისთვის: „ეკონომიკა“, პოლიტიკური ეკონომია თუ ზოგადი ეკონომიკური თეორია?

გლობალიზაციამ XXI საუკუნეში კაცობრიობის ნინაშე დააყენა ეკონომიკური პრობლემების ახლებურად გაანალიზებისა და გადაწყვეტის საკითხი. ეს მოითხოვს ეკონომიკაში მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ჯეროვან მეცნიერულ ანალიზსა და განზოგადობას გლობალიზაციის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტი როლი აკისრია ეკონომიკურ თეორიას, რომელიც როგორც მეცნიერება ჩამოყალიბებას იწყებს XVI საუკუნიდან და დაახლოებით XX საუკუნის დასასრულამდე ცნობილი იყო პოლიტიკური ეკონომიის სახელწოდებით. იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა ერთადერთ ეკონომიკურ მეცნიერებას.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური თეორიის არსისა და როლის სწორი გარკვევისათვის, ჩვენ აზრით, აუცილებელია პირველ რიგში ეკონომიკური თეორიის მართებული მეცნიერული დეფინიცია.<sup>1</sup>

საქმე ის არის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მიღწეული ბოლო დრომდე ერთიანი შეხედულება ეკონომიკურ ლიტერატურაში. ჯერ ერთი, XX საუკუნის 90-იან წლებამდე ჩვენთან ეკონომიკური აზრის უკანასკნელ მიღწევად მიჩნეული იყო მარქსიზმ-ლენინიზმი, რომლის მიხედვით პოლიტიკური ეკონომია (მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი) წარმოადგენდა პარტიულ, კლასობრივ მეცნიერებას. ამასთანავე დასავლეთელი ეკონომისტების (პირველ რიგში, ამერიკელების) შეხედულებას აღიარებდნენ როგორც ბურჟუაზიულ თეორიას, რომელიც ეწეოდა იქარსებული ეკონომიკური სისტემის აპოლოგეტიკას. პოლიტიკური ეკონომიის მეტისმეტი იდეოლოგიზაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის, საქართველოს რესპუბლიკაში, იწვევდა თეორიის მონყვეტას პრაქტიკული ეკონომიკური პრობლემებისაგან და წარმოშობდა არსებული სისტემის (ე. წ. განვითარებული სოციალიზმის) იდეალიზაციას.

მეორე, შემდგომ, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში დაიწყო გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე (რიგი ავტორების აზრით – ბაზარზე, ხოლო მათ შორის ზოგიერთების აზრით – კაპიტალიზმზეც კი) [1, გვ. 101, 2, გვ. 14, 16 და სხვ.]. მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილი (განსაკუთ-

<sup>1</sup> ამ საკითხზე ჩვენი სტატია დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალში „Общество и экономика“, 2000, №8, მოსკოვი.



**გიორგი შუშიაძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

რებით ახალგაზრდა თაობა) მიიჩნევს აუცილებლად უარი თქვას ე. წ. მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაზე და მის ნაცვლად აღებულ იქნეს „ეკონომიკა“, რაც ადრე განიხილებოდა როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების სახელწოდება. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში შემოღებული იქნა სასწავლო კურსი „ეკონომიკა“ პოლიტიკური ეკონომიის (ეკონომიკური თეორიის) ნაცვლად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კითხულობენ ლექციებს პარალელურად – ორივე დისციპლინაში. „ეკონომიკის“ სახელწოდებით გამოიცემა ლიტერატურა (ძირითადად თარგმნილი), აგრეთვე, განმარტებითი ლექსიკონებიც კი.

მესამე, ეკონომიკური თეორია არ აღმოჩნდა მონოდების სიმალლეზე გარდამავალი ეკონომიკის ისეთი პრობლემების პროგნოზირებისა და გადაწყვეტის საქმეში, როგორცაა პრივატიზაციის ეფექტიანობა, ეკონომიკისა და ბიზნესის კრიმინალიზაციის უზარმაზარი მასშტაბები და სხვ. მაგალითად, ეკონომიკური თეორიის თანახმად პრივატიზაციას უნდა გამოენჯია ეკონომიკისა და ბიზნესის ეფექტიანობის სწრაფი ამაღლება, რაც საქართველოსათვის აღმოჩნდა არასწორი. ეკონომიკური თეორიის ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ეკონომიკური თეორიის მეტისმეტი მათემატიზაცია. ნობელის პრემიის ლაურეატი მორის ალე (საფრანგეთი) გასული საუკუნის 90-იან წლებში წერდა, რომ ბოლო 40 წლის განმავლობაში ეკონომიკური მეცნიერება (თეორია) ვითარდებოდა

მცდარი მიმართულებით: ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მათემატიკური მოდელები, რაც წარმოადგენს არსებითად დიდ ნაბიჯს უკან; კლასიკური მიმართულებიდან გადახვევა და ეკონომიკური თეორიის „ბიფურკაცია“ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიად და „ეკონომიკსად“ [3, გვ. 5].

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ტერმინის და მით უფრო „ეკონომიკის“ კურსის შემოტანის გაუმართლებლობა ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით მართებულია ვაკეთდეს ერთგვარი ისტორიული ექსკურსი ეკონომიკური თეორიის წარმოშობისა და განვითარების მიმართულებით. კერძოდ, იმ ეტაპების აღნიშვნით, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური თეორიის განსაზღვრასთან (დეფინიციასთან).

ეკონომიკური თეორია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა და მისი მნიშვნელობა წარმოშობის მომენტიდან მდგომარეობდა სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობაში ადამიანთა ქცევის მოტივების კანონზომიერებათა დადგენაში. მისი წარმოშობა დაკავშირებულია დიდი ბერძენი მოაზროვნეების ქსენოფონტისა და არისტოტელეს სახელებთან. მაშინ მეცნიერულ ბრუნვაში შემოღებული იქნა ტერმინი „ეკონომია“. ეს სიტყვა გამოხატავდა საოჯახო მეურნეობის გაძღოლის მნიშვნელობას. შემდგომში ცნება „ეკონომია“ გახდა სხვადასხვა რესურსების დანახარჯების შემცირების, მომჭირნე (დამზოგველი) გამოყენების გამოხატულება და მის ნაცვლად მეცნიერების აღნიშვნისთვის დაიწყო ტერმინ „ეკონომიკის“ გამოყენება.

მოცემულ ეტაპზე ტერმინი „ეკონომიკა“ (ბერძნულად „ეკონომიკოს“, ინგლისურად „ეკონომიკის“) ძირითადად გამოიყენება: 1. როგორც მეურნეობის სინონიმი (მსოფლიო მეურნეობა ანუ მსოფლიო ეკონომიკა); ცალკეული ქვეყნების, დარგების (სფეროების), საწარმოთა ეკონომიკა და 2. ეკონომიკური მეცნიერების, ეკონომიკური თეორიის აღნიშვნისათვის.

ცნობილია, რომ ეკონომიკური თეორიის როგორც სამეურნეო საქმიანობის არსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ სისტემატიზებული ცოდნის (მეცნიერების) ჩამოყალიბება იწყება XVI საუკუნდიან. ეს იყო მანუფაქტურის აღმოცენების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარების, ფულადი მიმოქცევის ინტენსიფიკაციის, ე. ი. მერკანტილიზმის – ეკონომიკური თეორიის განვითარებაში პირველი სკოლის პერიოდი. ანტუან მონკრეტიენი როგორც მერკანტილიზმის წარმომადგენელი ისტორიაში შევიდა იმით, რომ მეცნიერულ ბრუნვაში შემოიღო ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ (1615 წელს გამოვიდა მისი ნიგნი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატები“). ამ დროიდან ეკონომიკური თეორია ვითარდებოდა როგორც პოლიტიკური ეკონომია. ამ ტერმინით გაიგივებოდა

ქვეყნებში მეურნეობრიობის კანონების სისტემა.

ეკონომიკურმა თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა უ. პეტის, ა. სმიტის, დ. რიკარდოს, კ. მარქსის, ჯ. კეიზის და სხვ. ნაშრომებში. ა. სმიტი ეკონომიკური აზრის ისტორიაში ცნობილია როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი. მისმა მთავარმა ნაშრომმა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776 წ.) საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ეკონომიკურ თეორიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. მარქსის ფუნდამენტური ნაშრომი „კაპიტალი“, რომელშიც კაპიტალიზმის შესახებ მარქსისეული დასკვნებისა და კანონების დიდი უმრავლესობა სამართლიანია, ახალგაზრდებს დასავლეთში კი მარქსის იდეოლოგია იზიდავს.<sup>1</sup>

რაც შეეხება ლენინურ ეკონომიკურ თეორიას იმპერიალიზმის როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის შესახებ, აგრეთვე სოციალისტური რევოლუციის<sup>2</sup> როგორც მარქსისტული თეორიის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშის შესახებ, იგი საეჭვოდ მიმაჩნდა ჯერ კიდევ ჩვენი სტუდენტობის წლებში მარტივი მიზეზის გამო. მარქსისტული იდეების შუქზე არ შეიძლება მტკიცება იმისა, რომ მეფის რუსეთში 1917 წ. მრენველობის, სოფლის მეურნეობის და მთლიანად ეკონომიკის განვითარების დონის მაჩვენებლების მიხედვით შექმნილი იყო პირობები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, როგორი შედეგით დასრულდა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ყოფილ საბჭოთა რუსეთში და მთლიანად ყოფილ სსრ კავშირში.

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურასთან გაცნობით ვლინდება ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) სხვადასხვაგვარი გაგება. ასე მაგალითად, მერკანტილისტების – პოლიტიკური ეკონომიის პირველი სკოლის წარმომადგენლების მეცნიერული კვლევის საგანი იყო სიმდიდრე, რომლის წყაროდ აღიარებდნენ ვაჭრობას (უპირატესად საგარეო ვაჭრობას).

ფიზიოკრატები პოლიტიკური ეკონომიის საგნად მიიჩნევდნენ ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც იქმნებოდა წარმოების სფეროში (და არა მიმოქცევის სფეროში). ასეთი დასკვნა წარმოადგენდა ეკონომიკური თეორიის (მეცნიერების) დიდ მიღწევას, თუმცა ისინი სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდნენ მხოლოდ სოფლის მეურნეობას, რაც იყო არამართლზომიერი.

ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის

1 რას ეფუძნებოდა თანამედროვე ეკონომიკური კანონები? (მარქსი ყველა დღევანდელმა პოლიტიკოსმა და ეკონომისტმა უნდა იცოდეს), გაზ. „დაზღვევა და ცხოვრება“, 10 ნოემბერი, 1977 წ.

2 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიო ისტორიაში შეფასებულია როგორც გადატრიალება, რომელიც მოახდინეს ვ. ლენინმა და ლ. ტროცკიმ.

სკოლის შემქმნელებმა გააფართოვეს ეკონომიკური თეორიის საგანი, შეიტანეს რა მასში მატერიალური წარმოების ყველა დარგი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ.). აგრეთვე განაწილების პირობების გამოკვლევები.

ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ ცალკეული თანამედროვე ეკონომისტები, როდესაც განიხილავენ ეკონომიკურ თეორიას როგორც მეცნიერებას ეროვნული სიმდიდრის წარმოების, განაწილების და მოხმარების შესახებ (ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იცვლებოდა ეროვნული სიმდიდრის შინაარსი და ცნება).

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ეკონომიკური თეორიის საგნად გაიგება შეზღუდული რესურსების პრობლემების შესწავლა. მაგალითად, პ. სამუელსონი ეკონომიკური თეორიის ხუთი გავრცელებული განსაზღვრიდან (დეფინიციიდან) უპირატესობას ანიჭებს შემდეგს: „ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება ადამიანის მიერ იშვიათი ან შეზღუდული წარმოებრივი რესურსების (მინა, შრომა, სანარმოო დანიშნულების საქონელი, მაგალითად, მანქანები და ტექნიკური ცოდნა) გამოყენების შესახებ სხვადასხვა საქონლის (მარცვლეული, საქონლის ხორცი, პალტო და სხვ.) წარმოებისა და საზოგადოების წევრებს შორის მათი განაწილებისათვის მოხმარების მიზნით [4, გვ. 6-7].

ამრიგად, ეკონომიკური თეორიის წარმოშობის კვალობაზე საერთოდ გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინები: „ეკონომია“, „ეკონომიკა“, „პოლიტიკური ეკონომია“, „თეორიული ეკონომიკა“ და „ზოგადი ეკონომიკური თეორია“. ტერმინების ევოლუცია გამომწვეული იყო ისტორიული მიზეზებით, მაგრამ ყველა ჩამოთვლილი ტერმინი, პირველის გამოკლებით, არსებითად წარმოადგენენ ერთი და იგივე განვითარებადი მეცნიერების სახელწოდებას, რომელიც იკვლევს მეურნეობრიობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს მათს ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. იცვლება კონცეფციები, მიდგომები, კეთდება აქცენტები ეკონომიკური სისტემის ამა თუ იმ მხარეზე, მაგრამ მეცნიერება რჩება ცალკეული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფებისა და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების შესახებ მეცნიერებად.

ეკონომიკური თეორია (პოლიტეკონომია) არის მეცნიერება შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესახებ ადამიანთა (საზოგადოებრივი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მსოფლიოს თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებს ეკონომიკურ თეორიას უნივერსალურ მეცნიერებად რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ადამიანის ეკონომიკური ქცევის შესახებ, ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინის

„ეკონომიკის“ დანერგვა ქართულ ლიტერატურაში მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამასთან, არა-ინგლისურენოვან ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი და სხვ.) ტერმინი „ეკონომიკის“ არ იხმარება.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „ეკონომიკის“ დანერგვა გამომწვეული იყო შემდეგი გარემოებებით:

1. ზოგიერთი რუსული გამომცემლობები ინგლისური ენიდან თარგმნისას ტერმინ „ეკონომიკის“ ტოვებდნენ უცვლელად და ამიტომ იგი გადავიდა ქართულ გამოცემებშიც.

2. ზოგიერთი ქართველი სწავლული ეკონომისტი თვლის, რომ „ეკონომიკის“ განსხვავდება პოლიტიკური ეკონომიისაგან იმით, რომ პირველი ტერმინი აღნიშნავს შეზღუდული რესურსების გამოყენების, ხოლო მეორე — წარმოებითი ურთიერთობების კვლევას.

3. ეკონომისტების ნაწილი „ეკონომიკის“ ცნებაში გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის თეორიას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი ამერიკელი პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი პ. სამუელსონი წერს: **„ეკონომიკური თეორია, ანუ პოლიტიკური ეკონომია, როგორც მას ჩვეულებრივად უწოდებენ** (ხაზგასმა ჩვევია – გ. შ.), მჭიდრო კავშირშია სხვა მნიშვნელოვან საუნავერსიტეტო საგნებთან და ანთროპოლოგია – ყველა ეს სოციალური მეცნიერებანი, რომელთა შესწავლის საგანი ნაწილობრივ ემთხვევა ეკონომიკური თეორიის საგანს“ [4, გვ. 8]. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ა. მარშალის (რომელმაც პირველად დაიწყო „ეკონომიკის“ კურსის წაკითხვა კემბრიჯის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის კურსის ნაცვლად) წიგნი „ეკონომიკის პრინციპები“ (1890 წ.) გადაითარგმნა ინგლისურიდან რუსულ ენაზე და გამოიცა 1983 წ. მოსკოვში სახელწოდებით „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, ხოლო ხელმეორედ გამოიცა 1993 წ. – სახელწოდებით „ეკონომიკური თეორიის პრინციპები“. ერთი საუკუნის შემდეგ ზუსტად ასეთი სახელწოდებით გამოიცა გ. მენქიუს წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა სახელწოდებით – „ეკონომიკის პრინციპები“.

მაშასადამე, ტერმინებს: „პოლიტიკური ეკონომია“, „ეკონომიკის“ (ეკონომიკის ინგლისურ-ამერიკული სახელწოდება) და „ეკონომიკური თეორია“ („ზოგადი ეკონომიკური თეორია“) აქვთ ერთნაირი აზრობრივი დატვირთვა. ეს დასტურდება რუსი ავტორების მიერაც ცნობილ წიგნებში: «Общая экономическая теория (политэкономия)». Учебник под общей редакцией акад. В. М. Видяпина, акад. Г. П. Журавлевой. М., 1995 да Камаев М. В. и колл. авторов «Учебник по основам Экономической теории (экономика)». М., 1995. პირველ წიგნში როგორც ეკონომიკური თეორიის სინონიმი ფრჩხილებში ნაჩვენებია პოლიტიკური

ეკონომია, ხოლო მეორე ნიგნში – ეკონომიკა („ეკონომიკის“ მნიშვნელობით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლეს სასწავლებლებში პარალელურად „ეკონომიკური თეორიის“ (პოლიტიკონომიის) კურსის და „ეკონომიკის“ ნაკითხვა არამართლზომიერია. სამწუხაროდ, ახალ ენციკლოპედიაში („საქართველო“, ტ. 2) დაბეჭდილია ვრცელი ტერმინ-სტატია „ეკონომიკის“ (კ-ს ნაცვლად ქ), როგორც მეცნიერება საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ იგი ეკონომიკური კვლევის შედეგებით ახალი სფეროა და განსაკუთრებული ეკონომიკური დისციპლინის სახით ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის I ნახევრიდან. სინამდვილეში, როგორც აღინიშნა, პირველად ა. მარშალმა დაიწყო „ეკონომიკის“ კურსის ნაკითხვა კემბრიჯის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის კურსის ნაცვლად და გამოსცა ნიგნი „ეკონომიკის პრინციპები“ (1890 წ.). ამრიგად, ეკონომიკური დისციპლინა იწოდება „ეკონომიკსად“ და არა, „ეკონომიკის პრინციპად“, როგორც იწოდებოდა ნიგნი. გ. მენქიუმ გამოსცა ნიგნი ერთი საუკუნის შემდეგ იგივე სახელწოდებით – „ეკონომიკის პრინციპები“ და ბოლო დრომდე უნივერსიტეტებში ისწავლებოდა ეკონომიკური დისციპლინა ამ სახელწოდებით, რაც ალოგიკურია. ეკონომიკური თეორიის დაყოფა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიად და „ეკონომიკსად“ მოგვაგონებს ახლო წარსულს, როდესაც სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია გამოაცალკევებს საერთო პოლიტიკური ეკონომიიდან. მიგვაჩნია აგრეთვე უსაფუძვლოდ მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური თეორიების (როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებად), და სახელმწიფო (საზოგადოებრივი) სექტორის ეკონომიკის როგორც ეკონომიკური თეორიის განშტოებად გამოყოფა. საქმე ის არის, რომ ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) ერთიანი უნივერსალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ეკონომიკურ მოვლენებს, პროცესებს, კანონებს (პრინციპებს), მიკრო, მეზო, მაკროეკონომიკის და მსოფლიო ეკონომიკის (მეურნეობის) თეორიულ პრობლემებს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების ეკონომიკაში არსებობენ საბაზრო (კერძო), სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი სექტორები (შერეული ეკონომიკა). მხოლოდ საბაზრო ეკონომიკა (იგულისხმება წმინდა სახით) არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში და არც იარსებებს მომავალში. ამასთან კავშირში რეზონულია (მართებულია) ცნობილი ამერიკელი პროფესორის ჯ. გელბრეთის გამოხატულება: „ეკონომიკის, რჩება რა საბაზრო მიკრო- და მაკროანალიზის ვიწრო ფარგლებში, წყვეტს არსებობას როგორც მეცნიერება და გადაიქცევა კონსერვატიულად გამოყენებულ სისტემად, რომელიც აცხადებს პრეტენზიას, იწოდებოდეს მეცნიერებად“ [5, გვ. 63].

საკუთარი პოზიცია ამ საკითხზე ჩვენ გამოვთქვით ჯერ კიდევ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და შესაბამისი ორგანიზაციებისადმი მიმართებაში (05. 01. 1996). ქვეყნის პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი დადებითად გამოეხმაურა ამ მიმართვას. საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა გააუქმა გადაცემა სახელწოდებით „ეკონომიკის“<sup>1</sup> მონესრიგდა „ეკონომიკური თეორიის“ კურსის ნაკითხვა სახელმწიფოებრივ სასწავლო დაწესებულებებში. არ უნდა გამოიყენებოდეს ქართულად ტერმინი „ეკონომიკის“.

მათემატიკა და ლოგისტიკა ინგლისურად არის „მათემატიკა“ და „ლოგისტიკა“, მაგრამ საქართველოში არავის მოსვლია აზრად მათი ხმარება ინგლისური დაბოლოებებით.

ჩვენი აზრით, აგრეთვე მართებული არ არის „ეკონომიკური თეორიის“ ტერმინის ნაცვლად „თეორიული ეკონომიკის“ ხმარება „თეორიული მექანიკის“, „თეორიული ფიზიკის“ და ა. შ. ანალოგიურად, რაც ეკონომიკის მიმართ, რომელიც საზოგადოების ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს, მიუღებელია. არ არის საჭირო სხვადასხვა ტერმინების (მაგალითად, გ. მენქიუს ნიგნის „ეკონომიკის პრინციპების“) შემოღება ეკონომიკური თეორიის აღნიშვნისათვის და მის ინტერპრეტაციაში აზრთა სხვაობის აღძვრა, აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ ეკონომიკის პრინციპებში მოიაზრება ეკონომიკური კანონები, ხოლო ლათინურად, პრინციპები ნიშნავს საფუძვლებს (რომელთა გამოტანა კურსის დასახელებაში არ არის აუცილებელი).

რაც შეეხება პოლიტიკურ ეკონომიას, მას ვერავინ უარყოფს როგორც მეცნიერებას. პოლიტიკური ეკონომიის კურსი იკითხება ევროპისა და დსთ ქვეყნების ბევრ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში. მაგრამ მარქსისტულ-ლენინურმა ინტერპრეტაციამ გარკვეულწილად მას შეუღალა სახელი (მოახდინა მისი კომპრომენტირება). ამიტომ ბოლო დროს იყენებენ ტერმინს ზოგადი ეკონომიკური თეორია ანუ მარტივად „ეკონომიკური თეორია“.

ჩვენ მიგვაჩნია უფრო მიზანშეწონილად „ზოგადი ეკონომიკური თეორიის“ ტერმინის ხმარება, რომელიც წარმოადგენს ყველა ეკონომიკური დისციპლინისა და მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, ვინაიდან ბევრ მათგანს გააჩნია თავისი თეორიები, ზოგადი თეორიებიც კი (მაგალითად, სტატისტიკის ზოგადი თეორია).

ამრიგად, ზოგადი ეკონომიკური თეორია ეკონომიკურ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია. ესენია დარგობრივი

1 „ეკონომიკის“, „კ“-ს ნაცვლად „ქ“-ს გამოყენება არასწორია.



(მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ა. შ. ეკონომიკა), ფუნქციური (ფინანსები, კრედიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი და სხვ.) და დარგთაშორისი (დემოგრაფია, სტატისტიკა, ეკონომიკური გეოგრაფია და სხვ.) მეცნიერებანი.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ზოგადი ეკონომიკური თეორია უძველესი უნივერსალური ერთიანი მეცნიერებაა, რომელიც მუდმივად განიცდის ევოლუციას ახალი ეკონომიკური მოვლენებისა და კონცეფციების შესაბამისად მემკვიდრეობითობის პრინციპის და არა ძველი ეკონომიკური თეორიის ახლით შეცვლის საფუძველზე. გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო იზრდება ეკონომიკური თეორიის როლი და მნიშვნელობა, ვინაიდან არ არსებობს რაიმე ეკონომიკური პრობლემა (მიკრო, მაკრო, მეზო, მეგა), რომელიც არ

იყოს მისი გამოკვლევისა და შესწავლის ობიექტი. ამიტომ ზოგადი ეკონომიკური თეორია (როგორც ადრე პოლიტიკური ეკონომია) უნდა ისწავლებოდეს უნივერსიტეტის ყველა არაეკონომიკურ სპეციალობაზე.<sup>1</sup> თუ „თეორია“, „თეორიული“ უარყოფით ემოციებს იწვევს არაეკონომიკურ სპეციალობებზე, შეიძლება გამოვიყენოთ „ზოგადი ეკონომიკა“.

1 მივმართე წერილით (30.09.2005) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ ა. ლომაიას იმის თაობაზე, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველა არაეკონომიკურ სპეციალობაზე (აგრონომიულ-საინჟინრო, სამედიცინო და ა. შ. სპეციალობებზე) უნდა ისწავლებოდეს „ზოგადი ეკონომიკური თეორია“ ან „ზოგადი ეკონომიკა“, ხოლო საშუალო სკოლებში (უფროს კლასელთათვის) ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“.

**ლიტერატურა:**

1. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.
2. კაკულია რ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003.
3. Данько Т. П. Управление маркетингом (методологический аспект). М., 1997.
4. Самуэльсон П. Экономика, т. 1. М., 1992.
5. Calbraith J. K. Economics. Peace and Langhter. 1971.

**TOWARDS THE SCIENTIFIC DEFINITION OF ECONOMIC THEORY: “ECONOMICS”, POLITICAL ECONOMY OR GENERAL ECONOMIC THEORY?**

**GIORGI SHUBLADZE**  
**Doctor of Economic, Professor**

Any science dewelops, with attendinh specification of its paradigm and designation. In Georgian specialist literature – along with traditional designation – the terms “economics” and “theoretical economics”: are used to designate economic theory – one of the oldest sciences. Economic is universal integral science that develops according to the principle of continuity. Therefore preference should be given to the designation: “general economic theory”.

**К ВОПРОСУ СОВРЕМЕННОЙ ДЕФИНИЦИИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ТЕОРИИ: «ЭКОНОМИКС», ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМИЯ ИЛИ ОБЩАЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ?**

**ГЕОРГИЙ ШУБЛАДЗЕ**  
**Доктор экономических наук, профессор**

Любая наука развивается, соответственно уточняются её парадигмы и название. Для обозначения экономической теории – одной из старейших наук – наряду с традиционным названием в грузинской литературе применяются термины «экономикс», «теоретическая экономика». Экономическая теория – универсальная целостная наука, которая развивается по принципу преемственности, поэтому предпочтение надо отдать названию «Общая экономическая теория».

# ფრთხილად, სახელმწიფო მიწის წართმევით იმუქრება!

საქართველოში სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმა 1992 წელს დაიწყო.

კერძოდ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N48, 1992 წლის 6 თებერვლის N128 და 1992 წლის 10 მარტის დადგენილებების საფუძველზე, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების — 1998 წლიდან, როდესაც 1997 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი (ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან). ასევე, 1998 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა კანონები: 1. “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ” (გაუქმდა 2007 წლის 11 ივლისს), 2. “ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ” (გაუქმდა 2007 წლის 20 სექტემბერს).

1992 წლიდან, იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე. ყველა სოფელსა და დაბაში იქმნებოდა მიწის რეფორმის კომისიები, რომლებიც ადგენდნენ მიწის მიმღებთა სიებს, სიები მტკიცდებოდა რაიონულ კომისიაზე, რის შემდეგაც ხდებოდა სახელმწიფო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების გამოწერა და მიწის მესაკუთრეზე გადაცემა შესაბამისი ანაზღაურებით.

მიწის მესაკუთრე მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით იხდიდა 30–70 მანეთის ფარგლებში (შემდეგ იყო კუპონებით ანაზღაურება). მიწებს ღებულობდა, როგორც სოფლის, ასევე დაბისა და ქალაქის მაცხოვრებლები დამტკიცებული ნორმითა და წესით, რომელიც რეგისტრირდებოდა რაიონის მინათმონწყობის სამსახურში სპეციალურად შექმნილ ყურნალში (იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად). მინათმონწყობის სამსახური ექვემდებარებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ აღრიცხვის დროს კეთდებოდა საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების სახელმწიფო აქტი ხუთ ეგზემპლარად და შესაბამისი ტერიტორიის რუქა მესაკუთრების რეგისტრაციით.

აღნიშნული აქტებისა და რუქების გაკეთება ევალებოდა იმ დროს არსებულ მინათმონწყობისა და მინათსარგებლობის საპროექტო ინსტიტუტს, აგროსერვისის სამსახურს და სპეციალურად შექმნილ საპროექტო ჯგუფს. ყველა დოკუმენტი ინახებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს შესაბამის რაიონულ სამსახურებსა და შემდგომ კი არქივებში.

1997 წელს საქართველოში შეიქმნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დეპარტამენტს დაქვემდებარებული რაიონული მიწის მართვის სამმართველოები.

1997 წლის 25 ნოემბერს მიიღეს ახალი სამოქალა-



**ანზორ მესხიშვილი**  
ეკონომიურ მეცნიერებათა  
დოქტორი,  
სერთიფიცირებული  
ექსპერტი უძრავი ქონების  
(მიწის) საკითხებში

ქო კოდექსი. ამ კოდექსის საფუძველზე (მუხლი 1514) დადგინდა, რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების პარალელურად უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) რეგისტრაცია უნდა განხორციელდებულყო საჯარო რეესტრის სამსახურში. მანამდე მიწის ნაკვეთებისა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობების რეგისტრაციას, (როგორც პირველად, ასევე მეორად რეგისტრაციას) ხორციელდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებში (ტექნიკური ინვეტარიზაციის სამსახურებში) მათი საქმიანობის მიზანი იყო მოეხდინათ განმცხადებლების საფუძველზე მათ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთების აღრიცხვა-რეგისტრაცია.

აღრიცხვის საფუძველად მიეთითებოდა, როგორც ფაქტიური მფლობელობა, ასევე იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე მათ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ნივთები.

სამოქალაქო კოდექსის 1514 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება უნდა მომხდარიყო ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროების დახმარებითა და მათ მიერ განხორციელებული რეგისტრაციების ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1515 მუხლის თანახმად კი, განხორციელდა უძრავი ნივთების რეგისტრაციის მონაცემების საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავდა შემდეგს; “საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურებისათვის დაკისრებული ფუნქციები უნდა განხორციელდებინ ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებს, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა უზრუნველყოთ საჯარო რეეს-

ტრის მონაცემების საჯაროება და ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირთათვის”.

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა უზრუნველყო სათანადო სამსახურის ჩამოყალიბება, საჯარო რეესტრის ფორმულარების მომზადება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებული იყო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების პერიოდიდან წარმოშობილი უძრავი ნივთის მესაკუთრეების რეგისტრაციასთან.

მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შექმნის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან განხორციელდა მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული სადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში, რამაც გამოიწვია ორმხრივი რეგისტრაციები როგორც საჯარო რეესტრში, ასევე ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებში, რაც გაგრძელდა 2005 წლამდე. ორმაგი რეგისტრაცია კი იწვევდა საზოგადოების უკმაყოფილებას, განსაკუთრებით მძიმე ტვირთვად დაანვა მოსახლეობას საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრაციის განსახორციელებლად დაწესებული არცთუ მცირე გადასახადი. დაიწყო რეგისტრირებული მიწების განმეორებითი რეგისტრაცია შესაბამისი ანაზღაურებით.

**2004 წელს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაუსაბუთებლად გაუქმების შედეგად, გაუქმებულ იქნა ამ სამსახურის რაიონული რგოლები და რაიონულ სამსახურებში არსებული ყველა დოკუმენტაცია (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაციის დოკუმენტაცია) სამწუხაროდ დაიკარგა ან შეგნებულად განადგურდა.**

როდესაც შემოიღეს მიწის აზომვისა და აღრიცხვის ახალი სისტემა, მიწის მესაკუთრეთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაკვეთების ახალი სისტემით აზომვისა და რეგისტრაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ აიღო კრედიტი 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი, გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან. აღნიშნულმა ფირმამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აზომვითი სამუშაოები. ამ ღონისძიების მიზანი იყო, რომ ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული მიწები დაზუსტებულიყო აზომვის ახალი სისტემით უფასოდ და მესამედ დარეგისტრირებულიყო ახლად შექმნილ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. დაუჯერებელია მაგრამ ფაქტია: ფირმის ერთი ხელმძღვანელის თვითონ ხელფასი შეადგენდა, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი სისტემის 1660 თანამშრომლის წლიურ ხელფასს (კონტროლის პალატის შემოწმების მასალებიდან). კიდევ უფრო დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სამუშაოები განხორციელდა, აღებული კრედიტი მთლიანად ათვისებულ იქნა და თითოეულ მიწის მესაკუთრეზე შედგენილი მიწის საკუთრების დოკუმენტების აბსოლიტური უმრავლესობა არ იქნა გამოყენებული დანიშნულებისამებრ. შეიძლება ითქვას, რომ მდინარე მტკვარში გადაიყარა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი თავისი პროცენტებით.

რადგანაც გაუგებარი მიზეზებით გერმანული ფირმის ჩატარებული და გაკეთებული მიწის აზომვითი ნახაზები, რუქები და ელექტროვერსიები არ გამოიყენეს დანიშნულებით. დადგინდა, რომ ახალი სისტემით მიწის რეგისტრაციისთვის მიწის მესაკუთრეებს თავისი სახსრებით უნდა მოეხდინათ აზომვითი ნახაზის ელექტრო ვერსიის გაკეთება და რეგისტრაციის საფასური — შვიდი ლარი ფიზიკურ პირს უნდა გადაეხადა. ეს ეცოტავათ და შემდეგ რეგისტრაციის საფასური გახდა ოცდათი ლარი. მაშინ როდესაც მიწის მართვის სამართველოს მთავარი სპეციალისტის ყოველთვიური ანაზღაურება იყო 35 ლარი.

**2004 წლიდან რეგისტრაციის მომსახურების საფასური გახდა 50 ლარი, დაჩქარებული მომსახურება 250 ლარი.** მიწის მესაკუთრეების უმრავლესობამ თავისი საკუთარი მიწის ნაკვეთი ოთხჯერ დაარეგისტრირა — პირველად, რაიონში არსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამსახურში, მეორედ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რაიონულ სამსახურებში და მესამედ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი თანხების გადახდით. მეოთხედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში. (ეს მდგომარეობა არ ეხება იმ ფიზიკურ პირებს, ვისაც საერთოდ არ დაურეგისტრირებიათ საკუთარი მიწის ნაკვეთები).

სასაცილოა თუ სატირალი, არ ვიცი — **2008-2009 წლამდე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია ჩაითვალა დაუზუსტებლად და საჭირო გახდა ახალი რეგისტრაციის განხორციელება.** რისთვისაც მიწის მესაკუთრეს მიწის ნაკვეთის ახალი სისტემით აზომვაში უნდა გადაეხადა 50-200 ლარი, და რეგისტრაციისათვის 50 ლარი პლიუს ერთი ლარი საბანკო მომსახურებისთვის.

ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ანდა სჭირდებოდა ამონაწერის განახლება, საჯარო რეესტრიდან გადაიხადა აღნიშნული თანხა და მეოთხედ დაარეგისტრირა თავისი საკუთრებაში რამოდენიმეჯერ დარეგისტრირებული ნაკვეთი. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ **საჯარო რეესტრში 2016 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მესაკუთრეთა მიწების მხოლოდ 27% აღმოჩნდა რეგისტრირებული.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია, “ქონების ლეგალიზაციის შესახებ” საქართველოს კანონი, (რომელიც მიღებულია 2007 წლის 22 ივნისს), 2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცვლილებებით (კანონის მე-6 მუხლს დაემატა მე-6 პრიმა მუხლი და კანონის მე-7 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი) ითვალისწინებდა: **იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების აქტი არ იყო სრულყოფილად შევსებული, (მიღება-ჩაბარების აქტს ადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც გააჩნდა სახელმწიფოს მიერ კანონიერი ნდობა, რომ მის მიერ გამოცემული აქტი სამართლებრივად სწორად უნდა ყოფილიყო შედგენილი), აქტის მეპატრონეს უნდა გადაეხადა თითოეულ კვადრატულ მეტრზე 15 ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ აღიძრებოდა სისხლის სამართლის საქმე.**



**დაუფერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზიკურ პირს, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანიზაციამ ხარვეზით მისცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო მიღება-ჩაბარების აქტი, მის საკუთარ ერთ ჰექტარზე არსებულ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის უნდა გადახდა 150 000 ლარი.**

თანაც ეტყვიან, მაღლობა გვითხარი რომ არ გაძლევთ პასუხისმგებამიო. ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ასევე მიღებულია 2007 წლის 11 ივლისს, უნდა გადაიხადოს ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში 5 თეთრიდან 10 თეთრამდე (არ იფიქროთ სტილისტური შეცდომაა, სწორედ თეთრი და არა ლარი).

ამით არ დამთავრებულა მიწების გაუგებარი და გაუთავებელი რეგისტრაცია. მთავრობა იძულებული გახდა მიეღო ახალი კანონი 2016 წლის 3 ივნისს N 5153 “სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ”.

ამ კანონის შესაბამისად, შერჩეულია საპილოტო 12 სოფელი გამოყოფილია 12 მილიონი და სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო სისტემურ რეგისტრაციას. დანარჩენ 4488 სოფელში მიწების სპორადული რეგისტრაცია უნდა დამთავრდეს 2018 წლის 1 ივლისამდე. მიუხედავად იმისა, რომ პირველადი რეგისტრაცია უფასოა, შეუძლებელია აღნიშნულ ვადებში რეგისტრაციის დამთავრება. მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ის არის, რომ უმრავლეს კერძო ამზომველებს არ გააჩნიათ აზომვითი ნახაზის შესადგენად თანამედროვე ძვირად ღირებული ხელასწყო. ასევე თავს იკავებენ უფასოდ ნახაზის გაკეთებაზე, რადგან არ აქვთ იმედი, რომ დროულად აუნაზღაურდებათ განუვლი შრომა!

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სერიოზული პრობლემები, შეცდომები და უთავბოლობა ამით არ დამ-

თავრებულა. ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიწები რეგისტრირებული აქვთ საჯარო რეესტრში და ხელთ აქვთ ამონაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ ფართობი დაზუსტებულია, მაგრამ არ არის გატარებული ელექტრო ვერსიაში ანდა ელექტრო ვერსიაში, არსებული მონაცემები განსხვავდება ამონაწერის მონაცემებთან შედარებით, რაც მისი ბრალი არ არის, ახალ ამონაწერს არ აძლევენ და საჯარო რეესტრი ითხოვს ახალ ელექტრო ვერსიას (აზომვით ნახაზს) და რეგისტრაცია ფასიანია, ამასთან, ფასიანია აზომვითი ნახაზიც. ასევე, თუ საჯარო რეესტრის გაცემულ ამონაწერსა და ელექტრო ვერსიას შორის არის ცდომილება ერთი კვადრატული მეტრიც კი, რომელიც რეესტრის მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომაა, ითხოვენ ახალ აზომვით ნახაზს და ახალ რეგისტრაციას, რაც ასევე გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული.

**რა გამოდის? მოქალაქეები იხდიან ფულს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაშვებულ შეცდომებში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ძალიან ბევრ მიწის მესაკუთრეს ერთი-დაიმავე მიწაზე, მოუწია (ან მოუწევს) ხუთჯერ რეგისტრაცია და შესაბამისი თანხის ოთხჯერ გადახდა.**

უსამართლობის ერთ-ერთ ფაქტს ასევე წარმოადგენს ისიც, რომ 2000 წელს ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროს მიერ აღრიცხული მიწის ნაკვეთებსა და შენობა ნაგებობებზე არ ხდება მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქონებაზე უკვე გაცემულია ცნობა დახასიათება და ინვეტარიზაციის გეგმა. მიზეზად სახელდება ის, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს. ეს ნაკვეთები აჰყავთ სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და აუქციონის წესით ყიდიან. ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ლარად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ 2018 წლის 1 ივლისამდე ფიზიკური პირები და კერძო სამართლის იურიდიული პირები თავიანთ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს ახალი წესით არ დაარეგისტრირებენ, მათ საკუთრებაში არსებული მიწები დარეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებაში. ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გასაჩივრება. ეს ნიშნავს ერთი წლის შემდეგ მოხდება მიწების ნაციონალიზაცია.

# საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დაფინანსების ასპექტები

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ხელისუფლების დონეებს შორის საბიუჯეტო ურთიერთობა 2018 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის ფონზე. გამოთქმულია აზრი რომ საქართველოში არ არის უზრუნველყოფილი ადგილობრივი ბიუჯეტების ავტონომიურობა და ზოგადად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მეტწილად ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებულ თანხებზე არიან დამოკიდებული. ამგვარ, არცთუ სახარბიელო, რეალობას ორი ფაქტორი განაპირობებს: პირველია მკვეთრად ცენტრალიზაცებული ფინანსური სისტემა და მეორე - განუვითარებელი ადგილობრივი ეკონომიკა საქართველოს რეგიონებში. ამ სტატიაში მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში სიტუცია უფრო და უფრო მძიმდება, ერთის მხრივ ცენტრალური ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებს ადგილობრივი ბიუჯეტს და მეორეს მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე გადაცემული დაფინანსების მოცულობა რაიმე მკაფიო წინაპირობების გარეშე ყოველწლიურად იცვლება. შედეგად, სუსტდება ადგილობრივი თვითმმართველობა და ისმის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დახარჯული ფულის რელევანტურობის და ეფექტიანობის საკითხი.



**დავით მელუა**  
საქართველოს  
საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის  
სახელობის ქართული  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

## საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მოკლე დახასიათება

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება საქართველოს კანონით „საბიუჯეტო კოდექსი“ რომელიც ადგენს საქართველოს საბიუჯეტო პროცესის ფორმირების პრონციპებს, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების და შესრულების პროცესს. იგივე კოდექსი განსაზღვრავს სხვადასხვა დონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებს და პასუხისმგებლობას.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ერთერთი პრინციპია დამოუკიდებლობა, რაც ნიშნავს რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ბიუჯეტების დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საკუთარი შემოსავლებით და ბიუჯეტის ნაშთით. დამოუკიდებლობის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორია საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის უფლება.

2014 წლამდე ადგილობრივი ბიუჯეტების სფეროს არეგულირებდა ცალკე მდგომი კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ რომელიც გაუქმებული იქნა და მისი მუხლების ნაწილი შევიდა 2014 წელს მიღებულ საქართველოს ორგა-

ნულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო სისტემის საკონმდებლო ბაზა გამართულია და მეტნაკლებად შეესაბამება განვითარებული ქვეყნების ანალოგებს, საბიუჯეტო სისტემა საქართველოში ნამდვილად ვერ დაიკვეხნის ეფექტიანობის თვალსაზრისით. მისი მთავარი პრობლემა ზომაზე მეტი ცენტრალიზაციაა, რომლის ზუსტად აღწერისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას ტერმინი „ვერტიკალიზებული“. ნებისმიერი სისტემის ცენტრალიზაცია გულისხმობს შეზღუდული სახით, მაგრამ მაინც, ადგილზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დატოვებას. საქართველოში კი ყველა საბიუჯეტო გადაწყვეტილება რეალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დონეზე მიიღება, ეს ეხება როგორც ადგილობრივ საკრებულოებს ასევე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს პარლამენტსაც კი.

ცხადია, საკითხის ამგვარად დაყენება არაუმენტა შეუვალ სიმყარეს და კონკრეტული მაგალითების მოხმობას ითხოვს, ოპონენტებმა შეიძლება მიმართონ საკანონმდებლო ბაზას, სადაც ასეთი პრობლემების დანახვა ძნელია თუმცა, საქართველოსა და მის საბიუჯეტო სისტემაზე როცა ვსაუბრობთ, ჩვენ უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ კანონმდებლობაზე არამედ კანონმდებლობის აღსრულების პრაქტიკაზე. მიზეზი იმისა თუ რატომაა ჩვენი საბიუჯეტო სისტემა “ვე-

რტიკალიზებული”, სწორედ კანონის არაჯეროვნად აღსრულებასა და ხელისუფლების დონეებს შორის საბიუჯეტო ურთიერთობის მანკიერ პრაქტიკაშია.

### **საბიუჯეტო ურთიერთობანი ხელისუფლების დონეებს შორის**

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ადგენს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ავტონომიურობის პრინციპს თუმცა ეს ავტონომიურობა არ გახლავთ აბსოლუტური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტზე სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დამოკიდებულება ფრიად დიდია. ეს ეხება როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტზე აბსოლუტურია და იგი საკუთარი შემოსავლების 100%-ს სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს. 2017 წლამდე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ბიუჯეტი იღებდა გრანტს საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან, თუმცა 2018 წლისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი საშემოსავლო გადასახადიდან, ქონების ოპერირებისა და მომსახურების მიწოდებისგან შემოსული თანხებით შეივსება და სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური მონაწილეობა უკვე აღარ არის გათვალისწინებული.

სიტუაცია გასხვავებულია ადგილობრივ ბიუჯეტებთან მიმართებაში, ისინი მეტწილად სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებით ბალანსდებიან. ადგილობრივი ბიუჯეტების ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტზე ორი ფაქტორითაა განპირობებული: პირველია - ფისკალური ცენტრალიზაცია, სადაც ყველა გადასახადი გარდა ქონებისა მიკუთვნებული აქვს ცენტრალურ ხელისუფლებას (და აჭარაში, ავტონომიურ რესპუბლიკას). ქონების გადასახადთან მიმართებაში კი მოქმედებს შეღავათების სისტემა სადაც 5 ჰექტრამდე სასოფლო მიწა და მოქალაქე რომელიც წლიური შემოსავალი 40 ათას ლარზე ნაკლებია გათავისუფლებულია ქონების გადასახადიდან. შესაბამისად, ეს შეღვათი ქონების გადასახადის ბაზის დაახლოებით 90%-ს ეხება. მეორე ფაქტორი გახლავთ ადგილობრივი ეკონომიკის განუვითარებლობა, რეგიონებში ეკონომიკის რეალური სექტორი ფაქტურად არ არსებობს და შესაბამისად მაღალია უმუშევრობა. საქართველოს სტატისტიკის 2015 წლის მონაცემით მთლიანი შიდა პროდუქტის 49% საქართველოს დედაქალაქში იწარმოება, შემდეგ მოდის იმერეთის რეგიონი (10) და აჭარა (9%)<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონების მაღალი წილი განპირობებულია ქალაქების ქუთაისი (იმერეთის მხარე) და ბათუმი (აჭარის არ.) ფაქტორით. საქართველოს დანარჩენ 61 მუნიციპალიტეტში ქვეყნის მთლიანი დამატებული ღირებულების მხოლოდ 30%-ზე ცოტა მეტი იწარმოება. შესაბამისად, ადგილობრივი ეკონომიკის სისუსტე თავის დაღს ასვამს ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ სიძლიერეს და იმ შემთხვა-

ვშიც კი, დღეს რადიკალური ფისკალური დეცენტრალიზაციაც რომ განხორციელდეს, ქვეყანას ეყოლება მხოლოდ 5 მდიდარი მუნიციპალიტეტი და დანარჩენი 59 თვითმმართველი ერთეული ვერანაირად შესძლებს საკუთარი ბიუჯეტის დამოუკიდებლად დაბალანსებას.

ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური დახმარებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 3 ინსტრუმენტი გააჩნია ესენია: გათანაბრებითი ტრანსფერი, მიზნობრივი ტრანსფერი და სპეციალური ტრანსფერი. გათანაბრებითი ტრანსფერი გამოიყენება თვითმმართველი ერთეულთა ფინანსური გათანაბრებისთვის, მიზნობრივი ტრანსფერი - დელეგირებული უფლებამოსილებათა შესრულებისთვის, ხოლო სპეციალური ტრანსფერი - კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად ისეთ სფეროებში როგორცაა: ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოფხვრა, გადაუდებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, სოციალური პროგრამები და სხვა. გარდა ამისა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს აქვს ე.წ. რეგიონალური განვითარების ფონდი საიდანაც გამოიყოფა დაფინანსება მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

ადგილობრივი ბიუჯეტები ყველაზე მეტ თანხას იღებენ გათანაბრებითი ტრანსფერის სახით. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა თითოეული მუნიციპალიტეტისთვის იანგარიშება სპეციალური ფორმულის მეშვეობით. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია ა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალ-ეკონომიკური გათანაბრება და ბ) საკუთარი უფლებამოსილების შესრულებისთვის აუცილებელი ხარჯების გათანაბრება. თუმცა გათანაბრების ფორმულა, სადაც თითოეული მუნიციპალიტეტისთვის გათანაბრების თანხის გასანგარიშებლად ამ მუნიციპალიტეტის საპროგნოზო შემოსავლებს აკლდება საბიუჯეტო წლისთვის გაანგარიშებული ხარჯები მოწმობს, რომ აქ საქმე არ გვაქვს სოციალ-ეკონომიკურ ან თუნდაც საკუთარ უფლებამოსილებათა აღსრულებისთვის საჭირო თანხების გათანაბრებასთან. თავისი არსით, ის რასაც საბიუჯეტო კოდექსი გათანაბრებით ტრანსფერს ეძახის, არის ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა წინასწარ გასაზღვრული თანხის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის განაწილების გზით. ამ მსჯელობის არგუმენტად ისიც კმარა რომ ამგვარი “გათანაბრებითი” ტრანსფერის ყველაზე დიდ მიმღები სოციალურად და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული თვითმმართველი ერთეული - ქვეყნის დედაქალაქია.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა შემოიტანა ტრანსფერის ახალი სახე “კაპიტალური ტრანსფერი”, თუმცა ამ კლასიფიკაციით არც 2015 საბიუჯეტო წელს და არც მას შემდგომ თვითმმართველობებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები არ გადასცემიათ. 2017 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერი არ გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს, ისინი მიზნობრივ ტრანსფერის აჭარის

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. რეგიონული სტატისტიკის გამოშვება 2015. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან იღებენ მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლებათამოსილებათა დელეგირება ადგილობრივ ხელისუფლებაზე ცენტრალური მთავრობის მიერ ხდება და არა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ.

ხელისუფლების დონებს შორის საბიუჯეტო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მის მიერ დამკვიდრებული საჯარო ფინანსების მართვის “ვერტიკალიზებული” პრაქტიკა. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის გამოთვლისას ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯების მოცულობა, ისევე როგორც შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, ფინანსთა სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების საგანია. შედეგად, ფინანსთა სამინისტრო რეალურად მონაწილეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვითი ნაწილის დადგენაში. ამის დასამტკიცებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ მას შემდეგ რაც 2016 წლის 1 იანვრიდან ინდივიდუალური მენარმეების საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის წყარო გახდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით 2016 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა ზუსტად იგივე თანხით შემცირდა რაც იყო ადგილობრივი ბიუჯეტების ინდივიდუალური მენარმეების საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი. რეალურად გათანაბრების ტრანსფერის ასეთ შემცირებას არნაირი კანონიერი საფუძველი არ ჰქონდა, თუმცა ეს შემცირება 2017 წელს შენარჩუნებული იქნა და 2018 წლის ბიუჯეტიც სწორედ ასეთივე პარამეტრითაა დაგეგმილი.

ზოგადად, ხელისუფლების დონებს შორის საბიუჯეტო ურთიერთობების მთავარი მახასიათებელია ცენტრალური ხელისუფლების ნების დომინანტი კანონებზე და საბიუჯეტო ავტონომიურობის პრინციპის დარღვევა პოლიტიკური კონიუქტურის თუ ადმინისტრაციული მიზანშეწონილობის საბაზით. შედეგად, საქართველოს გადასახადის გადამხდელთა ფული ნაკლებად უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტო-

რიათა თანაბარ სოციალურ და ეკონომიკური განვითარებას, ისევე როგორც ნაკლებად უზრუნველყოფს ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას მოქალაქეებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყოველივე ამას ცხადყოფს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსების სამწლიანი ტენდენციის ანალიზი.


**ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 წლის ჭრილში**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება წლიდან წლამდე იცვლება. თუმცა 2015 საბაზისო წელთან შედარებით სახეზეა აშკარა შემცირება, დაფინანსება ყველაზე ნაკლები 2016 წელს იყო, როცა ადგილობრივმა ბიუჯეტებმა 233 მილიონით ნაკლები დაფინანსება მიიღო (დიაგრამა 1)

2017 წლიდან საქართველოს მთავრობამ გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსების მოცულობა, თუმცა 2018 წლის დაგეგმილი მაჩვენებელი 2015 წლის დაფინანსებზე 135 მილიონი ლარით ნაკლებია. საყურადღებოა, რომ არც 2016 წლის და არც 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების ვერბალური ნაწილი და არც ამ საკანონმდებლო აქტების განმარტებითი ბარათები იძლევიან ინფორმაციას თუ რით იყო გამოწვეული დაფინანსება კლება (2016 წელი) ან დაფინანსების მატება (2018).

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი დაფინანსება სამი კომპონენტისგან შედგება - გათანაბრებითი ტრანსფერი, მიზნობრივი ტრანსფერი და სპეციალური ტრანსფერი. თვალშისაცემია ის, რომ გათანაბრებითი ტრანსფერის ცვლილებასთან ერთად, იცვლება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობაც (ცხრილი 1), მაშინ როდესაც მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის არის განკუთვნილი და გაუგებარია თუ რა განაპირობებს მის ყოველწლიურ ცვლილებას.

დაფინანსება სახ. ბიუჯეტიდან მლნ. ლარი



დიაგრამა 1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტებზე გადასაცემი თანხები


ცხრილი 1. ადგ ბიუჯეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერები სახელმწიფო ბიუჯეტიდან

ტრანსფერის სახე	2014	2015	2016	2017	2018*
	ლარი				
გათანაბრებითი ტრანსფერი	776,141,900	834,233,000	599,332,000	654,762,000	700,230,000
მიზნობრივი ტრანსფერი	11,250,000	11,567,000	11,768,000	11,817,000	11,770,000
სპეციალური ტრანსფერი	8,500,000	9,000,000	10,600,000	9,400,000	8,000,000
<b>სულ</b>	<b>795,891,900</b>	<b>854,800,000</b>	<b>621,700,000</b>	<b>675,979,000</b>	<b>720,000,000</b>
* პროექტი					
წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო					

აქვე, აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან სპეციალური ტრანსფერი გადაეცემა მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს, მაშინ როდესაც 2014 წლამდე სპეციალური ტრანსფერები გადაეცემოდათ ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებსაც, თუმცა 2014 წლიდან ეს პაქტიკა აღარ გაგრძელებულა. 2018 წლისთვის სპეციალური ტრანსფერის გადაცემა გათვალისწინებულია მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის.

რაც შეეხება გამოთანაბრებით ტრანსფერს, მისი ოდენობა 2018 წლისთვის განსაზღვრულია 700 მილიონ 230 ათასი ლარით რაც 19% ნაკლებია 2015 ანალოგიურ მაჩვენებელზე თუმცა 45.5 მილიონი ლარით მეტია 2017 წლის მაჩვენებელზე. გამოთანაბრებითი ტრანსფერის მთლიანი ფონდიდან ყველაზე დიდ წილს (49%)<sup>1</sup> იღებს ქვეყნის დედაქალაქი თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დედაქალაქი სოციალურად და ეკონომიკურად ქვეყნის ყველაზე განვითარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, იგი მაინც მონაწილეს გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდის განაწილებაში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ ფაქტს ხსნის საქართველოში მოქმედი გათანაბრების

სისტემის “ორბუნოვნებით” ანუ, თბილისთან მიმართებაში ეს ფული გამოიყენება არა განათანებრებისთვის არემედ ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილების აღსრულების ხარჯის დასაფინანსებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წლიდან წლამდე ქალაქ თბილისისთვის გადასაცემი ტრანსფერი იცვლება 2015 წელთან შედარებით, ყველაზე დიდ შემცირებას (42%-ით) ადგილი ჰქონდა 2016 წელს. ასევე აღსანიშნავია, რომ თბილისისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის თითქმის განახავრება არ მომხდარა გათანაბრების ფორმულის შეცვლის ხარჯზე, უბრალოდ საქართველოს მთავრობამ შეცვალა ქალაქ თბილისის მხარდაჭერის კოეფიციენტი რამაც გათანაბრებითი ტრანსფერის ასეთი დრამატული ცვლა გამოიწვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლების არგუმენტაცია და რაიმე სახის განმარტება არ ყოფილა გაკეთებული არც საქართველოს მთავრობის, არც პარლამენტის და არც თავად თბილისის მერიის მხრიდან. თუ გათანაბრებით ტრანსფერში ქალაქ თბილისის წილის 3 წლიან მონაცემს გადავხედავთ იგი 48%- 49%-ს ფარგლებში მერყეობს.



დიაგრამა 2: ქ.თბილისის წილი გამოთანაბრებითი ტრანსფერის მთლიან მოცულობაში

1 კანონპროექტი 2018 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ



გათანაბრებითი ფორმულის ოდენობა ძირითადად მიბმულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ოდენობაზე, საქართველოს ხელისუფლება ადრე გარკვეული ერთეულების მიმართ (2014 წლის რეფორმით გამოყოფილი ქალაქები) პრეფერენციული მიდგომით გამოირჩეოდა, რაც გამოწვეული იყო ამ ერთეულების მიმართ მხარდაჭერის მაღალი კოეფიციენტების გამოყენებით. მაგალითად, 2017 წლისათვის მოსახლეობის ერთ სულზე გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენდა 179 ლარს, ხოლო 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 188.2 ლარია. აქედან საერთო ეროვნული მაჩვენებელზე უფრო მაღალი ტრანსფერი მოსახლეობის ერთ სულზე ჰქონდა 22 მუნიციპალიტეტს, 9 ერთეული საერთოდ არ იღებდა გათანაბრებით ტრანსფერს, ხოლო 42 მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე საერთო ეროვნულ საშუალოზე დაბალი იყო. 2017 წლისთვის საშუალოზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქალაქ ამბროლაურში, ყველაზე დაბალი კი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

ზოგადად, 2014 წლიდან 7 ახლად გამოყოფილ ქალაქს უფრო მეტი სახსრები, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი, ეძლეოდა, შესაბამისად ძალზე დიდი იყო სხვაობა გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილებაში მოსახლეობის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. 2017 წლის შემდეგ როცა ეს 7 ქალაქი კვლავ მუნიციპალიტეტების შემადგენლობაში დაბურუნდა სიტუაცია უმნიშვნელოდ გათანაბრდა, უწინარეს ყოვლისა სახეზე აღარ გვაქვს “ამბროლაურის პარადოქსი”. 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებლით გათანაბრებითი ტრანსფერი მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი 18 მუნიციპალიტეტს აქვს, მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, საშუალოზე 429 ლარით მეტი, აქვს ლენტეხის მუნიციპალიტეტს, მას რეჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის სხვა მუნიციპალიტეტები მოსდევს. ამ მუნიციპალიტეტების გარდა მაღალი მაჩვენებელი აქვს თიანეთის მუნიციპალიტეტს და საქართველოს დედაქალაქს თბილისს. ყველაზე ნაკლები დაფინანსება (საშუალო ეროვნულზე 150 ლარით ნაკლები მოსახლეობის ერთ სულზე) გათვალისწინებულია ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის. აქვე აღსანიშნავია რომ 2017 წლის 22 ნოემბერს ქალაქ თბილისის ახლადარჩეულმა მერმა უკან გამოითხოვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და დაიწყო მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროსთან ქალაქი ბიუჯეტის გაზრდისთვის. ამ მოლაპარაკების შედეგად ქალაქის ბიუჯეტი 60 მილიონი ლარით გაიზარდა.

ცალკე მსჯელობის საგანია ის მუნიციპალიტეტები რომლებიც არ იღებენ გათანაბრებით ტრანსფერს, 2017 წელს ასეთი იყო; მცხეთის, ყაზბეგის, ხობის, ასპინძის, ახალციხის, ბორჯომის, ბოლნისის მუნიციპალიტეტები და ქალაქი ფოთი. 2018 წლისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის გარეშე 8 მუნიციპალიტეტია. 2017 წლისგან განსხვავებით გათანაბრებითი ტრანსფერის გადაცემა გათვალისწინებულია ქალაქი ფოთისთვის, მცხეთის და ხობის მუნიციპალიტეტებისთვის (რომლებიც 2017წელს არ იყვნენ მიმღებები), 2017

წლისგან განსხვავებით გათანაბრებითი ტრანსფერი 2018 წელს არ მიეცემა შუახევის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებს.

8 მუნიციპალიტეტისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის არ გადაცემა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რეალობაში გათანაბრებითი ტრანსფერი არ ასრულებს განვითარების და დაფინანსების გათანაბრების ამოცანას, მისი უმთავრესი ამოცანაა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის ნეგატიური სხვაობის დაფარვა. არანაირი ოფიციალური განმარტება თუ რატომ არ გადაეცემა ტრანსფერი ზემოჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებს (გარდა იმისა რომ მათი ადგილობრივი შემოსავლები საკმარია დაგეგმილი ხარჯების დასაბინანსებად) არც ფინანსთა სამინისტროს და არც საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტს მიუწოდებია საზოგადოებისთვის.

თუ გადავხედავთ იმ მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტებს რომლებსაც 2017 წელს არ მიუღიათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ვნახავთ რომ ფინანსთა სამინისტრომ ამ მუნიციპალიტეტებს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი საგადასახადო შემოსავალით, კერძოდ ქონების გადასახადით, მიღებული ფული გათანაბრებით ტრანსფერში გაუქვითა. აქ ყურადღება მიექცა არა იმას, რომ ეს მუნიციპალიტეტები თავისი სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქვეყნის დედაქალაქს თბილისს, არამედ ამოსავალ წერტილად აიღეს ფაქტი, რომ ადგილობრივი შემოსავალი საკმარისი იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფარავად და შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრომ არ ჩათვალა საჭიროდ გამოეყენებინა მხარდაჭერის კოეფიციენტი და გათანაბრებითი ტრანსფერი მიეცა ამ 8 მუნიციპალიტეტისთვის.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. 2017 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (იხილე ცხრილი 2). ეს მაგალითი აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის შემოსავლის მთავარი წყარო არის ქონების გადასახადი, კერძოდ კი სანარმოთა ქონების გადასახადი. თუ საკითხს სიღრმისეულად შევისწავლით აღმოვაჩინებთ, რომ აქ ქონების გადასახადის კონტიგენტი რამდენიმე მსხვილი ადგილობრივი სასტუმროსა და ჰიდრელექტროროსადგურისგან შედგება და ეს მოკრძალებული ბაზა ახლოსაც ვერ მივა იმ შესაძლებლობებთან რაც გააჩნია ქალაქ თბილისს ან ქალაქ ბათუმს. თუმცა თბილისიც და ბათუმიც სოლიდურ დახმარებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ტრანსფერის სახით. ამ განსხვავებას საერთოდ არ ექცევა ყურადღება, მთავარია რომ იმ ხარჯების დასაფარავად რისი განვივის უფლებაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა მიიღო ამ მისი ბაზიდან შემოსული ადგილობრივი შემოსავალი საკმარისია. ზუსტად იგივე ლოგიკაა გამოყენებული ყველა იმ მუნიციპალიტეტის მიმართ რომლებიც არ იღებენ გათანაბრებით ტრანსფერს, მაგალითისთვის ავიღოთ ხობი, აქ 4 მილიონ ლარამდე არის ქონების გადასახადი, საიდანც ლომის წილი მოდის ყულევის ნავთობტერმინალზე. ასევე, 2016 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლად

ცხრილი 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

	2017 წლის ბიუჯეტი ათასი ლარი		
	სულ	სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობანი</b>	<b>5062.0</b>	<b>0.0</b>	<b>5062.0</b>
1. შემოსავლები	5062.0	0.0	5062.0
3.1. არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0
1. შემოსავლები	5062.0	0.0	5062.0
<b>1.1. გადასახადები</b>	<b>3707.6</b>	<b>0.0</b>	<b>3707.6</b>
1.1.3. ქონების გადასახადი	3587.6	0.0	3587.6
113111. საქართველოს საქარმოთა ქონებაზე	3545.6	0.0	3545.6
113113 ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.0	0.0	1.0
113114 სასოფლო სამეურნეო მიწაზე	0.0	0.0	0.0
113115 არა-სასოფლო სამეურნეო მიწაზე	41.0	0.0	41.0
<b>1.3. გრანტები</b>	<b>85.0</b>	<b>85.0</b>	<b>0.0</b>
1.3.3. მიზნობრივი ტრანსფერი	85.0	85.0	0.0
<b>1.4. სხვა შემოსავალი</b>	<b>1236.5</b>	<b>0.0</b>	<b>1236.5</b>
1414 რენტა (შემოსავალი საკუთრებიდან)	27.2	0.0	27.2
14151 ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის	25.0	0.0	25.0
14154 მიწის იჯარის გა და მართვაში გადაცემისგან	2.2	0.0	2.2
12159 სხვა რენტა	0.0	0.0	0.0
142 საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	1017.2	0.0	1017.2
1422 ადმინისტრაციული მოსაკრებელი და სახდელი	1017.2	0.0	1017.2
12223 სანებართვო მოსაკრებელი	7.2	0.0	7.2
142224 სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1000.0	0.0	1000.0
142299 დასუფთავების მოსაკრებელი	10.0	0.0	10
143 ჯარიმები, სანქციები საურავები	210.0	0.0	210.0
145 არაკლასიფიცირებული შემოსავლები	15.0	0.0	15.0
<b>3.1. არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
311. ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0
312 მატერიალური მარაგი	0.0	0.0	0.0
314 არანარმოებული აქტივი	0.0	0.0	0.0

დადგინდა ინდემნარმე პირების გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, ამ სახით 2.8 მილიონი ლარის მობილიზება დაიგეგმა ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და შესაბამისად, ეს თანხა ავტომატურად გამოაკლდა მიზნობრვ ტრანსფერს და მისი ოდენობა ნულის ტოლი გახდა.

2018 წლის სახელმწიფო ბუჯეტის კიდევ ერთი სიახლე გახლავთ ის, რომ აჭარის ავტონომიური რეს-

პუბლიკის ადილობრივი თვითმმართველი ერთეულები აღარ იღებენ მიზნობრივ ტრანსფერს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მათ მიზნობრივი ტრანსფერი გადაეცემათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. იმ პირობებში როცა ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის არ გადაუცია მიზნობრივი ტრანსფერი ან შემოსავლის რაიმე დამატებითი წყარო ამ ახალი ხარჯის დასაფინან-

ნსებლად და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ეს დელეგირებული უფლებამოსილებანი განეკუთვნება ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობას, მისი დაფინანსება ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ნიშნავს - ცენტრალურმა ხელისუფლებამ არა მარტო დაარღვია ბიუჯეტის ავტონომიურობის პრინციპი, არამედ შეამცირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი რადგან მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გასანევი ხარჯი გადააკისრა.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ყოველი წლის ბიუჯეტის პროექტის გარშემო ცხარე განხილვა იმართება, არასდროს დასმულა ბიუჯეტის ზემოაღნიშნული კონცეფციის შეცვლის და მისი მიმდინარე ხარჯების განაწილების ინსტრუმენტიდან ე.წ. განვითარების საფინანსო ინსტრუმენტად ქცევის საკითხი. არადა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსების 3 წლიანი დინამიკის ანალიზი აჩვენებს, რომ არსობრივი ცვლილების გარეშე ფულის ასე "საკვებურის პრინციპით" გადანაწილება წამლის კი არა სანამლავის ფუქციას ასრულებს.

**საჯარო ფინანსების არსებული სისტემა ნაკლებად უზრუნველყოფს ძველის განვითარებას**

**2 15.08.2017-მიხეილ ჯიბუტი სტუმრად დავით აქუბარდიასთან.** თემა : რას გვთავაზობს თბილისის მერია მიწათსარგებლობის გენგეგმის სახით? <https://www.youtube.com/watch?v=loz0GGYfSIU> ნაწილი 1 - სპექტრი-კავკასია TV მიხეილ ჯიბუტი სტუმრად დავით აქუბარდიასთან. თემა: რას გვთავაზობს თბილისის მერია მიწათსარგებლობის გენგეგმის სახით <https://www.youtube.com/watch?v=PjIKSRLtpI4> ნაწილი 2-სპექტრი- კავკასია TV

#### **მოქვეყნდა სტატია “სად არის თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ ნამდვილი მიზეზი?”<sup>3</sup>**

სტატიაში ნათქვამია: „მე უკვე ვწერდი ე.წ. „თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ იმ საჯარო განხილვების, როგორც ფარსის შესახებ, რომელიც თბილისის ხელმძღვანელობამ მოაწყო ა.წ. ივლის - აგვისტოში, ვითომ ახალი მგგ-ზე (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა). საქმე იმაშია, რომ არც ასეთი მგგ, არც მისი პროექტი ახალი რედაქციით არ არსებობს. ამ განხილვებს აშკარად ცინიკური ხასიათიც ჰქონდა. ამ განხილვებით ხდებოდა „ხალხის მასების“ თითქოს მმართველობითი გადანყვეტილებების მიღებაში ჩართულობის დემონსტრირება. მე იმასაც გაუფსვი ხაზი, რომ ეს ვერ მოხდებოდა იმ ადამიანების გულგრილობის გარეშე, რომლებიც ამ განხილვებისათვის აუდიტორიას ქმნიდა.“<sup>4</sup>

ჩემმა ერთმა უახლოესმა მეგობარმა სტატიის ნაკითხვის შემდეგ დამირეკა, თავისი აზრი მითხრა, რალაც მომიწონა, რალაც შემისწორა. მთავარია, როგორც ძველი ფუნქციონერი, აღშფოთებას ვერ მალავდა აღმასრულებელი და წამომადგენლობით ორგანოთა ხელმძღვანელი პირველი პირების მიერ ერთად იმ საკითხის განხილვაში მონაწილეობის გამო, რომელიც ცოტა ხანში ერთმა უნდა წარუდგინოს და მეორემ უნდა დაამტკიცოს. გასაკვირი რაა? საქართველოში ხომ მმართველობის სისტემაში ყველა დონეზე ეხლა არაფორმალური ჭარბობს ფორმალურს? ერთად სიარული თანამოაზრეობის დემონსტრაციაა გათითოკაცებულ გარემოში. ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე თუ ერთად ხვდებიან ბავშვებს, ეს კარგია, მაგრამ თუ ერთად ხვდებიან სახელმწიფო დაკვეთის შემსრულებელს, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფული გადაუხადეს პროდუქტის შექმნაში (ამ შემთხვევაში მგგ-პროექტის შექმნაში), რომელსაც ვადა გაუვიდა ამ პროდუქტის წარმოსადგენად, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია (მის ნაცვლად წარმოადგინა ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მგგ „მასალები“) და ერთად „იხილავენ“ საჯაროდ ამ არ არსებულ გეგმას (და არა პროექტს!), რომელიც ერთმა უნდა მიიღოს, ხოლო მეორემ უნდა დაამტკიცოს-ეს ცუდია, უფრო მეტიც ეს ტყუილია, ბლეფია, რაც ახდენს იმ ინსტიტუტების დისკრედიტაციასა და მათი ფუნქციების ათროპიას, გადაგვარებას, რომელსაც ეს პირები წარმოადგენენ.

ვისაც საკითხისადმი მხოლოდ მიმდინარე ინტერესი აქვს, შინაარსის გაგებისთვის ხელის შეუშლელად შეუძლია გამოტოვოს წვრილი შრიფტით ნაბეჭდი, რომელიც მოგვითხრობს ქალაქ თბილისის განვითარების გეგმების ისტორიას.

**ქალაქ თბილისის დიდი ისტორიული თავგადასავალი აქვს გადატანილი. ყველა დრო თავის დაღს**

**3 15.08.2017.** მიხეილ ჯიბუტი - “სად არის თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ ნამდვილი მიზეზი?” <http://iverioni.com.ge/16403-mikheil-jibuti-sad-aris-thbilisis-tsinaagmdeg-shethqmulebis-namdvili-mizezi.html>

**4** <http://iverioni.com.ge/16402-mikheil-jibutishethqmuleba-thbilisis-tsinaagmdeg.html>.

ასვამს ქალაქის განვითარებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ბოლო ყველაზე დიდი ცვლილება თბილისმა საბჭოთა კავშირის არსებობის დროს (1921-1991 წწ) განიცადა. საბჭოთა პერიოდში თბილისის განვითარების სამი გენერალური გეგმა იქნა მიღებული: 1934, 1954 და 1972 წლებში. ეს უკანასკნელი მიღებულ იყო 2000 წლამდე მოქმედების ვადით, თუმცა მან ფაქტობრივად 2009 წლამდე იმოქმედა. ჯერ ლეგიტიმურად, იმიტომ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 25 მაისის №211 ბრძანებულებით „თბილისის ურბანული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“<sup>1</sup> თბილისის განვითარების 1972 წლის გენერალურ გეგმას ვადა 2003 წლის ბოლომდე გაუგრძელდა. შემდგომ მოქმედებდა, როგორც საკანონმდებლო ვაკუუმის შემავსებელი ნორმატიული აქტი, რადგანაც პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული დავალება „ქ.თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის „2001-2003 წლებში მომზადებისა და პრეზიდენტთან დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ თბილისის მერიამ დროზე არ შეასრულა. ქალაქ თბილისის საკრებულომ 2009 წლის 5 ივნისის № 6-17 გადაწყვეტილებით მიიღო „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“. ამ დროისათვის უკვე მოქმედებდა საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (მიღებული 2005 წლის 2 ივნისს<sup>2</sup>, რომელშიც არ იყო „პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ ცნება. ეს ცნება მოცემული საქართველოს კანონში „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ (მიღებული 1998 წლის 20 თებერვალს), ვიდრე არ მოხდა ამ კანონის ინკორპორირება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (მიღებული 2014 წლის 5 თებერვალს<sup>3</sup>. ამ ფორმალური მიზეზით დაჩქარდა ახალი „გენერალური გეგმის მიღება“.

2014 წლის 30 დეკემბერს № 20-105 დადგენილებით ქ. თბილისის საკრებულომ დაამტკიცა დღეს მოქმედი „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“<sup>4</sup>. ამ გეგმის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უკვე ხუთ თვეში! 2015 წლის 21 მაისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დაკეთდა საკონკურსო განცხადება: „საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების (ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ.) სახელმწიფო შესყიდვა“ (შემდგომში: „განცხადება“). (ტექსტში საუბარია აგრეთვე „მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებისა და სრულყოფის“ შესახებ. განცხადება, პუნქტი 4.1.).

როგორაა დასაბუთებული საკონკურსო განცხადებაში დედაქალაქის მგგ-ს „განახლების“ აუცილებლობა?

1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1254806>

2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29614>

3 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>

4 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2669598>.

ჯერ ერთი, განცხადებაში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის 2014 წლის 30 დეკემბერს № 20-105 დადგენილებით იგივე დოკუმენტი დამტკიცდა, რაც უკვე დამტკიცებული იყო (???????) თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის № 6-17 გადაწყვეტილებით, ანუ შეიცვალა მხოლოდ დასახელება და სინამდვილეში „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“ იგივეა რაც „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“ და პირიქით. ეს გაუგონარი ამბავია, რომ ერთხელ დამტკიცებულ დოკუმენტს მეორედ იღებდნენ! თუ მარტო სათაურის პრობლემა იყო, საკმარისი არ იყო სათაურში ცვლილებების შეტანა? აქ მეტ კომენტარს არ გავაკეთებ. ეტყობა საქმე გვაქვს კომპეტენტურობის იმ „სიღრმეებთან“, რომლის გაგებას სხვა მეცადინეობა ჭირდება.

განცხადებით ვგებულობთ, რომ 2014 წლის ბოლოს(!) არქიტექტურის სამსახურმა „მონვეული ექსპერტების დახმარებით“ (!!!) „დაიწყო 2009 წლის დოკუმენტის კვლევა-ანალიზი“ (!!!) (რისი თქმა უნდათ? ანალიზი არის კვლევის მეთოდი-მ.ჯ.) და „2015 წლის დასაწყისში დასრულებულმა ანალიზმა აჩვენა რომ „თბილისის 2009 წლის „გენგეგმა“ (ანუ იგივე 2014 წლის მგგ! - მ.ჯ.) არ წარმოადგენს სრულყოფილ, ყოვლისმომცველ და, შესაბამისად, რელევანტურ (მნიშვნელოვან, აქტუალურ, არსებით - მ.ჯ.) დოკუმენტს დედაქალაქის სივრცითი განვითარების უზრუნველსაყოფად გრძელვადიან პერიოდში (ხაზგასმა ჩემია - მ.ჯ.) შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო:

- დოკუმენტს ახასიათებს ჭარბი დეკლარატიულობა და მოკლებულია პრიორიტეტებისა და დებულებების განხორციელების გზების მითითებას;

- ის არ ასახავს (არ ეყრდნობა) ქალაქის განვითარების მკაფიო ნიმუშს, სტრატეგიულ ხედვას (როგორი ქალაქი უნდა გახდეს თბილისი) და მეტწილად სპორადულ (ცალკეულ, შემთხვევით, ეპიზოდურ-მ.ჯ.) განვითარებაზე მიმართული;

- მასში სათანადოდ არ არის ინტეგრირებული ქალაქის უმნიშვნელოვანესი ქვესისტემების განვითარების ურთიერთკოორდინირებული სქემები (მაგ., სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული);

- ის არ არის მიღებული და არ ხორციელდება შესაბამისი ინტერეს-ჯგუფების (საჯარო სექტორის, კერძოსექტორის/ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების), და რაც მთავარია, ქალაქის განვითარების სპეციალისტების ურბანისტების, საკმარისი კონსულტაციის საფუძველზე (ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ.); ამიტომ, სპეციალისტებისა და საზოგადოების ზოგ წრეებში ხდება გენგეგმის სრული ან ნაწილობრივ იგნორირება“.

კვლევამ აჩვენა, რომ არსებული „გენგეგმა“ არარელევანტურია „რძელვადიანი პერიოდისთვის“. განცხადებაში ნათქვამია, რომ ის უვარგისია ოპერატიული საქმიანობისთვისაც: “მმართველობით მყისიერ გადაწყვეტებზე „გენგეგმის“ მორგების პერმანენტულმა პროცესმა დაარღვია მოქმედი დოკუმენტების მთლიანობა, დაშალა იგი ისეთ ცალკეულ ფრაგმენტებად, რომელთა მართვისთვისაც ადმინისტრაციის დისკრეციული (თავისი შეხედულებისამებრ მოქმედების

უფლება-მ.ჯ.) უფლებამოსილების ზრდა „ობიექტურ მოვლენად“ იქცა“.

ეს არის კომპეტენტური ორგანოს ოფიციალურ დოკუმენტში მოცემული შეფასება იმ სიტუაციისა, თუ რა ხდებოდა მინიმუმ 2009-2015 წლებში თბილისის, როგორც ქალაქის ცხოვრებაში, მის ურბანულ განვითარებაში.

ამ ისტორიაში სამწუხარო ისაა, რომ 2009 წელს მიღებული მარეგულირებელი დოკუმენტის ნაკლოვანებების დადგენას დასჭირდა 6 წელიწადი(!) და „კვლევა-ანალიზით“ ეს მხოლოდ 2015 წლის დასაწყისში გახდა ცნობილი.

რატომ მანამდე ვერ გაიგეს? - ამის შეფასებას აქ გამოვტოვებ, მაგრამ დავსვამ კითხვას - როდესაც გაიგეს, როგორი უნდა ყოფილიყო რეაქცია და ქმედება? ლოგიკური პასუხია: ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო ამ „ბოროტი დოკუმენტის“ თავიდან მოსაშორებლად. თითქოს სინამდვილეშიც ასე მოხდა: არქიტექტურის სამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ ის „**გადაუდებელ აუცილებლობად** მიიჩნევს ტერიტორიულ-სივრცითი განვითარების ახალ გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე ორიენტირებულ ხედვაზე დაფუძნებული და საზოგადოების მიერ გაზიარებული პრინციპების შესაბამისად **არსებული „გენგემის“ განახლებას**“ (ხასგასმა ჩემია-მ.ჯ.). **მივაქცევ ყურდღებას „გადაუდებელი აუცილებლობა“ ყოფილა „არსებული „გენგემის“ განახლება“!**

ზემოთ მითითებული შეფასებების შემდეგ, ჯანსაღი აზრის პრინციპით, მინიმუმ ახალ გენგემაზე, გენგემის ახალ რედაქციაზე მაინც უნდა ყოფილიყო საუბარი. და ასეც, რომ ყოფილიყო იქნებოდა თბილისის ურბანული კრიზისის დასაძლევად საკმარისი ახალი რედაქციით „ქ.თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“? არ იქნებოდა და აი რატომ.

საქართველოს კანონით „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოში შემოღებულ იქნა სივრცითი მოწყობის სისტემა, რომელიც ერთ კომპონენტად მოიცავს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვას. „**სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა - საქმიანობა, რომელიც არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, მიწათ სარგებლობის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეკრეაციის სივრცით-ტერიტორიული პირობების, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს**“ (პუნქტი 2. „გ“).

აღნიშნული კანონით განსაზღვრულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის ტიპები და იერარქია“ (მუხლი 10.), რომლის მიხედვითაც „საქართველოში ხორციელდება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა: ა) ქვეყნის ტერიტორიისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიების სივრცითი მოწყობა, რომლის სახეობებია: ა.ა) ქვეყნის ტერიტორიის სივრცითი მოწყობა - ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემა; ა.ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების

ტერიტორიების სივრცითი მოწყობა - ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემები; ბ) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობა - მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა; გ) დასახლებათა (ქალაქის, დაბის, სოფლის) ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა, რომლის სახეობებია: გ.ა) მინათსარგებლობის დაგეგმვა - მინათსარგებლობის გენერალური გეგმა; გ.ბ) განაშენიანების დაგეგმვა - განაშენიანების რეგულირების გეგმა“. **კანონიდან გამომდინარე, თბილისის უნდა ჰქონდეს თბილისის „ქალაქმშენებლობითი გეგმა“, რომელიც შედგება „მინათსარგებლობის გენერალური გეგმისა“ და „განაშენიანების გეგმისგან“.**

**კანონი განმარტავს თუ რა რას ნიშნავს.**

„**მინათსარგებლობის გენერალური გეგმა -** ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მინათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს (პუნქტი 2. „მ“).

„**განაშენიანების რეგულირების გეგმა -** ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მინათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას“ (პუნქტი 2. „ნ“). **აქ პასუხის გასაცემად ვუბრუნდებით კითხვას: განცხადებაში აღწერილი სიტუაციის დასაძლევად საკმარისია მართო „მინათსარგებლობის გენერალური გეგმის“ (მგგ) განახლებული, თუნდაც იდეალური ვარიანტი? ერთმნიშვნელოვნად არა, როგორც ამას გვეუბნება კანონი. ამისათვის საჭიროა მასთან ერთად იყოს „განაშენიანების რეგულირების გეგმა“ (გრგ).**

**როდისაა ასეთი სიტუაცია მოსალოდნელი?**

ამისათვის ჯერ უნდა ჩაამთავრო დანყებული სახელმწიფო შესყიდვა მგგ-ზე და შემდეგ მიიღო გრგ. ქალაქის მმართველობას არ აქვს ამის ადამიანისეული რესურსები. არ არის სპეციალიზებული კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები. ამიტომ კვლავ კონკურსი უნდა გამოცხადდეს და... როდის რა იქნება!

**ინფორმაციისათვის: როდესაც წინა სტატია გამოვაქვეყნე პროფესორმა მირონ ტულუშმა მომწერა წერილი, რომელიც იმიტომ მომაქვს, რომ ხაზი გავესვა რა მოცულობის სამეცნიერო პოტენციალის მობილიზება საჭირო სერიოზული საპროგნოზო სამუშაოებისათვის და რომ ჯერ კიდევ ფორმაშია დაგეგმვის**

სპეციალისტები! ამონარიდი მ.ტულუშის წერილიდან: მე, ვახტანგ ვეფხვაძესთან ერთად თბილისის წინა (2000 წლამდე პერიოდისათვის) გენგემის პროექტის თანაავტორი ვიყავი, „მოსახლეობა და შრომითი რესურსები“ ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენს მიერ სქესისა და ასაკის მიხედვით დამუშავებული თბილისის მოსახლეობის პროგნოზი 2000 წლამდე პერიოდისათვის შესაბამის მეთოდურ და მეთოდოლოგიურ მასალებთან ერთად 1979 წელს განიხილა საკავშირო გოსპლანმა და თბილისის აღმასკომს დაავალა ყველა სახის პროგნოზულ გაანგარიშებას მოსახლეობის ეს პროგნოზი დადებოდა საფუძვლად და ასეც ხდებოდა. ამ გენგემის პროექტის დამუშავებაში 20 -ზე მეტი ორგანიზაცია მონაწილეობდა (მათ შორის რამდენიმე საკავშირო დაქვემდებარების იყო).“

კონკურსის გამოცხადებას ხომ განცხადებაში არსებული სიტუაცია არ შეუცვლია. თბილისის ურბანული კრიზისის გაღრმავების პროცესი ხომ უცვლელია? ქალაქის ცხოვრება თითქმის მთლიანად თავისუფალ ბაზარსა და ქვემდებარებულს! სიტუაციას ვერ ცვლის კონკურსის შედეგად მიღებული საუკეთესო შედეგებიც, მისი მთლიანი სისტემის ნაწილად ყოფნის გამო, როდესაც სისტემის სხვა ელემენტები არ არის შესაბამისობაში.

დროს ფაქტორი მნიშვნელოვანია საქართველოს-ნაირ ქვეყანაში: აქ უშედეგოა მოქმედება პრინციპით ჯერ ეს, შემდეგ ის. საჭიროა სისტემური და კომპლექსური მოქმედება. ერთი ნარმატიული საქმე, გეგმა, პროექტი დაიკარგება თუ არ არის სისტემაში. ამიტომ გვაქვს რეფორმების კრიზისი, მათი რევერსული განვითარება. ასეა 25 წელზე მეტია. ამის კარგი მაგალითია „გენგემის“ ისტორიაც.

მაინც როგორ განვითარდა პროცესები განახლებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით?

კონკურსით სამუშაოს შესრულების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვე (განცხადება, პუნქტი 4.2.). ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 15 ოქტომბერს კონკურსში პირველ ადგილზე გასულ ორგანიზაციასთან „სითი ინსტიტუტი საქართველო“. თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტზე ა.წ. 8 ივლისს გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფმა „სითი ინსტიტუტი საქართველო“ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს, ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული მასალები (ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ. შემდგომში: „მასალები“) წარუდგინა“<sup>1</sup>.

იქვეა მოცემული ეს მასალები<sup>2</sup>.

თუ თბილისის მერია ამ „მასალებს“ თვლის ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო მომსახურების შედეგად და მასზე აპირებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, მაშინ მას უნდა ჰქონდეს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროექტის სახე, სადაც მოცემული უნდა იყოს

ტექსტუალური და გრაფიკული ნაწილი ამ განახლებისა, კონკრეტული მითითებით შემსრულებელი თუ რას თვლის რომ უნდა შეიცვალოს მომედ მგგ-ში და რით უნდა შეიცვალოს კონკრეტულად. აგრეთვე თუ მოქმედ მგგ უნდა დაემატოს, ან მოაკლდეს რაიმე-ისიც გარკვევით და კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული. ამ მოქმედი მგგ-ს განახლებით კონკურსის გამოცხადების მიზეზები ხომ მაინც უნდა მოიხსნას და იყოს ნაჩვენები თუ რა ცვლილებებით გადაიტყვევას არარეველანტური და რეველანტურად როგორც ოპერატიული საქმიანობისათვის, ისე გრძელვადიანი პერიოდისათვის. ასეთი რამ აქ არ არის.

თუ ვერ მოახერხებ ნახვა, უახლეს ხანში მოგანვლით მათ მოკლე დახასიათებას კანონმდებლობასთან, გეგმარებით დავალებასთან შედარების საფუძველზე, აგრეთვე ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, შინაარსისა და ფორმის თვალსაზრისით. ერთი შეიძლება ითქვას, ის რაც წარმოდგენილია მასალის სახით თავისთავად მნიშვნელოვანი ინტელექტუალური პროდუქტია და მის საფუძველზე თავისუფლად შეიძლება საკონკურსო დავალების შესრულება. რა მოხდა? სწორად ვერ განისაზღვრა ვის უნდა გაეკეთებინა ეს?

თუ მართლა ყველაფერი იმ თანხებთანაა კავშირში, რას ამ პროექტზე დაიხარჯა? ისე ამ კონკურსთან დაკავშირებით ბევრი საოცარი ამბები მოხდა.

1. კონკურსი გამოცხადდა 2015 წლის 21 მაისს, მასში გამარჯვებული ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ 2015 წლის 31 ივნისს „დაიბადა“ (რეგისტრირებულ იქნა)<sup>3</sup> 2. 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1742 განკარგულების საფუძველზე, ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურსა და უცხოურ საწარმო - „ფრაისვოთერ-ჰაუსკუპერს ცენტრალურიაზია და კავკასია ბი.ვი.-ს ფილიალი საქართველოში“ (PricewaterhouseCoopers) შორის გაფორმდა N42030651A001/015 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია, საკონკურსო კომისიას, საკონკურსო განაცხადებზე მუშაობის პროცესში, უწევდა საკონსულტაციო მომსახურებას. აღნიშნული მომსახურების ღირებულება შეადგინა 400 000 ამერიკული დოლარი“<sup>4</sup>.

3. 2015 წლის 13 ოქტომბერს ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-სთან დაიდო 50 000 ლარიანი ხელშეკრულება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შესყიდვაზე შესრულების ვადით 2015 წლის 31 დეკემბერი“<sup>5</sup>.

4. ერთ და იმავე დღეს, 2015 წლის 15 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარბაშვილის ხელმოწერით გამოიცა საქართველოს მთავრობის №2212 განკარგულება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

3 (<http://qronikaplus.ge/?p=11885>).

4 [http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna\\_Tbilisis\\_Generaluri\\_Gegmis\\_Samartlebrivi\\_Analizi\\_2017.pdf](http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna_Tbilisis_Generaluri_Gegmis_Samartlebrivi_Analizi_2017.pdf)

5 [http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna\\_Tbilisis\\_Generaluri\\_Gegmis\\_Samartlebrivi\\_Analizi\\_2017.pdf](http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna_Tbilisis_Generaluri_Gegmis_Samartlebrivi_Analizi_2017.pdf)

1 <http://tas.ge/?p=news&menuItem=7105>.

2 [https://drive.google.com/file/d/0B\\_nA9I8RJ6VSNkj-aeThHaHNqNVU/view](https://drive.google.com/file/d/0B_nA9I8RJ6VSNkj-aeThHaHNqNVU/view).



განხორციელების უფლების მიცემის შეახებ და იმავე დღეს-15 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება „სითი ინსტიტუტ საქართველოსთან“ 2 800 000 ლარზე.

რატომ დაჭირდა პროექტს 21 თვე, როგორ ხდებოდა მისი გადავადება, რა ინტერესები იკვეთება კონკურსის ჩატარებისა და გადანყვეტილებების დროს - ამის შესახებ იხილეთ **არჩილ კაიკაციშვილის** ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევის შედეგები **„თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების პროცესის მონიტორინგი და სამართლებრივი ანალიზი. ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“**. აპრილი, 2017 წ. ქ. თბილისი.<sup>1</sup> აგრეთვე **გიორგი ბაჯელიძის** სტატია.<sup>2</sup>

როგორც არ უნდა იყოს ამ კონკურსში ფულისთვის ქმედებები, ანუ მიზანი - ფული კონკურსში, ის მაინც უმნიშვნელოა და ყველაზე ნაკლებადაა საინტერესო. ის შეიძლება საინტერესო იყოს იმის გასარკვევად თუ რამდენად მოახდინა მან გავლენა მიღებული მომსახურების ხარისხზე.

**თუმცა იმ მიგნების შემდეგ, რაზეც უკვე აღვნიშნე, მეორეხარისხოვანი ხდება ზოგადად შესყიდული მგგ-ს განახლებული პროექტის ხარისხიც.**

საქმე იმაშია, რომ თბილისში ქალაქმშენებლობის მოსახერხებლად მართო მგგ საკმარისი არ არის. შემდეგ მისაღებია გრგ-ა, შემდეგ სხვა და სხვა. ასეთი ტემპით მონესრიგება ვერ ეწევა მოუნესრიგებლობას.

რატომ არ გამოცხადდა კონკურსი თბილისის ქალაქმშენებლობის სრულფასოვან გეგმაზე სრულად? რატომ, რომ 25 წლის მანძილზე თბილისში ყველა ხელისუფალი წინამორბედის საქმიანობის ბეჯითი გამაგრძელებელია და არ ცვლის უნესრიგობას წესრიგით თბილისისათვის?

რა ასაზრდოებს ამ ერთიანობას, ფაქტობრივად „შეთქმულებას“, თბილისის წინააღმდეგ?

უნესრიგობაში მოცემული მატერიალური ინტერესი. დაახლოებით „მღვრიე წყალში თევზის ჭერა ადვილიაო“-ს მაგვარი განწყობა. გარდა ამისა არც ვიცით და ნამდვილად ვერ ვაფასებთ უნესრიგობის გვარდიასა და მის გენერლებს. მათი ინტერესების გამაერთიანებელი ერთი მნიშვნელოვანი ხაზი გადის საერთოდ მიწაზე და განსაკუთრებით ურბანულ მიწაზე უნესრიგო საბაზრო ურთიერთობების შენარჩუნებაზე. დანვრილებით შემდგომში.“

აღნიშნულ პუბლიკაციას მოჰყვა იოსებ არჩვადის გამოხმაურებები „გენგემის“ საკითხებზე.<sup>3</sup> მან აჩვენა,

1 [http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna\\_Tbilisis\\_Generaluri\\_Gegmis\\_Samartlebrivi\\_Analizi\\_2017.pdf](http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna_Tbilisis_Generaluri_Gegmis_Samartlebrivi_Analizi_2017.pdf)

2 <http://qronikaplus.ge/?p=11885>.

3 16.08.2017- იოსებ არჩვადე - თბილისი იმ სიმფონიურ ორკესტრს ჰგავს, რომელსაც არ ჰყავს დირიჟორი და ამიტომ უკრავს კაკაფონიას. <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/447672-ioseb-archvadze-thbilisi-im-simfoniur-orkestrs-hgavs-romelsac-ar-hyavs-dirizhori-da-amitom-ukravs-kakafonias.html> 18.08.2017-იოსებ არჩვადე: გეგმა ფინანსური დასაბუთების გარეშე მკვდრად შობილი დოკუმენტია! <http://iverioni.com.ge/16404-ioseb-archvadze-gegma-finansuri-dasabuthebis-gareshemkvdradshobili-dokumentia.html>

რომ წარმოდგენილი მასალები სურვილების კრებულს წარმოადგენს, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის ჩვენების გარეშე და ამდენად უტოპიურია. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე ქალაქის დეკაპიტალიზაციის საფრთხეებს ქალაქის ისეთი ზეგანაშენიანების გამო, როგორსაც ადგილი აქვს სპორტის სასახლესთან, რასაც ავტორი ძალიან მორგებულად „ლაზას სექტორს“ ადარებს.

**2017 წლის 19 აგვისტოს გამოქვეყნდა სტატია როგორ ჩავაქროთ თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ კერა?⁴**

ქვემოთ მოგვაცქვს სტატიის სრული ტექსტი:

„ეს მესამე წერილია აღნიშნულ საკითხზე.

(წერილი პირველი - „შეთქმულება“ თბილისის წინააღმდეგ“<sup>5</sup>

წერილი მეორე - „სად არის თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ ნამდვილი მიზეზი?“<sup>6</sup>

ყველა წერილის სათაურში მეორდება სიტყვები - „შეთქმულება“ თბილისის წინააღმდეგ“.

თბილისზე აქ ლაპარაკია პირდაპირი და არა რაიმე გადატანითი მნიშვნელობით, როგორც მაგალითად, წინადადებაში „თბილისმა და ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საერთო პოზიცია“ და სხვა მსგავს შემთხვევაში. აქ საუბარია თბილისზე, როგორც თაობების მიერ შექმნილ ქალაქზე, სოციალურ სივრცეზე, როგორც სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ ფენომენზე, საქართველოში ურბანული კულტურის, ქალაქის ტიპის, ქალაქური შეგნების, ქალაქური სივრცითი ქცევის და ა.შ. გამსაზღვრელ ფენომენზე.

ამ თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულებაში“ ერთ მხარეს ვართ ყველანი „ჩვენ“-თბილისის სოციალური და მეორე მხარეს -საკუთრივ თბილისი. „ჩვენ“, რომ ნავალთ ყველანი და რომ მაინც დარჩება - იმ თბილისზეა საუბარი. თბილისის მინათსარგებლობის გენგემის ისტორია ამ „შეთქმულების“ ერთი ეპიზოდია, ერთი კერაა. მაგრამ მასში სრულად აისახა ამ „შეთქმულების“ ფიზიოლოგია და ანატომია, ამიტომ მისი ჩაქრობის საფუძველზე უნდა შემუშავდეს კონკრეტულად ენ. გენგემითა და საერთოდ თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ ჩახშობის მოქმედების „პროტოკოლი“.

რამ შექმნა ეს კონკრეტული კერა? აქ მიზეზთა მთელი ჯაჭვია:

**2015 წლის 21 მაისი** - საკონკურსო განცხადება: „საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ-მ.ჯ.) განახლების სახელმწიფო შესყიდვა.“

**2015 წლის 13 სექტემბერს** - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ გამოცხადდა გამარჯვებულად.

**2015 წლის 15 ოქტომბერი** - თბილისის მერიამ გაა-

4 19.08.2017-მიხეილ ჯიბუტი: როგორ ჩავაქროთ თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ კერა?<http://iverioni.com.ge/16405-mikheil-jibuti-rogor-chavaqroth-thbilisis-tsinaagmdeg-shethqmulebis-kera.html>

5 <http://iverioni.com.ge/16402-mikheil-jibutishethqmuleba-thbilisis-tsinaagmdeg.html>

6 <http://iverioni.com.ge/16403-mikheil-jibuti-sadaris-thbilisis-tsinaagmdeg-shethqmulebis-namdvilimizezi.html>

ფორმა ხელშეკრულება მგგ პროექტის შესრულებაზე „სითი ინსტიტუტ საქართველოსთან“ 2 800 000 ლარზე 18 თვის ვადით.

თუ რა და როგორ უნდა გაეკეთებინა ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-ს მოცემული ხელშეკრულებით - **ეთხოვა დაენერა იმავე ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-ს!!! თან ამისათვის ფული გადაუხადეს!!!**

**2015 წლის 13 ოქტომბერი** ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“-სთან გაფორმდა „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შესყიდვაზე ხელშეკრულება 50 000 ლარის ოდენობითა და 2015 წლის 31 დეკემბრამდე შესრულების ვადით.<sup>1</sup>

**2017 წლის 3 თებერვალი** - გამოიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის № 12 განკარგულება „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“.

**არც ესაა ორდინალური ამბავი:** სახელმწიფო შესყიდვას მერია ახორციელებს და საკრებულო დავალებას იძლევა? საკრებულოს ფორმალურად არ უნდა ჰქონდეს საქმე პროექტებთან მათი მომზადების სტადიაზე - მას ხომ ამ პროექტების მიღება ევალება? როგორ უნდა გაუწიოს ოპონირება საკრებულომ მისი მონაწილეობით მომზადებულ საკითხებს?

2017 წლის 8 ივლისი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტზე გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფმა „სითი ინსტიტუტი საქართველო“ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს, ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული მასალები (ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ. შემდგომში: „მასალები“) წარუდგინა“.

**2017 წლის ივლის-აგვისტოს დასაწყისში** დაიწყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება სხვადასხვა ლონსიძეებითა და მასმედიით, თითქოს უკვე არსებობს „თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მერია ქმნიდა ნიადაგს აღნიშნული მასალების სახით ხელშეკრულების შესრულებულად ჩათვლასა და ფორსირებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის (რის შემდეგაც სრული პასუხისმგებლობა ამ „მასალებზე“ გადადის მერიაზე). რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს „მასალა“? ის წარმოადგენილია ციფრული სახით სამ დისკზე, წარწერებით ერთს - „ტექსტური ნაწილი“, დანარჩენ ორზე - „გრაფიკული მასალა“ „„ტექსტური ნაწილი“ წარმოადგენილია 6 ტომად, 1000-ზე მეტ ელექტრონულ ფურცლად, რომელთაც აქვთ ერთი საერთო სათაური „ქალაქ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება“.

**ავტორები თვითონ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ტომები არ არის „გეგმის პროექტი“, რომ წარმოადგე-**

**ნილია მხოლოდ „გეგმის საპროექტო მომსახურებას“!** ეს შეიძლება მიგველოდოდა მტკიცებულებად და აღარ გაგვეგრძელებინა გარჩევა, მაგრამ ეს არ შეესაბამება ავტორებისადმი პერსონალურ პატივისცემას (ავტორის პიროვნებისადმი პირადი დამოკიდებულება და მისი ნაშრომისადმი დამოკიდებულება, მართალია თუ ერთმანეთს არ ემთხვევა რეალურ ცხოვრებაში გავლენას ახდენს, მაგრამ მაინც ორი სხვადასხვა რამეა, ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს).

**„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა“** (მუხლი 3.1. „ა“). იმავე კანონით „მომსახურება - შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა (მუხლი 3.1. „თ“). ნათქვამიდან ჩანს, რომ შესყიდვის ობიექტია „ქალაქ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი“-ს შექმნისათვის განუწერილი საქმიანობა, რომლის შედეგიც უნდა იყოს გეგმის პროექტი მატერიალური სახით. ამდენად, წარმოდგენილ ტომები „გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება“-ს, ანუ პროექტის შექმნის პროცესს არ წარმოადგენენ (ეს შეუძლებელია ნაბეჭდი პროდუქცია წარმოადგენდეს პროცესს), არამედ ამ პროცესის შედეგს, მაგრამ რას? ეს რომ იყოს გეგმის პროექტი, მაშინ სათაურსაც ასე დაანერდნენ, როგორც ამას მოითხოვს „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე გეგმარებითი დავალება“ (დანართი 1).

**დასკვნისათვის შევადარე ერთმანეთს: ერთი მხრივ, „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე გეგმარებითი დავალება“ და „საკონკურსო განცხადება“ და მეორე მხრივ, წარმოდგენილი „მასალები“, რის საფუძველზეც გააკეთე დასკვნა, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შედეგს - ქ. თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებულ პროექტს!!! რომ მასში არ არის „გეგმარებითი დავალების“ მიხედვით განსაზღვრული „მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი“ ( გვ.22). ის რაც წარმოდგენილია არის სამუშაო, ნედლი მასალა მგგ პროექტისათვის. ამ მასალის მიმართება მგგ პროექტთან ისეთივეა, როგორც მორისა საწინააღმდეგეთა, თიხისა ქოთანთან, ტვინისა ცოდნასთან.**

**დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: წარმოდგენილი სახით მასალის, ძირეული გადამუშავების გარეშე, რაიმე ნორმატიულ დოკუმენტად მიღება წარმოუდგენელია.**

**რაიმე ნორმატიული აქტის პროექტად წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა ეს მასალა ფორმალურადაც:**

1. ტექსტში ერთ მთლიანი სახით არაა წარმოდგენილი, არამედ ესაა თემატურად დალაგებული მასალა, სადაც „ჩანყოფილია“ ზოგან ავტორების მითითებით, ზოგან მის გარეშე სტატიები (სტატიების ატრიბუტიკით: რეზიუმე, აბსტრაქტი, გამოყენებული ლიტერატურა), ზოგი მასალა ჩვეულებრივ ნაბეჭდი,

1 [www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna\\_-\\_Tbilisis\\_Generaluri\\_Gegmis\\_Samartlebrivi\\_Analizi\\_2017.pdf](http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna_-_Tbilisis_Generaluri_Gegmis_Samartlebrivi_Analizi_2017.pdf), გვ.15., ბოლო ნახვა 16.08.2015.

ზოგი - დაქსეროქსებული ბუკლეტის სახითაა, ზოგი - დაქსეროქსებული დოკუმენტია, გვერდებს არ აქვს გამჭოლი ნუმერაცია და სხვ.

ეს როგორ უნდა ჩაითვალოს მისაღებ პროექტად?

2. ტექსტი სხვადასხვა ადგილას მითითებულია ავტორები. გაურკვეველია წარმოდგენილი მასალა კოლექტიური ნაშრომია, მასზე ავტორები ერთიან პასუხისმგებლობას აცხადებენ, თუ თითოეული მხოლოდ მის ნაწილზე აგებს პასუხს?

შეიძლება ნორმატიული დოკუმენტის პროექტის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა ავტორი ჰყავდეს?

3. ბევრი შემთხვევაა, როდესაც ერთი ავტორი არ ეთანხმება მეორეს. როგორ იქნება:

დოკუმენტში ორივე აისახება, თუ რომელი უნდა აისახოს ეს კენჭისყრით გადაწყდება?

4. ნაშრომში ავტორები თავს უფლებას აძლევენ იაზროვნონ, იფანტაზიონონ...

მაგალითად ერთი ნაწილი მთავრდება „კოლოფონით“ (ტ.1, გვ.123), მეორე „ეპილოგით“ (ტ.4 გვ.83) დოკუმენტი კოლოფონებითა და ეპილოგებით იქნება მიღებული?

5. ბევრ მასალას აქვს ლოგოები. რადგანაც შემსრულებლები ჩამოთვლილი არაა, გაუგებარია ესრა მასალებია?

საერთოდ რამდენად ორიგინალურია ის მასალები რაც წარმოდგენილია?

6. უნდობლობას ბაღებს ბევრი მომენტი.

მაგალითად, იოსებ არჩვაძის ნაშრომი სხვა პირზეა მინერილი - რა არის ეს?

საკრებულო ამ ტექსტს დაამტკიცებს? დამახინჯებულია ავტორთა გვარები - ეს რაც ვიცით და ჩვენი სფეროა, რაც ჩვენ არ ვიცით, იქ რა ხდება?

ნორმატიულ დოკუმენტში იქნება ლიტერატურის ჩამონათვალი?

7. მასალაში უამრავი პასაჟებია ისტორიული, სხვა ქვეყნის გამოცდილება-პარიზი, ლონდონი...

როგორც დოკუმენტის პროექტის წინა სამუშაო ვერსია ეს კარგია, მაგრამ დოკუმენტში ხომ ვერ ასახავ ამას? ისე თბილისის ენციკლოპედიაში უფრო მეტი მასალაა, ხოლო გამოცდილების შესახებ „გუგლში“ მილიონობით ინფორმაცია იძებნება.

8. იშვიათადაა მასალებში მოსაზრება, რომელსაც ახლავს ფინანსური საჭიროებების მითითება, გათვლები კი, როგორც წესი არაა. ყველა ის სურვილები რაც ამ მასალებშია მოცემული რომ გადაიყვანო ფულში, დასჭირდება არა 100, არა 1000, არა 100 000 მილიონი აშშ დოლარი, არამედ ას მილიარდზე მეტი. და ეს ყველაფერი 2030 წლამდე? როდესაც იქვე ტექსტში წერია, რომ 2030 წლამდე მეტროს რაიმე განვითარება ეკონომიკური შესაძლებლობების გამო რეალური არაა, მაშინ სხვა რაა რეალური? ან რატომ? როდესაც 2030 წლამდე ნავის გადამამუშავებელ ქარხნის აშენებას ვერ ახერხებს ქალაქი, მტკვარი რომ ანკარა გახდეს იმას შეძლებს? მასალებში აღნიშნულ საკითხს ყურადღება მიაქცია პროფესორმა სოსო არჩვაძემ. (იხ. ფინანსური დასაბუთების გარეშე მკვდრადშობილი

დოკუმენტია!<sup>1</sup> - უნდა გავიგონოთ პროფესიონალის ნათქვამი.

წინადადებების წამოყენების დროს ფულთან სტერილური დამოკიდებულების მაგალითია მასალებში დასკვნის სახით გასაკეთებელ ღონისძიებათა ჩამონათვალში უმოკლეს დროში თბილისში დაშაშის წყალის მინოდების მითითება. ასეთი მასალა ნორმატიული აქტის პროექტად გამოდგება?

9. მასალებისადმი უნდობლობას, სხვასთან ერთად „ელემენტალური (გენგეგმაში მეორეხარისხოვანი არაფერი არ არის!) საკითხებიც იწვევს. გეგმა 15 წლიანიაო გვიმტკიცებენ ავტორები და უთითებენ, რომ ის 2030 წლამდეა განსაზღვრული. 2030-2017=13! 2017 წელსაც რომ მიიღო გამოდის 13 წელი! 13 წელი ასეთი ტიპის გეგმებისთვის არის ძალიან მცირე დრო. კითხვა შემდეგია: 15 წლიან გეგმის მიღებას აპირებს მერია, თუ 13 წლიანის? თუ 15 წლიანის, მაშინ ორი წელი სადაა?

10. მასალებში მოცემულია უკვე არსებული პროგრამების, სტრატეგიების ანალიზი მათი გენგეგმასთან შეთანხმების მიზნით, მაგრამ რა ნაწილებში კონკრეტულად გაუგებარია. ავტორები ზოგიერთ პოზიციას მხარს უჭერენ, ზოგიერთს - არა. მაგალითად, მასალებში მოცემულია ავტორის პოზიცია, რომ ის მხარს არ უჭერს გეგმაში როგორ დამტკიცდება?

11. კონცეფციისა და გეგმის მიმართება გაუგებარია მოცემული, არა მარტო იდეების პროექტსა და მათი განხორციელების ფინანსური პროგნოზის გამო, არამედ იმიტომაც რომ მათი შინაარსი არ შეესაბამება დამკვიდრებულ პრინციპებს.

საქართველოში მართალია სტრატეგიის შემუშავების კანონი არაა, მაგრამ არსებობს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის № 629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“, რომლითაც შეიძლება გავიგოთ, თუ მთავრობას ამ საკითხებთან რა მიდგომა აქვს. გეგმის სტრუქტურა მოიცავს კონცეფციას, დიაგნოსტიკას, მოქმედების გეგმას, ფინანსურ პროგნოზს და ა.შ. არ შეიძლება გეგმა არ იყოს ორიენტირებული შედეგებზე და ეს შედეგები არ იყოს გამომხატული ინდიკატორებში.<sup>2</sup>

12. მასალები ვერც საერთოდ გეგმისადმი, როგორც ასეთისადმი და ვერც ნორმატიული აქტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“. ნორმატიულ აქტს აქვს განსაზღვრული სტრუქტურა, რეკვიზიტები, გარკვეული თანდართული დოკუმენტები. ბუნებრივია ეს უნდა არსებობდეს თავდაპირველად პროექტის სახით.

ნათქვამის შემდეგ აღნიშნული მასალის მიღება წარმოდგენილი სახით, როგორც „თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტისა“. იქნება პოლიტიკური სიბეცე და იმის დასტური, რომ მართლა იმ 2 800 000 ლარში ყოფილა საქმე!

1 <http://iverioni.com.ge/16404-ioseb-archvadze-gegma-finansuri-dasabuthebis-gareshe-mkvdradshobili-dokumentia.html>

2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3526319>

აღსანიშნავია, რომ სივრცობრივ-ტერიტორიული დაგეგმვის სისტემა მოიცავს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს და მის შედგენას ქირდება ყველა დარგის სპეციალისტი, რომელთა საქმიანობის კოორდინაციას უნდა უწევდეს დაგეგმვის, იდეალურ შემთხვევაში, ურბანული დაგეგმვის სპეციალისტები. არ შეიძლება ამ გეგმის შესრულების დაყვანა ერთჯერადად შექმნილ ექსპერტთა ჯგუფზე, რომელიც დაკვეთის შესრულების შემდეგ იშლება. გეგმის შემდგომ ეტაპებზე (მიღება, განხორციელება, კორექტირება) სპეციალისტები შეიძლება იყოს სხვა, რომელთაც გეგმის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ასეთი ცვალებადობა საქმეს ვნებს. მემკვიდრეობის უზრუნველყოფა შეუძლიათ მხოლოდ ინსტიტუტებს, სხვათა შორის მათთვის დამახასიათებელი ინსტიტუციური მექანიზმების წყალობითაც. აუცილებელია თბილისის ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვის მრავალპროფილური ინსტიტუტის შექმნა, რომელიც უხელმძღვანელებს ქალაქმშენებლობის გეგმების შემუშავებასა და შესრულების მიმდინარეობის ანალიზს, მოამზადებს წინადადებებს ყოველწლიური გეგმებისა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებისათვის. შეიძლება შეიქმნას საქართველოს ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვის ინსტიტუტი და იქ იყოს თბილისის განყოფილება. მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხები არ იქნება იმაზე მეტი რაც დღეს საქსპერტო მომსახურებაზე იხარჯება და გაცილებით ნაკლები იქნება კონტექსტიდან და დინამიკიდან ამოვარდნილი ერთჯერადი რჩევებით მიღებულ უარყოფითი შედეგებსა და მათ გამოსასწორებელ ხარჯებზე.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არაა საჭირო. ზემოთ აღწერილი ისტორიიდან: კონკურსის ჩატარებაში კონსულტაციებისათვის 400 000 აშშ დოლარი! ან კიდევ ცხელი ამბავი:

ქალაქის მერმა ამ დღეებში განაცხადა, რომ „წინ არაფერი უდგას იმას, რომ პეკინის ქუჩა გაცალმხრევდეს“<sup>1</sup> მაგრამ ეს ხომ ნიშნავს იმასაც, რომ სააკაძის მოედანზე ეხლახან ჩატარებული რეკონსტრუქცია გათვლილი პეკინის ქუჩაზე ორმხრივ მოძრაობაზე, ითხოვს გადაკეთებას ახალ სიტუაციასთან ადაპტირების მიზნით. ერთი წელიც არაა სააკაძის მოედნის რეკონსტრუქციიდან, რომელზეც 407 825 ლარი დაიხარჯა, რომლის რეკომენდაციაში მერიამ გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციას (A+S Consult GmbH Forschung und Entwicklung) 40 000 ევრო (109 545 ლარი) გადაუხადა.<sup>2</sup>

თუ ზემოთხსენებული სტაციონალური ინსტიტუტი არ შეიქმნა, არსებული სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება. ექსპერტების დაქირავება, დაკვეთის მიცემა და შესრულებული სამუშაოს შესრულების შეფასება მხოლოდ ერთი-ორი საჯარო მოხელის მეშვეობით, მათი კომპეტენციის უმაღლესი დონის შემთხვევაშიც,

1 (<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/4-47815-davith-narmania-tsin-araferi-udgas-imas-rompekinis-qucha-gacalmkhrivdes.html?ar=A>).  
2 (<http://factcheck.ge/article/gaamarthla-thu-ara-shuqnishnebma-saakadzis-moedanze/>).

უმრავლეს შემთხვევაში უშედეგო იქნება.

### **ვინ უნდა ჩაიბაროს მიღება-ჩაბარების აქტით წარმოდგენილი მასალა?**

თუ არქიტექტურის სამსახურმა, მაშინ უნდა ითქვას, რომ არქიტექტურის სამსახურს ობიექტურად არ აქვს იმის კომპეტენცია, რომ შეაფასოს შინაარსობრივად წარმოდგენილი მასალის შესაბამისობა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაცემულ „გეგმარებით დავალებასთან“. არქიტექტურის გარდა აქაა დემოგრაფიული, ეკონომიკური, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურული და სხვა საკითხები. ამიტომ აუცილებელია კომპეტენტურ ექსპერტთა ჯგუფის მოწვევა შესაბამისობის დასადგენად. ერთ კაცს ეს არ შეუძლია. ბუნებრივია მეც არ ვაცხადებ ამაზე პრეტენზიას. მე მაქვს ჩემი პროფესიული ნიშა და იქ შემიძლია ვილაპარაკო შინაარსზე. მთელი ჩემი დასკვნები ეფუძნება იმ ფორმალურ საკითხებს, რომელსაც ქირდება არა სპეციალიზაცია, არამედ კვლევების გამოცდილება და შედარებითი ანალიზი.

დავალება-შესრულების შედარებითი ანალიზის სამუშაო მაინც ჩასატარებელი იქნება როდესაც აუდიტორული შემოწმების დროს განიხილება საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობის საკითხი, ოღონდ ჩაბარებამდე ხარვეზები გამოსწორებადია, ხოლო ჩაბარების შემდეგ - დასჯადი. მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ პასუხისმგებლობა მთლიანად მერიაზე გადადის.

**გამოსავალი ერთია:** მერიამ უნდა განაცხადოს, რომ არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილია ყველა სამუშაო მასალა „თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის“ შესადგენად და უახლოეს მომავალში (უნდა განსაზღვროს) წარმოდგენილი იქნება ეს პროექტი. მას შეუძლია ტექნიკურ გაუგებრობად ჩათვალოს ის, რომ ივლის-აგვისტოში საჯარო განხილვებს საინფორმაციო საშუალებებით უწოდებდნენ „თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის“ განხილვას. რომ სინამდვილეში ეს იყო ამ გეგმისათვის მომზადებული სხვადასხვა პოზიციების წარდგენა. ამ გაუგებრობამ გამოიწვია პროფესორ მიხეილ ჯიბუტის მიერ... მოძებნონ სიტყვები: „ცრუ განგაში“, „აჭოტაჭი“...

**მეც,** საქმის განაღმართების ხათრით ვიტყვი: ეს როგორ დამემართა, მაპატიეთ ხალხო, რომ შეგანუხეთ მეთქი...

**ამის შემდეგ მერიამ** უნდა გააგრძელოს შესყიდვის ვადა და გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფმა ამ ვადაში წარმოადგინოს „თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი“.

მანამდე კი, როგორც კი ჩემი სამუშაო გრაფიკი ამის საშუალებას მომცემს, დავუბრუნდები ამ საკითხს, მისთვის მხარდაჭერის მიზნით. უპირველეს ყოვლისა, შევხები გენგეგმის მეორე - გრაფიკულ ნაწილს (კანონმდებლობით დადგენილია, რომ მინათსარგებლობის გენგეგმა შედგება ორი - ტექსტუალური და გრაფიკული ნაწილებისაგან). ისე ამ ეტაპზე, საკითხის პირველადი შესწავლის შემდეგ შემიძლია წინასწარი შეფასება გავაკეთო: ის რაც ტექსტუალურ ნაწილზე ითქვა, მონაგონია რუკებთან დაკავშირებულ ამბებთან, მაგრამ მერიამ „ხომ თქვა“/ხომ უნდა თქვას, რომ ეს რუკებიც

„სამუშაო ვარიანტი“ და არ მინდა კიდევ განგაში (პირობითად: „ცრუ“), „ავტენო“. მით უმეტეს რომ დღეს ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულია.

გილოცავთ ყველას! სწორი მიმართულებით ყველაფრის შეცვლის საშუალება კიდევ ერთხელ გვაქვს მოცემული.“

ამ პერიოდში გამოვიდა სოსო არჩვაძის პუბლიკაციები ფინანსური დასაბუთების კომპონენტის, აგრეთვე თბილისის განვითარების სრულფასოვანი კონცეფციის შესაქმნელად მთელი ქვეყნის განვითარების სტრატეგიის კონცეფციის აუცილებლობაზე.<sup>1</sup>

## **ი. ფუნდამენტური პრობლემა - მინის საკითხი**

თბილისში განვითარებული პროცესები აჩვენებენ თუ რა შედეგებამდე მიჰყავს მინის იმ პოლიტიკას, როდესაც მინის განკარგვა ჩვეულებრივი საქონლისა და მომსახურების მსგავსად მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით ხორციელდება. თბილისი პირველი შემთხვევაა, როდესაც მინის ძირითადი მასივი პრივატიზებულია. განვითარების ბარიერები იქმნება იმის გამო, რომ არ არის სრულფასოვნად, მინის კოდექსის სახით დარეგულირებული მინის ურთიერთობები და მინის ბაზარი, არაა მონესრიგებული კერძო, მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო მინების გამიჯვნა და ურთიერთდამოკიდებულება, მოუწესრიგებელია აღრიცხვა და მინის კადასტრი და ა.შ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ინტერვიუ 2017 წლის 21 აგვისტოს.<sup>2</sup>

**1 20.08.2017** იოსებ არჩვაძე: გეგმა ფინანსური დასაბუთების გარეშე მკვედრად შობილი დოკუმენტია! <http://fact2.ge/%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C/>

**20.08.2017**- იოსებ არჩვაძე: „ეტყობა, ბიბლიურ ქმშმარიტებებს დაეყრდნენ თბილისის მინათსარგებლობის გეგმის შედგენისას, დასაბამიდან იყო სიტყვაო“ <http://fact2.ge/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/>

**2 21.08.2017**- მიხეილ ჯიბუტი: „მთელი სისტემა მუშაობს ბოლო 25 წელია, იმ მიზნით, რომ თბილისში არაფერი მონესრიგდეს და ეს უკავშირდება თბილისის მინას“ <http://www.info9.ge/politika/176737-mikheil-jibuti-mtheli-sistema-mushaobs-bolo-25-tselia-im-miznithrom-thbilisshi-araferi-motsesrigdes-da-es-ukavshirdebat-hbilis-mitsas.html?lang=ka-GE;> **23.08.2017**- <http://fact2.ge/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A/>

დედაქალაქს რომ უამრავი პრობლემა აქვს, შეუიარაღებელი თვალთაც ნათელია: სუნთქვა ჭირს, გადაადგილებაც და თვალსაც გვარიანად ანუხებს უნესრიგოდ ჩაყრილი მალალსართულიანი შენობები. თითქოს ამ პრობლემების მოსაგვარებლად დედაქალაქის მერიამ ტენდერიც გამოაცხადა და გამარჯვებულმა კომპანიამ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმაც წარმოადგინა, რომლის შინაარსიც მხოლოდ ვინრო სპეციალისტებისთვისაა ცნობილი, იმ მარტივი მიზეზით, რომ დოკუმენტი უვრცელესია (1 000 გვერდზე მეტი) და, ამას გარდა, ინფორმაციის არც თუ მცირე ნაწილი რუკებზეა დატანილი, რომლის ნაკითხვაც არასპეციალისტისთვის ჩინური იეროგლიფებია. პროფესიონალთა დიდი ნაწილი შემოთავაზებულ გეგმას კეთილი სურვილების ასხმას უწოდებს, ვინაიდან დოკუმენტი არანაირ დასაბუთებას არ მოიცავს, რასაც, როგორც ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი ამბობს, კონკრეტული მიზანი აქვს: დედაქალაქში არსებული ქაოსის შენარჩუნება, რაც მავანთა კონკრეტულ მატერიალურ ინტერესებს ემსახურება. უფრო კონკრეტულად, თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ თავად მიხეილ ჯიბუტი გვესაუბრება.

- თქვენ ამ დოკუმენტს უწოდებთ „გულგრილთა შეთქმულება თბილისის წინააღმდეგ“. ბრალდება საკმაოდ სერიოზულია. რა არის თქვენი ასეთი შეფასების მიზეზი?

- თბილისში მუდმივად მაცხოვრებელმა არ შეიძლება, არ იგრძნოს ის, რომ ხდება რაღაც ისეთი, რაც ართულებს ამ ქალაქში ცხოვრებას. ეს შეიძლება, ერთისთვის არის უკონტროლო მშენებლობები, მეორისთვის - ფეხით მოსიარულეთა გზა, მესამეთათვის - მანქანების ტრაფიკი, ზოგისთვის - უმუშევრობა, გამქრალი ქარხანა-ფაბრიკები, ცუდი ჰაერი და ასე შემდეგ. ანუ ქალაქში, სხვადასხვა მაჩვენებლებით, არის ურბანული კრიზისი. ერთ მაგალითსაც გეტყვით: მოსახლეობის ერთ სულზე მწვანე ნარგავების ფართობი ნორმაზე 7-ჯერ ნაკლებია, რის გამოც განსაკუთრებით ზარალდებიან მონყვლადი ჯგუფები: ბავშვები, ორსულები, მოხუცები...

როგორ მივიდა დედაქალაქი ასეთ მდგომარეობამდე? საკანონმდებლო ვაკუუმში ხომ არ ვცხოვრობთ?

- თბილისს, როგორც ნებისმიერ ქალაქს, ურბანს, აქვს თავისი სიცოცხლე და ისტორია. ნებისმიერი ქალაქი იბადება, ვითარდება და ამ განვითარებაში ჩანს მისი მდგომარეობა. ზოგი ქალაქი ბერდება, ზოგი - კვდება, მაგალითად, ისეთები, რომლებიც წყალზე იყვნენ მიბმულნი და წყალი რომ დაშრა, ქალაქიც მოკვდა. თბილისსაც აქვს თავისი სიცოცხლე. ყველაზე მეტად თბილისი საბჭოთა პერიოდში გაიზარდა და გადიდა, მაგრამ საბჭოთა თბილისი იყო ქალაქი, რომელიც დაფუძნებული იყო საბჭოთა იდეოლოგიას: ანუ იდეოლოგიზებული ქალაქი გახლდათ. ის უნდა ყოფილიყო კულტურის, მეცნიერების ცენტრი, მაგრამ მთავარი იყო, რომ უნდა ყოფილიყო შრომისა და ინდუსტრიალიზაციის ცენტრი. ამიტომაც შენდებოდა ამ ქალაქში უზარმაზარი ქარხნები და მათ ირგვლივ

მუშათა დასახლებები. ეს იყო ცენტრალიზებულად გეგმური პროცესი და ქალაქის ისეთი ბაზა, როგორცაა მინა, წყალი, შენობა-ნაგებობები, იყო სახელმწიფოს საკუთრება და ძლივს გადარჩა ქალაქის ისტორიული უბნები. ქალაქი იმართებოდა და ვითარდებოდა ქალაქის გენერალური გეგმებით, რომლებიც, ძირითადად, იყო განაშენიანების გეგმები და, ამდენად, არქიტექტორების სამოქმედო არეალი. თბილისის განაშენიანების ბოლო გეგმა 1972 წლით თარიღდება, რომლის მოქმედების ვადა 2000-წლამდე იყო.

- ესე იგი, დამოუკიდებლობის შემდეგაც თბილისის განვითარების საფუძველი საბჭოთა იდეოლოგიზებული გეგმა იყო? ეს ნიშნავს, რომ უბრალოდ არანაირი გეგმით არ ვითარდებოდა, ფაქტობრივად?

- მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, ქვეყანამ ამისთვის ვერ მოიცალა და დაიწყო საბჭოთა ქალაქის - თბილისის კრიზისი, იმიტომ რომ მოიშალა ის პრინციპი, რაზეც იყო დაფუძნებული ქალაქის განვითარება, ახალი კი არ იყო. საწარმოები გაჩერდა, რასაც მოჰყვა უმუშევრობა და მიგრაციული პროცესები. თბილისი გამოიცვალა შინაარსობრივად, მოსახლეობის, მიგრაციისა და მართვის თვალსაზრისით და მის განვითარებაში ჩარევა უკავშირებოდა ჯგუფურ, კერძო ინტერესებს და ის ვითარდებოდა ნერტილოვნად, სპონტანურად, მისი განვითარება არ იყო თანმიმდევრული და გეგმასთან დაკავშირებული.

გასული საუკუნის 90-წლებში დაიწყო ბინების პრივატიზაცია, 1999 წელს კი - მინების პრივატიზება. და, თუ მანამდე ვიღაც სახლს თუ ააშენებდა, სასადილოს ან რესტორანს, 1999 წლიდან გაჩნდა დიდი პროექტები: სასტუმროების, მარკეტების, მრავალსართულიანი სახლების, რადგან გაჩნდა მინის ბაზარი. ამის შემდეგ ქალაქი მთლიანად დაემორჩილა საბაზრო პრინციპებს, ანუ მოგებას და ამდენად, ბიზნესი აშენებს იქ, სადაც პოულობს მოგებას და ამის შემაფერხებელი მექანიზმი არ არსებობდა. არადა, როდესაც ქვეყანა ემორჩილება მხოლოდ საბაზრო ეკონომიკას, ანუ მხოლოდ მოგებას, საზოგადოებრივ ინტერესს: გამონაბოლქვი ხელს მიშლის სუნთქვაში, მაღალი სახლი მიფარავს მზეს, ჯობნის მოგების ინტერესი. მეორე მხრივ, მსოფლიოში ყველაგანაა ასეთი მისწრაფება, მაგრამ ყველგან ცდილობენ, რომ აი, ეს საბაზრო მოთხოვნები, მოგებაზე ორიენტირებული დაბალანსონ საზოგადოებრივი სიკეთით. რადგან ეს საზოგადოებრივი სიკეთე სჭირდება არა მხოლოდ ღარიბს, არამედ მდიდარსაც. ქალაქი სჭირდება ყველას, ამიტომ ყველა ქალაქს აქვს თავისი განვითარების ხედვა, თუ რა უნდა, რა ამბიცია აქვს. აი, ასეთ დაგეგმვას საბაზრო პირობებში საფუძვლად უდევს სივრცობრივ-ტერიტორიული იდეა, რომ ბაზარმა არ წააღწიოს ყველაფერი.

- ჩვენ გვაქვს კანონი, რომელიც მსგავს იდეას ატარებს?

- გვაქვს ასეთი კანონი, სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის შესახებ, რომელიც 2005 წელს მიიღეს, თუმცა 2009 წელს მიიღეს დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა. მაგრამ მან ვერ იმუშავა, რადგან პოლიტიკური გარე-

მო არ უწყობდა ხელს, თან წინააღმდეგობაში მოვიდა 2005 წლის კანონთან, ამიტომ 2014 წელს გადაწყდა ეგრეთ ნოდებული დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება. მაგრამ, რადგან მინათსარგებლობის გენერალური გეგმა ამ მოთხოვნებს არ პასუხობს და თბილისის ურბანული კრიზისიდან გამოყვანის საშუალებას არ იძლეოდა, გამოცხადდა ტენდერი მისი განახლების შესახებ. და აი, აქ უკვე იწყება ისტორია: მერიამ გამოაცხადა, რომ მასალეები ჩაბარდა, მაგრამ ეს დოკუმენტი არ არის ის, რაც უნდა იყოს, რადგან გენერალური გეგმის განახლებული პროექტი ამ მასალეებში წარმოდგენილი არ არის. დოკუმენტი 1 000 გვერდზე მეტია, მასში უამრავი საინტერესო მასალაა მოცემული, რის საფუძველზეც შეიძლება, დაინეროს გენერალური გეგმა. მაგრამ არ არის მითითებული, თუ რა რით უნდა შეიცვალოს, რა უნდა დაემატოს, რა უნდა გამოაკლდეს.

- თუ დოკუმენტში არ არის კონკრეტული, მაშინ რა აზრი აქვს მის არსებობას?

- აქ კიდევ ერთი რთული საკითხია: სივრცით მოწყობას მხოლოდ ეს ერთი გეგმა არ ჰყოფნის. იმიტომ რომ კანონით განსაზღვრულია არა მარტო მინათსარგებლობის, არამედ განაშენიანების გეგმის აუცილებლობა. ანუ მინათსარგებლობის გენერალური გეგმა სრულყოფილიც რომ იყოს, ის არ იქნებოდა საკმარისი. 25 წლის განმავლობაშია მოუწესრიგებელი ეს საკითხები და მას შემდეგ, რაც კონკურსი გამოცხადდა, თბილისში პროცესები ხომ არ შეჩერებულა?! თბილისში ისევ ის ხდება, რაც ხდებოდა. კიდევ სხვა კვლევის საგანია, ვინ რა თანხა მიიღო ამ არასრულყოფილი დოკუმენტის შემუშავებაში, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მთელი სისტემა მუშაობს ბოლო 25 წლის განმავლობაში იმ მიზნით, რომ თბილისში არაფერი მოწესრიგდეს და ეს უკავშირდება თბილისის მინას. ეს გამოჩნდა იმითაც, რომ თბილისში მინის ფასმა აინია და ერთი კვადრატული მეტრის ფასი მერყეობს 50-დან 1 000 აშშ დოლარამდე. ანუ, სანამ ეს საკითხი არ მოწესრიგდება, თუ ფული გაქვს, გექნება წვდომა ნებისმიერ მინაზე. მდენად, საკითხის მოუწესრიგებლობა არის ინტერესების მოჯადოებულ წრეში. და ის, რაც თბილისში ხდება, გადადის პერიფერიებზეც და ამიტომაც არ არის საქართველოში მიღებული მინის კოდექსი. არადა ყველაფრის კოდექსი გვაქვს, გარდა მინისა. მინის კოდექსის არარსებობა და თბილისის მინებისადმი ასეთი მიდგომა არის ძველი მიდგომის გაგრძელების სურვილი, რის შედეგსაც ჩვენ ვხედავთ თბილისის კრიზისის სახით.

რაც შეეხება ამ კონკურსს: ვილაცამ კონკურსი გამოაცხადა, ბიუჯეტიდან ფული დახარჯა და ახლა ცდილობს, ამას მისცეს რაღაც ფორმა, რომ ვითომ შეიქმნა დოკუმენტი. სინამდვილეში თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა იდეალურიც რომ იყოს, ის არ მოიცავს რეგულირების მთელ სპექტრს. შესაბამისად, მარტო ეს დოკუმენტი ვერ იმუშავებს ისევე, როგორც ვერ იმუშავა 2009 წლის გენგეგმამ. ამდენად, საინტერესოა, რა ხდება ამის უკან.

- და რა ხდება ამის უკან, რა ინტერესები იკვეთება?

თუ სწორად გავიგე, ამბობთ, რომ გენგემა მორგებულია კონკრეტულ ინტერესებს და არა თბილისის საჭიროებებს?

- ეს ჩანს რუკებზე, რომელიც თან ახლავს ამ დოკუმენტს. ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში თბილისის გენგემის არშედგენის ძირითადი მიზეზი არის თბილისის ძირითადი ქონების მოუნერეგებლობა, იმიტომ რომ ეს უზარმაზარი ქონებაა და მისი ასეთი მოუნერეგებლობა ძალიან საინტერესოა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ქცევისთვის.

- დავაკონკრეტოთ, რომელ ქცევებს გულისხმობთ: მშენებლობებს ყველგან, მიწის ნაკვეთების იაფად შეძენას...

- ეს ეხება ყველაფერს: მაგალითად, ნებართვებს; თუ მოუნერეგებელია, ნებართვას ვერ იღებს ადამიანი და უნდა გაარკვიოს ვილაცასთან ეს საკითხი & სპეკულაციის საგანი რომ ხდება მიწა, იმიტაც ჩანს, რომ ვილაც მას ერთ ლარად ყიდულობს და ათ ლარად ჰყიდის მერე. მიწის საკითხის მოუნერეგებლობა იმისთვისაა საინტერესო, ვისაც აქვს ძალაუფლება. ამიტომაცაა საინტერესო ხელისუფლებაში მისვლა. ბიზნესისთვის მოგებითაა საინტერესო, რომ ააშენოს იქ, სადაც არ შეიძლება აშენება. დღეს ბიზნესი ნაყარ მიწაზე აშენებს მრავალსართულიან სახლებს, ხევებია ჩამარხული მიწაში და ამიტომაც მომრავლდა ტრაგედიები თბილისში. ეს სისტემური პრობლემაა და მას ჰყავს მიმწოდებელიც და მომხმარებელიც. და ორივე კმაყოფილია ამ მოუნერეგებლობით. სამწუხაროდ, არ გამოჩნდა არავინ, ვინც მოანერეგებდა. ხოლო წარმოდგენილი გენერალური გეგმის მასალები არის ამ მოუნერეგებლობის დაკანონების კიდევ ერთი მაგალითი, რომ ეს მოუნერეგებლობა კიდევ გაინელოს დროში.

- რით ასაბუთებთ თქვენს ამ მოსაზრებას?

- ეს არ არის სამუშაო დოკუმენტი: 1 000-ზე მეტ გვერდზე ჩამოწერილია უამრავი საინტერესო, ეგზოტიკური ინფორმაცია, დაწყებული იმით, თუ როგორი იყო თბილისი ვახტანგ გორგასლის დროს, მაგრამ ეს არ გვაძლევს საშუალებას, შევადაროთ ძველ გეგმას, რომ ვნახოთ, რას ვცვლით და რატომ. იქნებ მისცენ ნორმატიული აქტის პროექტის ფორმა ამ დოკუმენტს, მაგრამ დღეს ეს არ არის საპროექტო დოკუმენტი და თბილისი ისევ საბაზრო მექანიზმებით განაგრძობს ფუნქციონირებას, რაც ძალიან ცუდია ქალაქისთვის, სადაც შემჭიდროებული ურბანული სივრცეა და რაც ხდება, იმის გამოსწორება შეუძლებელი ხდება.

- ესე იგი, რკინიგზის თბილისის ზღვაზე გადატანაც ეგზოტიკური ლირიკაა?

- ეს იდეა ახალი არ არის, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირისდროინდელია. საერთოდ, ამ დოკუმენტში ყველა ასეთ პროექტზე ლაპარაკია ზოგადად, თან არ ახლავს გათვლები, როგორ მოხდება, რა იქნება შედეგი. რა არის თბილისის ცენტრში რკინიგზის აღების მიზანი?! რას გვაძლევს იმ 150 ჰექტარი (ესეც არაა ზუსტად განსაზღვრული) მიწის გამოთავისუფლება, რომელზეც რკინიგზაა განფენილი.

- გამოთავისუფლება იმ მოგების მიღების მიზნით,

რაზეც ზემოთ ისაუბრეთ?

- იმ ტერიტორიაზე ორი ასობით მილიონი აშშ დოლარია განფენილი მიწის სახით.

რაც შეეხება ეკოლოგიას: ვითომ რკინიგზის თბილისის ზღვაზე გატარება ნაკლებ ეკოლოგიურ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე მისი ცენტრში დატოვება?! მაგრამ ეს საკითხი შეიძლება, განვიხილოთ, ოღონდ როდესაც პროექტს წარმოადგენ. არადა დოკუმენტის ვადაა 2030 წლამდე და თუ ჩადებ რკინიგზის გადატანას, უნდა დაასაბუთო და მიუთითო, საიდან მოგაქვს ამისთვის საჭირო თანხა და რა შედეგს მოიტანს?! ბევრი ინფორმაცია არის სურვილების, ანალოგიების დონეზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. მაგალითად, რომ ასე ხდება პარიზში და ასე უნდა გავაკეთოთ თბილისში. მტკვარი უნდა იქცეს სარეკლაციო ზონად. კი ბატონო, მაგრამ მილიონი კაცი, რაც გაუხარდება, იმას უშვებს მტკვარში და ამას რას უპირებ, სანამ პირით მიტრიალდებ მტკვრისკენ?! სატრანსპორტო პრობლემებზე რომ ლაპარაკობ, რა ფულით აკეთებ და როგორ?! ეს არის ზოგადი საუბარი გაანგარიშების გარეშე, რომელიც გამოსროლილია ფანტომივით და არის ინტელექტუალური ხელშეწყობა იმის დასაკანონებლად, რაც დღეს თბილისში ხდება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფულს თუ არ მიაბი იდეა, ის არ არის იდეა; ფული თუ არ მიაბი გეგმას და გეგმა - პასუხისმგებლობასა და შემსრულებელს, შედეგი არ იქნება. ყველაფერი ისევ კონცეფციის დონეზე დარჩება და ასე გაგრძელდება წლიდან წლამდე. კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან: თბილისში წყლის დანაკარგი არის 40 პროცენტი და ჩვენ, აბონენტები, ვიხდით ამ ფულს. თუ დანაკარგებს შეამცირებ, მოსახლეობას შეგიძლია, 40-პროცენტით შეუმცირო ხარჯი, მაგრამ ეს არ ანუხებს წყლის კომპანიას, რადგან დანახარჯები ტარიფშია ასახული. ერთი სიტყვით, ბევრი ასეთი წვრილმანი საკითხია მოსანერეგებელი, რომ ცხოვრება ქალაქში არ იყოს ასეთი აუტანელი. რაც მთავარია: ნონსენსია დედაქალაქისთვის კატგი გეგმის შექმნის სურვილი ასეთი გეგმის შემუშავება დედაქალაქისთვის, თუ არ იარსებებს ქვეყნის განსახლების მოწყობილი სისტემა, ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცობრივი მოწყობის გეგმა“.

ავგისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში გენგემის ირგვლივ სხვადასხვა კუთხით გამოქვეყნდა სტატიები. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო დიმიტრი გარუჩავას სტატია<sup>1</sup>, სადაც ავტორი საკითხს განიხილავს უზრავი ქონების შემფასებლის პოზიციიდან და ასკვნის, რომ „თბილისის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის მასალები პროფესიონალ ქონების შემფასებლებს კვლავ არ აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ თბილისის მიწის ნაკვეთის ადექვატური საბაზრო ღირებულება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისში მიწის ფასი კვლავ არაადექვატური დაბალი იქნება. ასეთი მდგომარეობა ქმნის წინაპირობებს

1 23.08.2017-დიმიტრი გარუჩავა: ცუდი გენგემა დედაქალაქს უმიწოდ დატოვებს! <http://iverioni.com.ge/16407-dimitri-garuchavacudi-gengegma-dedaqalaqs-umitsod-datovebs.html>

მთლიანად ამოიწუროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მართვაში არსებული ისედაც მწირი მინის ნაკვეთების რეზერვებიომ ზომამდეც კი, რომ ქალაქს არ დარჩეს (ქალაქს კი აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინის რესურსებისა და ინვესტირებისათვის შესაბამისი საპროექტო გადამწყვეტილებების რეზერვი)მომავალში სერიოზული საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი პოტენციური ინვესტირებისათვის მინის ნაკვეთების, ქალაქისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შესაბამისი საინვესტიციო პროექტების, შეთავაზების შესაძლებლობა“.

### **3. საარჩევნო პერიოდის დუმილი**

სექტემბერი და ოქტომბერი თბილისის გენგეგმა გადაფარული იყო 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო ბატალიებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის მერის არჩევნებს. ამ საკითხს უშუალო კავშირი აქვს თბილისის გენგეგმასთან. რადგანაც წინა მერმა ვერ „მოასწრო“ გენგეგმის დაანონსებული „მიღების“ მიღება, საკითხი მემკვიდრეობით გადაეცემოდა ახალ მერსა და საკრებულოს ახალ შემადგენლობას. ამიტომაც ახალ მერად კახი კალაძე არჩევის მიუხედავად **2017 წლის 27 ოქტომბერს სტატია „კკკ მომავალი თბილისში“<sup>1</sup>**. სტატიაში ნათქვამია: “საუბარი იქნება არა კკკ - კუ-კლუქს-კლანზე (Ku Klux Klan), არამედ კკკ - **კახი კარლოს ძე კალაძეზე**, რომელიც 2017 წლის 21 ოქტომბერს საქართველოში თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამომხატველი ყველაზე რელიეფური ფიგურაა **თამაზ მეჭიაურთან** ერთად!

პირველი იმიტომ, რომ ის გახდა დედაქალაქის მერი და ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული პირი საქართველოში პრეზიდენტის შემდეგ. ამასთან, მის ირგვლივ იქმნება ახალი თაობის პოლიტიკური ჯგუფის კრისტალიზაციის შესაძლებლობა. ამ პროცესის მიმდინარეობა შესამჩნევია ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებიდან, თუმცა ის ჯერ მიმდინარეობს სოლოკრატიის შიგნით და ამ უკანასკნელის გაძლიერების ნიშნის ქვეშ...  
2017 წლის 21 ოქტომბერს საქართველოში თვითმმართველობის არჩევნები მართლაც სოლოკრატიის ტრიუმფი იყო, ძალაუფლების გაფართოების თვალსაზრისით.

არჩეულ იქნა მუნიციპალიტეტისა და ქალაქების საკრებულოები და მერები. ოფიციალური მონაცემებით, ადგილობრივი თვითმმართველობის აბსოლუტური უმრავლესი „საკომანდო პუნქტები“ მმართველმა პარტიამ - **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“**-მ აიღო. მეორე პოზიციაზე დარჩა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**. ვერც **„ქართული ოცნებიდან“** და ვერც **„ნაციონალური მოძრაობიდან“** წარმოქმნილმა პარტიებმა ვერ აჯობეს მის **„დედა“** პარტიებს. არჩევნები ჩატარდა ძველი საარჩევნო სიებით.

1 10.10.2017-მიხეილ ჯიბუტი. „კკკ მომავალი თბილისში“-<http://iverioni.com.ge/16425-mikheil-jibuti-kkk-momavali-thbilisshi.html>

არჩევნების ლეგიტიმურობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენება არ გაზრდილა. ყველაფერი შინაარსობრივად მიმდინარეობდა და დარჩა „ძველებურად“. უცვლელია **„რესპუბლიკური პარტიის“** პროექტითა და **„ქართული ოცნების“** მიერ შექმნილი თვითმმართველობის სისტემა.

არჩეულებს მივულოცოთ ხალხისთვის სამსახურის ვალდებულებებით დატვირთვის პატივი და ვუსურვოთ შეძლონ დაკისრებული მოვალეობების ღირსეულად წარმართვა.

საქართველოში სოლოკრატიის ჩამოყალიბების შემდეგ ეს იყო პირველი არჩევნები და ის მისი ტრიუმფით დამთავრდა!

**სოლოკრატიული მმართველობა („სოლოკრატია“ - „Solokratia“)** (“solo” - იტალიური - ერთი; „κράτος“ - ბერძნული - ხელისუფლება), ანუ ერთი კაცის მიერ სახელმწიფოს არაფორმალურად და სრულად მმართველობის ძალაუფლება, როგორც მმართველობის უნიკალური სისტემა ჩამოყალიბდა საქართველოში **2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა ერთ კაცზეა დამორჩილებული - მის წინაშეა ვალდებული, რადგანაც მის მიერაა „დანიშნულ“-დანიშნაურებული.**

არჩევნების საბოლოო შედეგების შემდეგ შესაძლებელია დეტალური ანალიზი, თუმცა მთავარი უკვე ცნობილია - **სოლოკრატიამ მოიცვა, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება!**

სოლოკრატიის აბსოლუტურ ძალაუფლებას ახლა ორი - **საქართველოს პრეზიდენტისა და თიანეთის მერის - თანამდებობების კონტროლი აკლია. თუმცა ორთავე პოსტზე სოლოკრატიის სათავეებთან მყოფი პიროვნებები არიან.**

განსაკუთრებულია **თამაზ მეჭიაურის** შემთხვევა. თმ - თიანეთის მერი - თამაზ მეჭიაური ერთი ხმის უპირატესობით გახდა მერი. (ვულოცავთ, რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყველა სხვა არჩეულს და უფრო მეტადაც კი.) ერთი ხმის უპირატესობით არჩევის ფენომენი რამ წარმოშვა? **თამაზ მეჭიაურის** პიროვნული თვისებების გარდა, დემოკრატიამ, სასამართლოს დამოუკიდებლობამ, თუ სოლოკრატიულმა გადამწყვეტილებამ?!

ბუნებრივია ჩნდება კითხვა - შეიძლება ერთ კაცზე იყოს დამოკიდებული თვითმმართველობაში მოსული ამდენი ადამიანი? რა თქმა უნდა, თვითმმართველობის ცალკეულ დეპუტატზე უკვე სოლოკრატიული სისტემის შესაბამისი სტრუქტურა ზრუნავს, თუმცა აქ არის გამონაკლისები, მაგალითად თბილისის მერი.

სოლოკრატიის დროს ერთი კაცი კი არ ნყვეტს ყველაფერს, არამედ ეს ერთი კაცი ამ ქვეყანაში აკეთებს ყველაფერს, რაც სურს და როდესაც სურს, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები ამ სურვილებს უსიტყვოდ და თავდადებით ასრულებენ!

მაგალითისთვის გამოდგება თბილისში პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიისა და თაბორის მთის ბიძინა ივანიშვილის სახელთან ასოცირებული



იურიდიული პირებისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი. თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ამ საკითხზე ორჯერ მიიღეს გადაწყვეტილება ზეექსტრემალურ სიტუაციაში. პირველად 2017 წლის 29 სექტემბერს, როდესაც მინის ნაკვეთებს შეუცვალეს ფუნქციური ზონის სტატუსი და მეორედ, 2017 წლის 10 ოქტომბერს, როდესაც უშუალოდ ნაკვეთის გადაცემის საკითხი გადაწყვიტეს. გადაწყვეტილებას მხარი თბილისის საკრებულოს სხდომაზე პირველად 28, მეორედ 31 წევრმა დაუჭირა მხარი.

ყურადღება მიაქციეთ ორ მომენტს: **1. როდის ხდება გადაწყვეტილების მიღება და 2. ვინ იღებს გადაწყვეტილებას.**

გადაწყვეტილების მიღება ხდება თბილისის საკრებულოს არჩევნებამდე 10 დღით ადრე. ისე, ნორმალურ ქვეყნებში არჩევნებამდე 3-4 თვით ადრე თუ რა გადაწყვეტილების მიღება შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მკვეთრად განსაზღვრულია. ეს იმიტომ, რომ მათ არ მიიღონ გადაწყვეტილება საქმიანობის დამთავრების გარემოებებთან, ან ახალ არჩევნებთან დაკავშირებით.

მეორე, გადაწყვეტილებისთვის თავგამოდებით იბრძვიან საკრებულოს წევრები, რომლებმაც იციან, რომ ახალ შემადგენლობაში არ იქნებიან.

რაშია ამ ბრძოლის საიდუმლო?

საიდუმლო იმაშია, რომ ამ საკრებულოს მსგავსი გადაწყვეტილება ათეულობით აქვს მიღებული თავისი არსებობის მანძილზე და ახლა საკითხი ეტყობა პრინციპულად დადგა: **ბიძინა ივანიშვილისთვის არ შეიძლება.**

პრობლემა საერთოდ არ იქნებოდა, თბილისის საკრებულოს რომ მიეღო ე.წ. თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლის მიღების ფორსირებას ივლის-აგვისტოს თვეში ახდენდა თბილისის ხელმძღვანელობა.

წარმოდგენილი ფორმით ამ გეგმის ნაკლოვანებები მე და ბევრმა ქართველმა სპეციალისტმა თავის დროზე ვამხილეთ.

მგ მოუღებლობამ გამოიწვია „გამორჩეული“ საკითხის ცალკე განხილვა.

სხვათაშორის, დღეისთვის თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე არსებობს უცხოელი ექსპერტების დასკვნები, რომლებიც მთლიანად ემთხვევა საქართველოში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს.

ახლა ყველაფერი დალაგებულია. ცნობილია რა არის გასაკეთებელი. ცნობილია, რომ ეს უნდა გააკეთოს ახალმა გუნდმა **კახი კალაძის** ხელმძღვანელობით.

ახლა მთავარია ის არ მოერგოს მემკვიდრეობით მიღებულ უნესრიგობას ქალაქმშენებლობაში.

ჩვენ უნდა ვისურვოთ და ხელი შევუწყოთ, რომ „კ“ ასო-ნიშნის გამოყენება იყოს ისეთივე უწყინარი, როგორც ინიციალებში - კკკ, მაშინაც, როდესაც აღნიშნულია კ1, კ2, კ3 - კოეფიციენტები.

ეს დამოკიდებულია თუ რა საშუალებას მისცემს მას სოლოკრატიული სისტემა, მაგრამ თუ რა არის მცდარი

და როგორ უნდა გამოსწორდეს - ეს უნდა ითქვას. ამის შესახებ შემდგომში“.

## **ზ. კალაძის არჩევანის შანსი მხოლოდ მოკლე დროში აქვს**

21 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უამრავი მასალა და ინფორმაცია გახდა ცნობილი „გენგემის“ პროცესთან დაკავშირებით. პოზიციები ძირითადად კრიტიკული იყო. სიტუაცია მწვავედებოდა ზღვრული თარიღებით - 13 და 22 ნოემბრით, როდესაც პირველ შემთხვევაში წარდგენილი უნდა ყოფილიყო „მინათსარგებლობის განახლებული გენგემის“ პროექტი თბილისის მერიაში და მეორე თარიღისათვის, უნდა გადაწყვეტილიყო მერია აფორმებდა მიღება-ჩაბარების აქტს თუ არა.

ახალი ინფორმაცია გახდა მიზეზი ახალი სტატიისა, რომელიც გამოქვეყნდა **2017 წლის 14 ნოემბერს სათაურით „გენგემით გადაწყდება კალაძე ივანიშვილის შემცვლელი იქნება, თუ წარმანიასი!“<sup>1</sup>**

მოგვაქვს სტატია სრულად და უცვლელად:

**„1. დარგის მმართველიდან ტერიტორიულ მმართველად**

კახი კალაძის თბილისის მერობა სოლოკრატიულ სისტემის პერიოდის ქართულ პოლიტიკაში ახალი ეტაპის დაწყების ნიშნების შემცველია.

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრობიდან ქალაქ თბილისის მერი თავის დროზე წარმანიაც კი გახდა, კალაძის მსგავსი გადაადგილების შემთხვევა მაინც სხვაა - იგი ერთადერთი ფიგურაა „ქართულ ოცნებაში“ (ივანიშვილის შემდეგ, რა თქმა უნდა), რომელსაც რეალურად თავისი პოლიტიკური გუნდი ჰყავს - როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე თბილისისა და სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოებში.

მასთან შედარებით სუსტად გამოიყურება **გიორგი კვირიკაშვილი**, რომლის მასშტაბურობას ამცირებს მისი მხრიდან საბანკო სისტემის გამოხატული **ლობირება**, წარუმატებელი საგადასახადო რეფორმები და **გუშინდლამდე კარიკატურული საკადრო პოლიტიკა განათლების სისტემაში**. ამ ორთან შედარებით დიმიტრი ქუმსიშვილისა და გიორგი გახარიას „პოლიტიკური ბიზნესი“ რალაც დროებითი ინტერესებით გაერთიანებულ ჯგუფს ჩამოჰგავს.

ფაქტობრივად, **კახი კალაძე** „ქართული ოცნების“ ფავორიტია. შეძლებს ის ჩაანაცვლოს ივანიშვილი?

დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოს პოლიტიკის ლიდერობა დღემდე მსოფლიო მასშტაბით გამორჩეული პიროვნებების ხვედრი იყო:

**ზვიად გამსახურდია** - ინტელექტუალი, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახიდან გამოსული სსრკ დაშლისთვის მსოფლიო მასშტაბის მებრძოლო-დისიდენტი;

**1 14.11.2017 მიხეილ ჯიბუტი. „გენგემით გადაწყდება კალაძე ივანიშვილის შემცვლელი იქნება, თუ წარმანიასი!“** <http://iverioni.com.ge/16431-mikheil-jibutigengegimith-gadatsydeba-kaladze-ivanishvilis-shemcveli-igneba-thu-narmaniasi.html>

ედუარდ შვეარდნაძე - საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი, ამ სისტემის დაშლითა და ბერლინის კედლის დანგრევის პროცესებით მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი;

**მიხეილ სააკაშვილი** - საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი სისტემის მმართველობის კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრებისგან „წმენდის“ განმახორციელებელი, მსოფლიო მასშტაბის ნეო-რევოლუციონერი და პოლიტიკური ავანტიურისტი;

**ბიძინა ივანიშვილი** - საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესებით გამდიდრებული, მსოფლიო მასშტაბის მდიდარი პიროვნება

ამ რიგის ჩანაცვლებაზეა საუბარი.

**კვირიკაშვილმა**, მიუხედავად დასავლეთის ლიდერების ბოლოდროინდელი დაინტერესებისა, ძნელი წარმოსადგენია, რომ შეძლოს არსებული პოლიტიკური ადაპტორის (ივანიშვილის ფორმალური მმართველობის რეალურ სახელისუფლო ძალაუფლებაში გადაწყვანის) როლიდან გამოსვლა.

**შეძლებს კახი კალაძე ამ რიგში ადგილის დაკავებას?**

ამის შესახებ ახლა პროგნოზის გაკეთება ძნელია. ამისთვის საჭიროა კონტექსტის - ოცნების გარეთ პოლიტიკური გარემოს ანალიზი და სხვა უამრავი შემეცნებითი პროცედურის ჩატარება.

**თუმცა, თითქმის უშეცდომოდ შეიძლება იმის თქმა, თუ რა შემთხვევაში დაკარგავს აზრს კახი კალაძის პიროვნებაზე ასეთი მასშტაბური საუბარი.**

**უპირველეს ყოვლისა, თუ ის უარყოფილი იქნება სოლოკრავიული სისტემის მიერ (სხვა უცვლელ პირობებში) მისი მერობის სანყის ეტაპზე. თუმცა შემდგომშიც ძნელი წარმოსადგენია, რომ მან შეძლოს გაიმეოროს მარგველაშვილის ქცევა. საქმე იმაში კი არაა, რომ მარგველაშვილს მხარს უჭერდა ივანიშვილი, არამედ ვინ დაუჭირა მხარი ივანიშვილთან მარგველაშვილს. კალაძის შემთხვევა სხვაა.**

**კახი კალაძის პოლიტიკური მომავალი, თუკი მას ექნება ივანიშვილის მხარდაჭერა ბოლომდე, დამოკიდებულია იმ პირველ ნაბიჯებზე, რასაც ის გადადგამს თბილისის მერის რანგში და არ გაეზღებება იმ ხაფანგებში, რაც მას უკვე ელოდება ამ ახალ პოსტზე.**

**თუ ის შეძლებს თავიდან აიშოროს ის, რაც დაემართა ნარმანიას და რამაც ნარმანია გახადა უგულავას პროექტების განმახორციელებელი და გამგრძელებელი იმ განსხვავებით, რომ ის ამას აკეთებდა ჩამქრალი ხალხით და ამის გარდა, ის იყო ივანიშვილის სურვილების გამტარებელი ქალაქში, რასაც ენთუზიაზმით ახორციელებდა უფლებამოსილების ბოლო წუთებამდე თბილისის საკრებულოსთან ერთად.**

ორივე შემთხვევაში, კახი კალაძის მომავალი მასზე ბევრადაა დამოკიდებული, თუმცა ყველაფერი გადაწყდება უმოკლეს დროში - მერის საქმიანობის წარმართვიდან რამოდენიმე დღეში. უკვე ცნობილია მერის სახის, მისდამი ნდობისა და მისი პოლიტიკური პერსპექტივის გამსაზღვრელი საკითხების პირველი რიგი. ეს საკითხები კალაძემ უკვე გამოკვეთა არჩევნებიდან მერის მოვალეობის შესრულებამდე პერიოდში.

**2. „ორმერიანობა“ (21 ოქტომბერი - 13 ნოემბერი): სატყუარა კახი კალაძისთვის საარჩევნო კამპანიის აქტუალურ ფაზაში კახი კალაძის გვერდით ჩანდა ოცნების ყველა ლიდერი თბილისის მოქმედი მერის - დავით ნარმანიას გარდა.**

**რატომ?**

ეს ბუნებრივად აღიქმებოდა, როგორც ნიშანი, რომ კალაძე სხვაა (საარჩევნო სლოგანი: „სიცოცხლით სავსე ქალაქი“), სხვა შედეგებზეა ორიენტირებული, ვიდრე ნარმანია (საარჩევნო სლოგანი: „ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“) თავისი მოღვაწეობით, რომ კალაძე არ აპირებს იყოს ისეთი მერი, როგორც ნარმანია!

**როგორი მერი იყო ნარმანია და როგორ შეძლო მან თავისი 41 პუნქტიანი დაპირების შესრულება - ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ფაქტი ერთია - დავით ნარმანიას დამსახურება გაკეთებულში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ გაფუჭებულში. მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან გააფუჭა იმაზე ნაკლები, ვიდრე შეეძლო! მას მთავარი მოეკითხება იმაში, რომ მან სხვას მეტის გაფუჭების უფლება მისცა, ვიდრე თვითონ გააფუჭა!**

**კალაძის წინასაარჩევნო დისტანცირება ნარმანიასთან დადებითად იქნა აღქმული - ამას არჩევნების შედეგებზეც ადასტურებს. ლოგიკურად სწორი იყო პოზიცია, რომ თბილისის ახალი მერი არ იქნებოდა ძველი მერის საქმიანობის ჩვეულებრივი გამგრძელებელი, გარდა მმართველობის უწყვეტობის გამო მიღებული შემკვიდრებითობისა. რომ ახალი მერი არ იქნებოდა უღრმეს ურბანული კრიზისში მყოფი ქალაქ თბილისის მმართველობის რუტინის მშვიდი მონაწილე.**

ამის საფუძველს (მართალია, არა ყოველთვის) იძლეოდა კახი კალაძის წინასაარჩევნო პროგრამა<sup>1</sup>.

„ორმერიანობის“ პერიოდში მას შეეძლო აეღო „შესვენება“ (მით უმეტეს რომ ამ პერიოდში წინა მერი ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა) და ამ პროგრამის რეალიზების მექანიზმებზე დაენყო მუშაობა. გამოეყენებინა ეს დრო მეცნიერებთან, ქალაქის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან შესახვედრად, აემალღებინა მისი დონე ურბანისტიკაში, რომ უკვე განესაზღვრა თუ რას გააკეთებდა მერობის პირველ დღეს 13-ში (13 ნოემბერი - ახლადარჩეული მერის საქმიანობის დაწყების პირველი დღეა): პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. თანმიმდევრობით.

ის მოიქცა საპირისპიროდ. აღნიშნულ პერიოდში მთელი მისი ქმედებები მიმართული იყო იმის სადემონსტრაციოდ, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ნარმანიას გაუჩინარება ეს იყო შემთხვევითი ამბავი.

10 ნოემბერს - დავით ნარმანიას მიერ თავისი მერობის სამწლიანი პერიოდი (2014 - 2017 წწ.) შეჯამების ღონისძიებაზე - კახი კალაძემ ჩამოაყალიბა პოზიცია, რომ ის ნარმანიას შექმნილ „საძირკველზე“ აპირებს პროგრამების განხორციელებას, რაც ფაქტობრივად ნარმანიას საქმის გამგრძელებლად პოზიციონირება იყო.

იყო აქ კიდევ ერთი დეტალი. კახი კალაძის თქმით „დავით ნარმანიას ძალიან რთული მემკვიდრეობა დახვდა“.

1 <http://kaladze.ge/program>

ეს თუ აუდიტორიული დიპლომატიით ნათქვამია მაშინაც და თუ სიტუაციის შეფასებაა, მით უმეტეს, მაშინ გაათქვამით ხიფათის შემცველია.

ისმება კითხვა: **დავით ნარმანიამ რთული, არასახარბიელო მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ როგორი მემკვიდრეობა მიიღო კალაძემ? თუ კალაძემ მიიღო „საძირკველი“ მემკვიდრეობა და რეალურად აღმოჩნდება რომ ეს გადაჭარბებული შეფასებაა, ცოტა ხანში ხომ თავს იჩენს შედეგებში და ამაზე პასუხისმგებელი ხომ უკვე კახი კალაძე გახდება?!**

**დავით ნარმანიას აზრით, კახი კალაძეს და „ახალ გუნდს თბილისში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა დახვდება, ვიდრე ჩვენ დაგვხვდა, როცა ჩავიბარეთ თბილისი“<sup>1</sup>.**

მაგრამ რაშია უკეთესობა ხომ უნდა იყოს ცნობილი? ან უკეთესის ქვეშ რა გვესმის? რამდენიმე ბალი, ქურჩის რემონტი და ა.შ. ჩამონათვალი? ნარმანია სპეციალისტია და კარგათ იცის ქალაქის განვითარების ინდიკატორები და ამ ინდიკატორებით უნდა გამოხატოს წარმატებები.

**ქალაქისთვის გაკეთებული საქმეების ცალობით - ავტობუსებისა და საბავშვო ბაღების რაოდენობით გაზომვა პრიმიტივიზმია. რამდენი ავტობუსი იყიდა მერია მეს კი არაა მთავარი, არამედ რა შედეგი ჰქონდა ამას - რამდენით შემცირდა მოქალაქეთა მგზავრობის დრო, ან რამდენი ადამიანი გადაჯდა კერძო ავტომობილიდან ავტობუსზე? ქალაქის შედეგები იზომება იმით, თუ როგორ გაუმჯობესდება ქალაქში ადამიანების ცხოვრების ხარისხი, საცხოვრებელი გარემო. თუ ააშენებ 100 საბავშვო ბაღს და დააკმაყოფილებ ბავშვების 50%-ს ეს გაუკეთებელი საქმეა! დანარჩენი 50% ბავშვები დაჩაგრე? გაკეთება იწყება 100%-დან, როდესაც იტყვი, რომ შენ საბავშვო ბაღებში გაქვს 5-10% დაუტვირთავი ადგილი და მზად ხარ მოუნოდო მოსახლეობას შობადობის გაზრდისკენ.**

რამდენი ხე დაირგო ეს კი არაა საანგარიშგებო მაჩვენებელი, არამედ თუ რამდენი კვადრატული მეტრი მწვანე საფარი მოდის მოსახლეობის ერთ სულზე და შეძლო ქალაქმა თუ არა ცივილურ მაჩვენებლებზე გასვლა? როდესაც ეს მაჩვენებელი დღეს 3-ის ტოლია და უნდა იყოს 20 კვადრატულ მეტრზე მეტი თქვენი შემოთავაზებული ტემპით როდის გადაიჭრება პრობლემა? 30 - 35 წლის შემდეგ?

მაჩვენებელია მშპ ქალაქში შექმნილი, საკუთარი შემოსავლებით ექსკლუზიური ფუნქციების რა წილს აკმაყოფილებს თბილისი, როგორია 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა, მცირე ბიზნესის განვითარება, უმუშევრობის დინამიკა და ა.შ.

საქმეს აწყობს სწორი შეფასება. ჩვენ ნარმანიას საქმიანობის უკეთ წარმოჩენა გვინდა, თუ კალაძის წარმატებული საქმიანობა?

ვის აწყობს გადაჭარბებული შეფასება?

ნარმანიას პერიოდში მოქმედ პირებს.

ამასთან აწყობთ, რომ ყველაფერი ნეგატიური ნარ-

მანიას „ჩამოეკიდოს“, თითქოს არ იყო საკრებულო, ადმინისტრაცია, თბილისის მთავრობა და ათასი ვილაცა.

აბა როგორ ავხსნათ, საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის მიერ გამოთქმული აზრი (10 ნოემბერი): „დავით ნარმანიას ტროტუარებიც კი გაყიდული დახვდა - რა პირობებში უხდებოდა ამის გამოსწორება, ეს ცალკე თემაა.“

კი არ „დაგვხდაო“, არამედ „დახვდაო“?!

კი არ „გვიხდებოდაო“, არამედ „უხდებოდაო“?!

დავით ნარმანიას თვითშეფასება 10 ბალიანი სისტემიდან 8 ბალია.

გარდა თვითშეფასებისა არსებობს შეფასება გარედან, სხვის მიერ (ეხლა არ ვიხილავ ამ საკითხს, მაგრამ თუ 1 მლნ ხის ნაცვლად დარგე 700 ათასი, უკვე აქ 7 ქულაზე მეტი ვერ იქნება 10 -დან და ასე უნდა შეფასებას გაყოლა ყველა 41 პუნქტში).

ეს შეფასება აუცილებელია მომავალი თბილისის მმართველებისათვის.

სიტუაციის რეალური შეფასება იმათ მიერ ვინც უშუალოდ თბილისის მმართველობაში მონაწილეობით არაა დაინტერესებული უნდა იყოს განსაკუთრებით გასაგები. ინტერესი - თბილისის წარმატებაა, რაც მის წარმატებულ მმართველობის გარეშე ვერ იქნება.

**კახი კალაძე როდესაც დავით ნარმანიასთან დისტანცირების ანულირებას ახდენდა, ეს უკანასკნელი მას დღის წესრიგს უქმნიდა იმ საქმეებით, რომელიც მაც უნდა დაესრულებინა და არ დაასრულა. ეტყობა მას ბევრი მხარდაჭერი ჰყავს ამ საქმეში.**

**დაკვირვებული თვალი შეამჩნევს თუ როგორ დააწყვილეს ნელ-ნელა კახი კალაძე და „სი თი პარკი“, კახი კალაძე და გენგვემა.**

სინამდვილეში უნდა იყოს კახი კალაძე და პარკირების ადგილების ზრდა და პარკირების სისტემის მონესრიგება, კახი კალაძე და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის, ქალაქთმშენებლობის მონესრიგება, კახი კალაძე და თბილისის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა და სხვა. იმ ფორმატითა და მასშტაბით, რაც საარჩევნო პროგრამაშია და რასაც წარმოადგენს ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ბუნებრივ-ბიოლოგიური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური სისტემა.

**გასაგები რომ იყოს, მეთევზის ტერმინებით ვიტყვი, კახი კალაძე ამ „ანკესზე წამოეგო“.**

მთელი პერიოდი მიუძღვნა „სითი პარკს“, მშენებლობების ბედზე დაპირებებს, ტუალეტების საკითხსაც კი, პიარ აქციებს....

კარგია მინისქვეშა გადასასვლელების გარეცხვა, მაგრამ ამისთვის ხომ სპეციალური სამსახური არსებობს? საზოგადოებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ეს კარგია, მაგრამ მმართველობის თვალსაზრისით, არაეფექტიანია. სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც იმუშავებს. ერთეული საჩვენებელი პოლიტიკური „პიარი“ აქ არ ვარგა.

2 <http://www.interpressnews.ge/ge/politika/462310-giorgi-alibegashvili-davith-narmanias-trotuarebic-ki-gayiduli-dakhvda-ra-pirobebshi-ukhdeboda-amisgamostsoreba-es-calke-themaa.html?ar=A>

1 <http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/46-0148-ver-vityvi-rom-raghac-ukheshi-an-gamoustsorebeli-shecdoma-davushvi-asethi-ar-mqonia.html>

ამას ახლადარჩეული, ჯერ მოვალეობას არ შემდგარი მერი რომ აკეთებს, სად არის ამ ჯერ კიდევ ფუნქციონირებადი მერი? საკრებულო?

კახი კალაძე მინისტრობიდან მერად პოლიტიკური წონის გასაძლიერებლად რომ წავიდა ეჭვი არ არის. თუმცა პოლიტიკური ფიგურა - მინისტრი სხვა დონეა მმართველობის, სულ სხვა ადგილობრივი თვითმმართველობა. თუ სამინისტროში ის იყო ერთპიროვნული მმართველი და ენერგეტიკაში დადგმული სიმძლავრეები და ელექტროენერჯის გენერაცია იყო ყურადღების ობიექტი, თვითმმართველობაში უკვე მისი განაწილება და მისი მოხმარებაა საყურადღებო. ამასთან თითოეული მომხმარებელია ზრუნვის საგანი. ავადმყოფი, სტუდენტი, საბავშვო ბავშვი, რომელმაც ბავშვმა გაყინული ხორციით დამზადებული კერძი მიიღო და რომელმაც არა, კატასტროფები, ზემოქმედება, ნარკომანია, ქალაქში მინის ზემოთ, მინის ქვემოთ, ჰაერში, ნყალში რაც ხდება - ყველაფერი მერის საფიქრალ-სამოქმედო კომპეტენციაშია.

**კახი კალაძეს მინისტრობას ჰქონდა ჩრდილოვანი მხარეები:** როგორც ჩვენ ვიცით, ესაა „გაზპრომთან“ დადებული საქართველოსთვის წამგებიანი ხელშეკრულება, ხუდონესისა და ნენსკრაჰისის მეგაპროექტების განუხორციელებლობა, ენერგეტიკის პოლიტიკისა და ენერგეტიკის რეგულაციის სისტემის აღრევა, ენერგეტიკაში სახელმწიფო მონოპოლიზმის კერძო მონოპოლიზმით ჩანაცვლებისადმი შეგუება. ყველა ეს პროცესი ეხება სახელმწიფოს, აზიანებს მას და შესაბამისად, ირიბად ეხება მოსახლეობას.

თუმცა, მოსახლეობის მიერ მინისტრების საქმეების საკუთარ ცხოვრებაზე გავლენის აღქმა ნაკლებია, ვიდრე ამას ადგილი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა საქმიანობისას. მატერიალურად დასახლებულზე ათასჯერ ნაკლებ ზარალს აქ შეიძლება ათასჯერ მეტი რეაქცია მოჰყვეს. შეძლებს ამ სიმძიმეებ მობმული კახი კალაძე წინა პოლიტიკური სიმაღლეებზე დაბრუნებას და კიდევ უფრო წინ წასვლას?

**კახი კალაძეს აღმოაჩნდა მმართველობის კარგი უნარი,** მან დახვეწა მსჯელობა, როგორც იტყვიან „გაიზარდა პოლიტიკურად“, მაგრამ მისი ფუნდამენტური განათლების ნაკლოვანებები, სუსტი კავშირები აკადემიურ და სამეცნიერო წრეებთან, დიდფულიანობა (მეტის შოვნის სურვილი) ხომ არ იჩენს თავს მრავალფუნქციური საქმიანობის დროს?

ამის პირველი გამოცდა მას ელის უკვე უახლოეს ხანში იმ საკითხებში, რომლის დღის წესრიგი მას შეუდგინეს და მასში „გახვიეს“.

**პირველი შეცდომები უკვე დაშვებულია.**

მერობის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე კალაძეს უნდა ჰქონოდა სტანდარტული პასუხი ყველა საკითხზე: მერიაში მივალთ, ვაკომპლექტებთ გუნდს და შევუდგებით დანაპირების შესრულებას. **შეცდომაა, როდესაც ქალაქის მერიას ჰყავს ასობით პროფესიონალი თანამშრომელი, საკრებულო (სულ მერიის სისტემაში 25 ათას კაცამდეა დასაქმებული!) და ამ დროს ჯერ მოვალეობის არ შემსრულებელი მერი იწყებს**

**ცალკეული საკითხების გადაწყვეტას.**

უფრო სწორად მოხდა მისი პროვოცირება გარკვეული საკითხებით.

ერთ-ერთი საკითხია „სითი პარკი“.

9 ნოემბერს კახი კალაძე განაცხადა, რომ „სითი პარკის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას წარმართავს, რომ „სამართლებრივი გზით წავა.“

მისი სიტყვებია: „ჩვენი მიდგომები იქნება სამართლებრივი. თუნდაც, სტატისტიკა, რომ ვნახოთ, ჯარიმები, რომელიც ამ კომპანიის მხრიდანაა გამოწერილი და რომელიც გასაჩივრდა, 99% გამამართლებელი განაჩენი მოქალაქეების სასარგებლოდ არის გამოტანილი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა - ეს კომპანია არაკანონიერად მოქმედებს? ამიტომ ჩვენ მივუდგებით სამართლებრივი გზით. სამართლებრივი გზით წასვლაზე როდესაც ვსაუბრობ, მე ზუსტად ამას ვგულისხმობ, რომ იურისტები ჩაერთვებიან და ამ მიმართულებით ვიმუშავეთ“.

უკვე მეორე დღეს, 10 ნოემბერს, მას მოუწია თქმა: „სიახლე არაფერი მითქვამს. მე ამას ვამბობდი წინასაარჩევნოდ და ვიმეორებ ახლაც. იქნება სამართლებრივი გზით ბრძოლა. არ მაინტერესებს რას ფიქრობენ ისინი“, გულისხმობდა „სითი პარკს“.

**ეს იყო მეორე შეცდომა:** როგორ შეიძლება ედავებოდე ვინმეს და მისი აზრი არ გაინტერესებდეს?

ეს იყო გამომხატურა იმავე დღეს „სითი პარკის“ მედიაკომუნიკაციების მენეჯერის **ლევან ტაბიძის განცხადებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ ახლადარჩეული მერის 1. სტატისტიკა სინამდვილეს არ შესაბამება, გამოწერილი ჯარიმების მხოლოდ 0.2% ხდება სადავო და ამ დავის შემდეგაც ნახევარზე მეტს კომპანია იგებს და 2. რომ „კომპანია მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და ასევე იმ კონტრაქტით, რომელიც გაფორმებულია თბილისის მერიასა და კომპანიას შორის“.**

**აქ სითი პარკის წარმომადგენელმა ამხილა ახალი მერი 1. რბილად რომ ვთქვათ არაინფორმულობაში და 2. მიუთითა მერს უდანაშაულობის პრეზუმციის პატივისცემისკენ.**

„სითი პარკის“ წარმომადგენელმა ეს კამათი დაამთავრა წინადადებით:

„იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში თბილისის მერი შეხვდება კომპანიის წარმომადგენლებს და „სითი პარკის“ ხელმძღვანელებს ექნება შესაძლებლობა, რომ თბილისის არჩეულ მერს მიაწოდონ ამომწურავი, სრული და ობიექტური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კომპანიის საქმიანობა და გასცენ ყველა შეკითხვას პასუხი, რომელიც თბილისის მერს დაინტერესებს“.

**ახალ მერს აქვს ეს კითხვები?**

ჩვენს მიერ არჩეული მერი დარჩა მარტო შპს-ის პირისპირ კამათში. ათასობით შპს-ს როგორ უპასუხებს? ამიტომ არსებობს სამსახურები და მათზე უნდა გადაწავილდეს საქმეები. **მერმა თუ გადასავლელი რეცხა, ქალაქის განვითარების სტრატეგიაზე ვინ იმუშავებს? მერმა ყველა შპს-ს საქმე თუ არჩია ქალაქის საბიუჯეტო პოლიტიკას ვინ განსაზღვრავს?**

მართვა- მეცნიერებაა მისი კანონებით. მართვის შედეგიანობა გაზომვადია.

პოლიტიკოსობა განსხვავდება სამეურნეო-თვითმმართველობების მართვისგან. კანალიზაცია ერთი და იგივე პრინციპით მუშაობს როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე პოლიტიკოსისათვის.

**პრობლემების არც წამოწევა, არც გადანყვეტა პირველი პირით არ უნდა დაიწყო. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ქცევა აწყობს ბიუროკრაციას, როგორც სისტემას. ყველაფერი ბრალდება ერთ პირს-პირველ პირს. ასეთი მმართველობის დროს პირველი პირი უშვებს შეცდომებს, ზოგჯერ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე სჩადის უკანონობას, რაც ბოლომდე არავის არ შერჩენია ან აქ, ან იქ. დაუსჯელი რჩება ამ პირის ქვეშ არსებული „მმართველი ელიტა“, რომელიც სჩადის ათასგზის მეტ დანაშაულს, პირველი პირის დანაშაულს ამოფარებულები.**

**კახი კალაძე** საჯაროდ აცხადებს, რომ რაც გაკეთდება იქნება არა „ჩემი“, არამედ „ჩვენი“. ეს კარგია, მაგრამ მის შეცდომებზე ბევრს მოუწდება მიერთება?!

თუ გუნდურ თამაშს თამაშობს **კახი კალაძე**, მაშინ რატომ დაიწყო „მე“-ზე დაყრდნობით საუბარი და მოქმედება, ვიდრე კანონიერად ჯერ კიდევ სხვა მერი ფუნქციონირებდა? რატომ მიაყენა შეურაცხყოფა გადასასვლელების გარეცხვით ნარმანიას, რომ ის უფრო მეტი სისუფთავის მომტანია, ვიდრე მოქმედი მერი?

**აქ გამორჩნდა კიდევ ერთი შეცდომა: არსებული შესაძლებლობების გამოყენებლობა.**

თუ გუნდური თამაშია, მაშინ ხომ უნდა ეკითხა **კალაძეს „სითი პარკზე“** ნარმანიასთვის თავისი აზრი?

ან, თუ ერთი გუნდია, საჯაროდ ნარმანიას უნდა გადაეწერა წყალი კალაძის პოზიციისთვის, თუ ეს უნდა ეთქვა კულუალურად?

2017 წლის 10 ნოემბრისათვის დავით ნარმანიას აზრი კახი კალაძის „სითი პარკისადმი“ გამოთქმულ პოზიციაზე შემდეგია: „არ მგონია, რაღაც სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ყოველი შემთხვევისთვის კარგია, რომ კიდევ უფრო მეტი რამის ცდა მოხდება. ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, რომ მისი მტაცებლური პოლიტიკა რამენაირად შეიცვალოს“<sup>1</sup>.

ნარმანიას ეს აზრი იცოდა მანამდე კალაძემ? ნარმანიას ნათქვამი ხომ უბრალო ნათქვამი არ არის. ის ხომ იმ კაცის ნათქვამია, რომლის „საძირკველზე“ უნდა გააგრძელოს საქმეები კალაძემ, მათ შორის „სითი პარკთან“? ნარმანიამ უნდა უპასუხოს რატომ? ნარმანიამ ხომ ამ საკითხში ალბათ ყველაზე მეტი იცის საქართველოში. მაშინ, როდესაც კალაძე არ ეკითხება გუნდის წევრს ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ მოსახლეობის მართვაში მონაწილეობისთვის ასობით კეთილგანწყობილი, ან პირიქით მოსაზრების მოსმენისთვის ის მზადაა.

დავით ნარმანიას სამწლიანმა გამოცდილებამ და ახალმა - უთანამდებო მდგომარეობამ ათქმევინა სიმართლე: „ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, რომ მისი მტაცებლური პოლიტიკა რამენაირად შეიცვალოს“. **ეს ფასეული და გასათვალისწინებელი აზრია, მაგრამ**

1 [http://for.ge/view.php?for\\_id=51124&cat=3](http://for.ge/view.php?for_id=51124&cat=3)

**ეს რომ ეთქვა ნარმანიას მერობის დროს, მაშინ იქნებოდა ის საზოგადო კაცი.** არ იქნებოდა უზარმაზარი საზოგადოებრივი დანახარჯი. სხვა რომ არაფერი, დედაქალაქმა და ქვეყანამ გაფლანგა სამი წელიწადი ისე, რომ სამომავლო არაფერი შეუქმნია.

ეს უნდა გაითვალისწინოს კალაძემ. ის, როგორც ქალაქის მერი, კერძო კაციდან საზოგადო კაცად უნდა იქცეს!

2017 წლის 17 იანვარს სამართლის დოქტორის ავთანდილ კახნიაშვილის „სითი პარკის“ წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე კახნიაშვილის მხარეს - „ხალხს და თბილისს“ წარმოვადგენდით ორი კაცი, ხოლო „სითი პარკის“ მხარე წარმოდგენილი იყო თავისი იურისტებითა და დავით ნარმანიას დაქვემდებარებული მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელით, რომლებიც ერთად იცავდნენ „სითი პარკის“ საქმიანობის „კანონიერებას“ და ბედნიერ მომავალს.

ეს - ქართული ოცნების, მერიის, დავით ნარმანიას ისტორიის სასიქადულო ფურცლებია, რომლის ასე უბრალოდ გადაშლა ვერ მოხდება.

**3. „სითი პარკისთან“ მიმართებაში კალაძის ნარმანიზაციის თავიდან აშორებისა და ტრიუმფის შანსი**

„სითი პარკი“ - ეს არის თბილისელების ხარჯზე გამდიდრების უგულავას დროინდელი ურისკო ბიზნეს პროექტი (ქალაქის ცენტრალურ ადგილებში დღისით მანქანების რაოდენობა 15-ჯერ აღემატება სადგომების რაოდენობას, ანუ თეორიულად პარკირების დარღვევა გარანტირებულია ყოველი 15 მანქანიდან 14 შემთხვევაში!).

**დღეს „სითი პარკი“ გახდა საქართველოს ხელისუფლებისა და თბილისელების საზომ-საწონ მაჩვენებელი.** ხელისუფლების შემთხვევაში აჩვენებს ხელისუფლება ქმედითი და წესიერია თუ არა. ხალხთან მიმართებაში იმის მაჩვენებელია, თუ რა დონეზეა დღეს ეროვნული ენერჯია. თუ თბილისელები თბილისს ვერ ათავისუფლებენ „სითი პარკისგან“ მიტაცებულ ქუჩებსა და ტროტუარებს, მაშინ ქვეყნის დაპყრობილ ტერიტორიების გათავისუფლების ენერჯია როდის დაგროვდება?!

თბილისელები კანონმორჩილი ხალხია და თვლიან, რომ „სითი პარკის“ საკითხი ხელისუფლებამ უნდა გადანყვიტოს, თუმცა ყველა მაჩვენებლით მოთმინების ეს ფიალა სავსეა.

„სითი პარკი“ ნაციონალური ხელისუფლების დამახასიათებელი მოვლენაა, რომლის გამოც ხალხმა პოლიტიკურად დასაჯა ის ხელისუფლება. ახალი პოლიტიკური ძალა როდესაც მოდის, ბუნებრივია მას ხვდება მემკვიდრეობით წინა ხელისუფლებისგან ყველაფერი - კარგიც და ცუდიც. სწორი საქციელია, როდესაც ცუდს გამოასწორებ და კარგს გაამრავლებ. ამ აზრს იზიარებდა თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია, როდესაც 2014 წელს ამბობდა:

- „სითი პარკს“ სერიოზულ პასუხს მოვთხოვთ და ხელშეკრულებას აუცილებლად გადავხედავთ“;

- „სითი პარკთან“ კაბალური ხელშეკრულების გაფორმება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მოხდა“;

„ჩვენ ამ კომპანიას პასუხს ძალიან სერიოზულად მოვთხოვთ. ასევე სერიოზულ პასუხს მოვთხოვთ იმ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებლები. ამ შემთხვევაში ჩვენ ხელშეკრულებას აუცილებლად გადავხედავთ და რა თქმა უნდა, მათ მოეთხოვებათ ის, რომ დამატებითი პარკირების ადგილები ააშენონ თავიანთი ფულით, როგორც მინიქვეშა, ასევე მრავალსართულიანი მინისზედა ავტოსადგომები“.

დავით ნარმანიას თბილისის მერად 2014 წლის 15 ივნისს აირჩიეს.

მერის მოვალეობის აღსრულების პირველ თვეებში დავით ნარმანიას განცხადებები ტიპიური იყო. მაგალითად, 2014 წლის 22 დეკემბერს ის ამბობდა:

- „სი თი პარკი“ დიდი ხანი ვეღარ გაჩერდება თბილისში“ „სითი პარკი“ ფულს აკეთებს და მეტს არაფერს“;

- „ჩვენ ახლა მალე ვამთავრებთ „სი თი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივ და ფინანსურ ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციებს, რომელსაც ჩვენი დაკვეთით ახორციელებს უცხოური აუდიტორული კომანია „ერნსტ ენდ იანგი“ მის დასკვნაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ჩვენი შემდგომი ნაბიჯები“.

2016 წლის 16 ნოემბერს კი დავით ნარმანია უკვე ლოიალურ პოზიციას გამოხატავს და აცხადებს: „ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში თავს ვიკავებთ „სითი პარკთან“ ხელშეკრულების განწყვეტისგან“.

კახი კალაძემ, როგორც მერობის კანდიდატმა 2017 წლის 29 აგვისტოს განაცხადა „სითი პარკის“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით:

„ეს არის კაბალური ხელშეკრულება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს არის გაფორმებული. როცა მე მერი გავხდები, აუცილებლად ვიმუშავებთ იმაზე, რომ გამოინახოს სამართლებრივი შესაძლებლობები, რომ ეს ხელშეკრულება იყოს გაუქმებული. პირდაპირ ამ კომპანიის ინტერესშია, რომ ქალაქში არ იყოს გასაჩერებელი ადგილები, რადგან, რაც ნაკლებია გასაჩერებელი ადგილი, ეს კომპანია უფრო მეტ ჯარიმას წერს, აღიზიანებს მოსახლეობას და თბილისის მოსახლეობას უწევს ჯიბეების დაცარიელება. ეს არის სამწუხარო რეალობა, რომლის ცვლილებაზეც ვიმუშავებთ“<sup>1</sup>

ამ შემთხვევაში: კალაძე- 2017 ერთი ერთში ნარმანია - 2014-ია!!!

მერად არჩევის შემდეგ და მერობის ფუნქციის შესრულებამდე, კახი კალაძემ გააგრძელა აღნიშნული რიტორიკა და ზემოთმოტანილი ისტორიის გამო „სითი პარკის“ საკითხი აქცია მისი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ დღის წესრიგის საკითხად.

ბუნებრივია ისმება კითხვა: იგივე აგვისტოში რა უშლიდა კახი კალაძეს და ქართულ ოცნებას განხორციელებინათ აღნიშნული ქმედებები „სითი პარკის“ მიმართ? მათი პარტიული მერი და მათი პარტიული უმრავლესობა საკრებულოში ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის ხომ საკმარისი იყო?

1 <http://www.bm.ge/ka/article/quotssiti-parkiquot-tbilisis-merobis-kandidatebi-/13723>

დავით ნარმანიამ, მერობის დასაწყისში როდესაც გამოაცხადა „სითი პარკის“ - ამ სიმახინჯის- დამარცხების შესახებ (მანაც იგივე შეცდომა დაუშვა, რაც დღეს კალაძემ, როდესაც საკითხს ერთპიროვნული დაპირისპირების ფორმა მისცა) შეიქმნა კრიტიკიუმი: თუ ნარმანია „სითი პარკის“ ხელშეკრულებას ვერ აუქმებს ის ან უუნაროა, ან კორუმპირებული, ან ორივე ერთად.

ეს წარმოდგენა დავით ნარმანიაზე ამ საკითხში ძალაშია დღესაც. სანინალმდევოს დამტკიცება მას არ უცდია.

ეს კრიტიკიუმი უკვე მოქმედებს კახი კალაძესთან მიმართებაში.

ეხლა მთავარია რაც დახვდა (მიუხედავად იმისა ვისგან) იმასთან მიმართებაში როგორ მოიქცევა კალაძე?

თუ კალაძეც ნარმანიასავით შეეგუება „სითი პარკს“, მაშინ ყველა ეს ხმაური ყოფილა დაკავშირებული „სითი პარკთან“ ციკლურ გარიგებასთან - ახალი მერი ახალი პირობები, ამასთან კალაძეც ყოფილა ან უუნარო, ან კორუმპირებული, ან ორივე ერთად.

„სითი პარკმა“ მიიღო მერად ნარმანია და გააცილა ის.

„სითი პარკი“ ღებულობს მერად კალაძეს და გააცილებს მას?!

კახი კალაძეს ნამდვილად სურს რომ, ის არ გააცილოს „სითი პარკმა“?!

ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული სასამართლო პროცესი. დღეს სამეურნეო დავები სასამართლოს გადატვირთულობის გამო წლობით მიმდინარეობს. შესაძლებელია სასამართლო პროცესი ისე გაიჭიმოს/ გაჭიმონ, რომ მისი საბოლოო გადაწყვეტილების დროისთვის არც კალაძე იყოს მერი და „სითი პარკს“ თავისი საქმე მომთავრებული ჰქონდეს!

შპს „სითი პარკი“ შეიქმნა 2007 წლის 9 ნოემბერს თბილისში ავტომობილების პარკირების ორგანიზებისთვის თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული შპს „ამაგონის“ და შპს „შოპარ პარკინგ სერვისის“ შექმნილი კონსორციუმის მიერ ამავე აუქციონის პირობების შესაბამისად, რომელმაც 2007 წლის 7 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება თბილისის მთავრობასთან და 15 წლის ვადით პარკირების სფეროს მართვის ექსკლუზიური უფლება მოიპოვა.

ასე რომ, ამ ჯახირში 10 წელი უკვე გავიდა და დარჩა 5 წელი!

თუ კალაძე ვერ გადაწყვეტს „სითი პარკის“ საკითხს, რომელიც ნარმანიამ ჩახმახზე შეყენებული თოფით დაუტოვა, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე ფაქტმა გადაავსოს თბილისელების მოთმინება და მივიღოთ „სითი პარკის“ „ბახტრიონი“.

„სითი პარკთან“ კალაძის მოქმედებების ნარმანიზაციის სცენარით განვითარებისას კახი კალაძის ავტორიტეტი ძალიან დაზარალდება და პოლიტიკური აღმასვლისთვის ეს მისთვის ძნელად გადასალახავი ბარიერი იქნება!

ასე რომ არ მოხდეს, საკითხი უნდა გადაწყდეს მყისიერად. კახი კალაძის მერის კაბინეტში შესვლ-

იდან პირველივე დღეებში. შემდეგ რამოდენიმე დღეში ქალაქმა უნდა მიიღოს პარკირების საკითხის გადაწყვეტის ახალი, ალტერნატიული კონცეფცია და მოქმედების განერილი გეგმა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა ასახული იქნება უახლოეს 2018 წლის ბიუჯეტში.

ამით, კახი კალაძე არა მარტო აღადგენს „ორმერი-ანობის“ პერიოდში შერყეულ ნდობას, არამედ აიყვანს მას სრულიად ახალ ხარისხში, რომელსაც თან ეხლება ასი ათასობით ადამიანის სიხარული და მადლიერება.

ბედნიერია ხელისუფალი, ვისაც ასეთი შანსი ეძლევა!

**4. გახდება კახი კალაძე თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ მონაწილე?!**

პირველი დღეების წარმატებას სჭირდება გამყარება მომდევნო მნიშვნელოვანი და ეფექტიანი, ხალხის, ქალაქის, ქვეყნის, ანმყოფა და მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებებითა და გადაწყვეტილებებით.

რა უნდა იყოს მომდევნო საკითხი? ეს საკითხიც „სითი პარკის“ ტიპისაა. ისიც ხაფანგით გაიჭიმა კახი კალაძის ქალაქის მერის ფუნქციის შესრულებამდე და ეს საკითხიც, ისე როგორც პირველი ხელოვნურად დაფიქსირდა მის დღის წესრიგში.

ეს არის „გენგეგმა“! მთავარი მოქმედი პირი „სითი ინსტიტუტი საქართველო“!

ეს არის „თბილისის წინააღმდეგ შეთქმულებაში“ ახალი მერის ჩაბმის საკითხი. კახი კალაძის მასში ჩაბმა მაშინ დაიწყო, როდესაც მისი წინასაარჩევნო პროგრამა შედგა. პროგრამაში ნათქვამია, რომ „მერია საბოლოოდ დაამუშავებს და დაამტკიცებს თბილისის მიწათმონყობის გენერალურ გეგმას, რომელიც შეასრულებს თბილისის ურბანული განვითარების ქვაკუთხედის ფუნქციას. გენერალური გეგმა იქნება სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული, წლებზე გათვლილი ქალაქის „კონსტიტუცია“. გენერალური გეგმა შექმნის ქალაქმშენებლობისა და ურბანული განვითარების ახალ პარადიგმას, რომელიც იქნება არა მხოლოდ დედაქალაქის განვითარების ახლებული ხედვა, არამედ გახდება მაგალითი საქართველოს სხვა დიდი ქალაქების განვითარების კონცეფციებისთვის.“

კალაძის წინასაარჩევნო პროგრამაში წარმანიას სამი წლის წინანდელი თეზისია გამოვლენილი.

დავით წარმანიას 2014 წლის 12 ივლისს მერის არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამაში ნათქვამია: „სპეციალისტებთან ერთად შევიმუშავებთ ქალაქის განვითარების გეგმას“, რომ დასრულდება „თბილისის განაშენიანების სრულფასოვანი გენერალური გეგმის შედგენა“.

ეხლა ცნობილია, რომ წარმანიან თავისი დაპირება არ შეასრულა, მაგრამ კალაძის პროგრამის დაწერის დროს ხომ ამის ცოდნა შეუძლებელი იყო?

კალაძე მიწათსარგებლობის გეგმის მიღების პერსპექტივაზე საუბრობდა, მაშინ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) მიღების ანონსი მერიის ხელმძღვანელობას უკვე მიცემული ჰქონდა.

უფრო მეტიც, მთელი ივლის-აგვისტოს უკვე „არსებული“ მგგ-ს განხილვები მოაწყვეს.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე ა.ნ. 8 ივლისს გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფმა „სითი ინსტიტუტი საქართველომ“ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს, ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული მასალები (ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ. შემდგომში: „მასალები“) წარუდგინა“<sup>1</sup> იქვეა მოცემული ეს მასალები<sup>2</sup>.

18 ივლისს თბილისის მერიის საიტზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ „თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საჯარო განხილვები დაიწყო. პირველი შეხვედრა ქალაქ თბილისის საკრებულოში გაიმართა“<sup>3</sup>.

ამ მასობრივი ფარსის, სამწუხაროდ საპატიო ადამიანებისა და ინსტიტუტების მონაწილეობით, მხილებით გამოაშკარავდა სწორედ თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულება“.

საკითხის დეტალებით დაინტერესებული მკითხველმა შეიძლება

ნახოს (სხვას შეუძლია გამოტოვის კითხვისას - შინაარსის აღქმაზე ეს გავლენას არ მოახდენს) ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი აქტივობები<sup>4</sup>:

აღნიშნული მასალები იმ პერიოდში სხვადასხვა

- 1 (<http://tas.ge/?p=news&menuItem=7105>).
- 2 [https://drive.google.com/file/d/0B\\_nA9I8R6VSNkjaeThHaHNqNVU/view](https://drive.google.com/file/d/0B_nA9I8R6VSNkjaeThHaHNqNVU/view)
- 3 (<http://www.tbilisi.gov.ge/news/3869>)
- 4 11.08.2017. - მიხეილ ჯიბუტი - „შეთქმულება“ თბილისის წინააღმდეგ <http://iverioni.com.ge/16402-mikheil-jibutishethqmuleba-thbilisis-tsinaaghmdeg.html> 15.08.2017.
- მიხეილ ჯიბუტი - „სად არის თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ ნამდვილი მიზეზი?“ <http://iverioni.com.ge/16403-mikheil-jibuti-sad-aris-thbilisis-tsinaaghmdeg-shethqmulebis-namdvili-mizezi.html> 15.08.2017
- მიხეილ ჯიბუტი სტუმრად დავით აქუბარდიასთან. თემა: რას გვთავაზობს თბილისის მერია მიწათსარგებლობის გენგეგმის სახით? <https://www.youtube.com/watch?v=loz0GGYfSIU> ნაწილი 1- სპექტრი - კავკასიაTV.
- მიხეილ ჯიბუტი სტუმრად დავით აქუბარდიასთან. თემა: რას გვთავაზობს თბილისის მერია მიწათსარგებლობის გენგეგმის სახით? <https://www.youtube.com/watch?v=PjIKSRLtpI4> ნაწილი 2 - სპექტრი - კავკასიაTV.
- 19.08.2017-მიხეილ ჯიბუტი: როგორ ჩავაქროთ თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ კერა? <http://iverioni.com.ge/16405-mikheil-jibuti-rogor-chavaqroth-thbilisis-tsinaaghmdeg-shethqmulebis-ker.html>
- 21.08.2017-მიხეილ ჯიბუტი: „მთელი სისტემა მუშაობს ბოლო 25 წელია, იმ მიზნით, რომ თბილისში არაფერი მოწესრიგდეს და ეს უკავშირდება თბილისის მიწას“ <http://www.info9.ge/politika/176737-mikheil-jibuti-mtheli-sistema-mushaobs-bolo-25-tselia-im-miznithrom-thbilisshi-araferi-motsesrigdes-da-es-ukavshirdeba-thbilisis-mitsas.html?lang=ka-GE>

ფორმით გამოქვეყნდა გაზეთებსა და სხვა სააგენტოების მიერ.

**2017 წლის 19 აგვისტოს წერილიდან ციტატი:**

„დასკვნისთვის შევადარე ერთმანეთს: ერთი მხრივ, „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე გეგმარებითი დავალება“ და „საკონკურსო განცხადება“ და მეორე მხრივ, წარმოდგენილი „მასალები“, რის საფუძველზეც გავაკეთე დასკვნა, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შედეგს - ქ. თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებულ პროექტს!!! რომ მასში არ არის „გეგმარებითი დავალების“ მიხედვით განსაზღვრული „მინათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი“ (გვ.22). ის რაც წარმოდგენილია არის სამუშაო, ნედლი მასალა მგვ პროექტისათვის. ამ მასალის მიმართება მგვ პროექტთან ისეთივეა, როგორც მორისა საწნახელთან, თიხისა ქოთანთან, ტინისა ცოდნასთან.

დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: წარმოდგენილი სახით მასალის, ძირეული გადაამუშავების გარეშე, რაიმე ნორმატიულ დოკუმენტად მიღება წარმოუდგენელია. რაიმე ნორმატიული აქტის პროექტად წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა ეს მასალა ფორმალურადაც“<sup>1</sup>

**აქ კვლავ თავს იჩენს კითხვა: ერთი გუნდი არ არის? წარმანისგან არ იყო კალაძე მგვ-ს შესახებ ინფორმირებული? რატომ?**

წარმანია ხომ იცოდა, რომ წარმოდგენილი მასალები ვერაფრითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მან ხომ იცოდა, რომ „ბლეფობა“ და განხილვების დროს რაიმე მგვ-ის პროექტს კი არ იხილავდა, არამედ აწყობდა მსჯელობას თბილისთან დაკავშირებით. თავი დაიზღვიეს.

კალაძეს შეაჩჩეს („he was framed“, „его подставили“) ეს საკითხიც.

სამწუხაროდ, ისე როგორც „სითი პარკისთან“ მიმართებაში კახი კალაძემ „ორმერიანობის“ პირობებში დაიწყო არაინსტიტუციონირებული მსჯელობები მინათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე, რითაც მან ეს საკითხი მერობის მოვალეობის დასაწყისის დღის წესრიგში მყარად ჩასვა.

10 ნოემბერს გავრცელდა, რომ

- „ახალი მერი პირობას დებს, რომ თბილისის ურბანული პოლიტიკა შეიცვლება“.

- „მინათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმაზე მუშაობა მხოლოდ 2017 წელს დასრულდა და დედაქალაქის მერიას 13 ნოემბერს ჩაბარდება. იგი დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალ შემადგენლობას წარდგინება“<sup>2</sup>.

აღნიშნულ „ჩაბარდებასა“ და „დამტკიცებას“ შორის არის კიდევ რაღაც, რომელიც მოუმზადებულ მკითხველს შეიძლება გამორჩეს.

1 <http://iverioni.com.ge/16405-mikheil-jibuti-rogorchavaqroth-thbilisis-tsinaaghmdg-shethqmulebis-kera.html>

2 [http://www.for.ge/view.php?for\\_id=51122&cat=1](http://www.for.ge/view.php?for_id=51122&cat=1)

**მერიაში „ჩაბარებული“ „განახლებული მგვ“ მერიაში უნდა „მიიღოს“ არა ფიზიკურად, არამედ მიღება-ჩაბარების აქტით.**

საკრებულო დამტკიცებს მხოლოდ მერიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებულ დოკუმენტს.

ამიტომ, რაც 13 ნოემბერს „ჩაბარდება“ მერიას, ამ უკანასკნელმა უნდა განიხილოს აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გათვალისწინებულია თუ არა მასში გამოთქმული შენიშვნები და ამის შემდეგ, თუ იქნება დადებითი დასკვნა, გაფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტს და ავტორები ბიუჯეტიდან მიიღებენ ჰონორარს. თუ დაინუნებს მერია დოკუმენტს, ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცემათ ავტორებს დრო და იმ დროში თავიდან წარმოადგენენ. თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდა, მაშინ ეს იქნება „სითი ინსტიტუტი თბილისისათვის“ ხარვეზების გამოსასწორებლად, რომლის შემდეგ ან ფორმდება „მიღება-ჩაბარების აქტი“, ან წყდება ხელშეკრულება. კალენდარულად ეს ბოლო ვადა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, არის 2017 წლის 22 ნოემბერი, როდესაც მერია ან უნდა გააფორმოს საბოლოოდ მიღება-ჩაბარების აქტი და წარუდგინოს დოკუმენტი დასამტკიცებლად საკრებულოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მერიაში ყველა ამ საქმიანობას უშუალოდ ახორციელებს არქიტექტურის სამსახური.

ანუ 13 ნოემბერს მერი იწყებს მუშაობას, იმავე დღეს ლებულობს „განახლებული მგვ“-ს და იწყებს საკითხის გარკვევას არქიტექტურის სამსახურის მეშვეობით, რომელიც თავიდან ბოლომდეა ჩართული ამ საქმეში და სრულადაა საქმის კურსში.

თუმცა ამას რამდენად შეუწყობს ხელს „ორმერიანობის“ დროს კალაძის განცხადება, რომელიც ა.წ. 10 ნოემბერს გახდა ცნობილი არქიტექტურის სამსახურთან დაკავშირებით:

„თბილისის მერის განცხადებით... არქიტექტურის სამსახურში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება. რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, ბიუროკრატიული მანქანა უნდა დავანგრიოთ, მერია უნდა გახდეს ადამიანებზე მორგებული, მოქნილი სამსახური, რომელიც უნდა ემსახუროდეს თბილისს და თბილისის მოსახლეობას“<sup>3</sup>

არქიტექტურის სამსახურის მიერ იქნა ორგანიზებული მგვ-ს წარმოდგენილი მასალების ქართული და უცხოური ექსპერტიზა. ქართველი ექსპერტების ლევან ბერაძის, ბიძინა ჩიგოგიძის, ალექსანდრე ჩხეიძისა (სახელწოდებით: „თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტი. საექსპერტო დასკვნა“) და ფრანგი ექსპერტის **ერიკ ჰიუბრესტის** (სახელწოდებით: „თბილისის განახლებული მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შეფასების“) დასკვნები რამოდენიმე ხნის წინ გახდა ცნობილი დაინტერესებული პირებისათვის. არქიტექტურის სამსახურის შეცდომაა, რომ ის ამ მასალების დროულ გასაჯაროებას არ ახდენს, ისევე როგორც არ მოახდინა მგვ-სთან დაკავშირებული ეტაპების მიხედვით წარმო-

3 [http://for.ge/view.php?for\\_id=51109&cat=2](http://for.ge/view.php?for_id=51109&cat=2)



დგენილი მასალების გასაჯაროება. ბევრ გაუგებრობას „სითი ინსტიტუტი თბილისის“ ხელმძღვანელი სწორედ მესამე, მეოთხე, მეხუთე ეტაპების დოკუმენტების გამოუქვეყნებლობას აბრალებს.

არ შეიძლება საზოგადოებამ არ იცოდეს აგრეთვე ცალკეული უწყებებისა და სამინისტროების პოზიციები. არ შეიძლება არ იცოდეს მაგალითად, თუ რა პოზიცია ეკავა ქლბატონ **მაია ბითაძეს**, როდესაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნას ამზადებდა, როგორც მინისტრის მოადგილე და როგორია მისი ახლანდელი, როგორც მერის მოადგილის რანგში, პოზიცია?

მაშინ ხომ უფრო ადრე დაინწყებოდა რგგ-სა და სავსებით ქალაქმშენებლობის საკითხზე ის დისკუსია, რაც ეხლა ასე ფართო მასშტაბით მიმდინარეობს?

**ოფიციალური ექსპერტების შენიშვნები და დასკვნები, რომლებიც უკიდურესად უარყოფითია, სრულად ადასტურებს ჩვენს მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და შენიშვნებს და ბევრ შემთხვევაში მათი იდენტიფიკაცია (მათ შორის ზემოთმოტანილი დასკვნისაც).**

ეხლა რამოდენიმე დღეში, „დედაქალაქის მინათსა-რგებლობის გენერალური გეგმის“ (მგგ) განახლების ეს ჩახლართული მრავალწლიანი ისტორია, რომელიც წარმანიასაგან ერგო მემკვიდრეობით, როგორ უნდა გაარკვიოს კალაძემ?

ვინ ეხმარება და ვინ ცდილობს, რომ დააბნოს? ფაქტი ერთია, მარტო მას ამ მასალების შესასწავლად ნამდვილად არ ეყოფა მრავალი კვირა, შეიძლება თვეებიც.

ამავე დროს, არის პოზიცია, რომ თუ „**მინის რეგულირების განახლებული გეგმა**“ არ დამტკიცდება გაგრძელდება უნესრიგობა ამ სფეროში.

**„სითი ინსტიტუტი თბილისის“ წარმომადგენლის აზრით: თუ გეგმა არ დამტკიცდება მათ არ მიეცემათ „დაახლოებით, 800 000 ლარი და ქალაქი დარჩება იმ დოკუმენტის გარეშე, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისთვის“.**

უფრო მეტიც, დასახელდა მგგ-ის არ მიღების ერთი ადრესატიც. მომაქვს ამონარიდი „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორის **მამუკა სალუქვაძის** ინტერვიუდან სადაც ის ჟურნალისტ ნინო ხაჩიძის კითხვებს პასუხობს:

**„- და მერია რატომ უნდა გერჩოდეთ თქვენ და თქვენს კომპანიას?**

- მოდი, ასე ვთქვათ, მერიის არქიტექტურის სამსახური, მერიაში იქნებ არ გვერჩიან. ვერ ვიტყვი, გვერჩიანო, მაგრამ ეტყობა, გარკვეული დამოკიდებულება აქვთ გენგეგმისადმი. მაშინ ასეთ კითხვას დავსვამ: არქიტექტურის სამსახურისთვის ხელსაყრელია ეს გენგეგმა?! იქნებ მათ ექმნებათ გარკვეული შეზღუდვები, ებლოკებათ რაღაც საკითხები, რომლებიც დღეს თავისუფლად წყდება?! შეიძლება, გამოვთქვათ ასეთი ეჭვი, **უნდათ მოწესრიგება იმის, რაც დღეს მოუწესრიგებელია?!**

თქვენ ამბობთ, რომ ნებართვების გაცემას ვერ აწესრიგებს ეს გენგეგმა და არც უნდა მოაწესრიგოს, ფული კი გაცივმა ნებართვებში. არა?

- ნებართვებს ვერ აწესრიგებს, მაგრამ ზონებს ადებს ისეთს, სადაც ასე უპრაგონოდ ნებართვები ვეღარ გაცივმა.“<sup>1</sup>

ეს არის თბილისის წინააღმდეგ შეთქმულების კიდევ ერთი ეჭვი ინფორმირებული პირის მიერ გამოთქმული. მაგრამ ამ პასუხში ხომ იმის ვარიანტიცაა მოცემული, რომ მგგ გარდა ზონებისა სადაც „უპრაგონოდ“ ვერაფერს გააკეთებ, „ყველაფერს რომ იზამ“ ისეთ ზონებსაც ადგენს? **თუ ეს პროცესი არ არის საჯარო და სრულ საზოგადოებრივ კონსულტაციაზე და მყარებული, მაშინ პირუკუ ეჭვიც ხომ შეიძლება გაჩდეს: ხომ არ ხდება ეს გარკვეული კერძო ინტერესების დასკმაყოფილებლად?**

საჯარო და კერძო ინტერესების თანხვედრა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რაც აქამდე მათ მიერ წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება. ამიტომაცაა ყველაზე მეტი კამათი **რუკებზე**, რომელიც თანახლავს ამ დოკუმენტს.

ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში თბილისის გენგეგმის არშედეგის ძირითადი მიზეზი არის თბილისის ძირითადი ქონების მოუწერიგებლობა იმიტომ, რომ ეს უზარმაზარი ქონებაა და მისი ასეთი მოუწესრიგებლობა ძალიან საინტერესოა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ქცევისთვის.

ისე ოფიციალურადაა აღიარებული, რომ ქალაქმშენებლობის მოუწესრიგებლობის გამო თბილისში ადმინისტრაციის დისკრეციული (თავისი შეხედულებისამებრ მოქმედების უფლება) უფლებამოსილების ზრდა „ობიექტურ მოვლენად“ იქცა.

**უნესრიგობის მომხრეებს არქიტექტურის სამსახურზე დაყვანა საკითხის გამარტივებაა.**

**„სითი ინსტიტუტი თბილისის“ წარმომადგენლების მთავარი შეცდომა ისაა, რომ ნახევარსიმართლით ცდილობენ საქმის გაკეთებას. მათ ხომ ყველაზე კარგად იცოდნენ თავიდანვე, რომ მარტო მგგ არაა საკარისი ქალაქმშენებლობის მოწესრიგებისთვის? მათ ხომ იცოდნენ რომ ამისათვის საჭიროა კიდევ გარემოს რეგულირების გეგმა? ჯამში ხომ იციან რომ მარტო მგგ-ით უნესრიგობის აღმოფხვრის სამართლებრივი ბაზა არ შეიქმნება?**

ზოგადად ამ შეთქმულების მთავარი ფაბულა ისაა, რომ თბილისის ქალაქმშენებლობა იყოს მოუწესრიგებელი, როგორც სამართლებრივად, ისე ინსტიტუციურად, ანუ დარჩეს ისე როგორც დღესაა. წლების განმავლობაში იქმნება იმიტაცია, რომ თითქოც ქალაქმშენებლობის მიმართულებით რაღაც კეთდება, რომ არსებობს სამართლებრივი ბაზა, თუმცა რეალურად ადგილი აქვს ცალმხრივი ნორმატიული აქტების მიღებას და ერთიანი სისტემური და კომპლექსური კანონი მიღებული არ არის.

<sup>1</sup> <http://fact2.ge/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A/>.

### 5. „თევზი თაჰიდან ყარს“!

ცოტა ხნის წინ გახმაურდა ამბავი მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის იუნესკოს ექსპერტების მიერ დაწუნების თაობაზე. უკვე პრობლემა მარტო თბილისს არ ეხება.

ეს ასეცაა.

საქმე იმაშია, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, თბილისს უნდა ჰქონდეს თბილისის „ქალაქმშენებლობითი გეგმა“, რომელიც შედგება არა მარტო „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისგან“, არამედ აგრეთვე „განაშენიანების რეგულირების გეგმისგან“.

ამდენად, თუ მარტო თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას მიიღებ და თუ იმავე დროს არ გაქვს თბილისის განაშენიანების რეგულირების გეგმა მიღებული, იდეალურიც რომ იყოს ის, თბილისის ურბანული კრიზისის დასაძლევად საკმარისი ვერ იქნება.

თბილისს უნდა ჰქონდეს ერთი „ქალაქმშენებლობითი გეგმა“. და მისი ერთი ნაწილის მგგ-ს მიღება შეიძლება დაუკავშირო დადებით, ან უარყოფით შედეგებს, მაგრამ პრინციპულად საკითხს არ წყვეტს.

ამიტომ თავიდანვე მერიამ დაუშვა შეცდომა როდესაც სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადა მხოლოდ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე და არა „ქალაქმშენებლობითი გეგმაზე“, როგორც ამას მოითხოვს კანონმდებლობა.

ამდენად შეცდომაა კახი კალაძის საპროგრამო დაპირება მხოლოდ მგგ-ს მიღების თაობაზე. საჭიროა ამ პოზიციის კორექტირება „ქალაქმშენებლობითი გეგმის“ მიღების მიმართულებით.

ამასთან, ნონსენსია დედაქალაქისთვის, მცხეთისთვის თუ სხვა მუნიციპალიტეტებისთვის კარგი, არათუ ამოგლეჯით მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შექმნა, არამედ ერთიანი „ქალაქმშენებლობითი გეგმის“ შექმნის სურვილიც, თუ არ იარსებებს ქვეყნის განსახლების მოწყობილი სისტემა, ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცობრივი მოწყობის გეგმა, ორიენტირებული ადგილობრივი ქცევისთვის.

საქართველოს კანონით „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოში შემოღებულ იქნა სივრცითი მოწყობის სისტემა, რომელიც ერთ კომპონენტად მოიცავს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვას.

აღნიშნული კანონით განსაზღვრულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის დაგეგმვის ტიპები და იერარქია“ (მუხლი 10.), რომლის მიხედვითაც, „საქართველოში ხორციელდება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა: ა) ქვეყნის ტერიტორიისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიების სივრცითი მოწყობა, რომლის სახეობებია: ა.ა) ქვეყნის ტერიტორიის სივრცითი მოწყობა – ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემა; ა.ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიების სივრცითი მოწყობა – ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემები; ბ) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობა – მუნიციპა-

ლიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა; გ) დასახლებათა (ქალაქის, დაბის, სოფლის) ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა, რომლის სახეობებია: გ.ა) მიწათსარგებლობის დაგეგმვა – მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; გ.ბ) განაშენიანების დაგეგმვა – განაშენიანების რეგულირების გეგმა“.

ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვა არის მდგრადი განვითარების მეშვეობით ცხოვრების ხარისხის ამაღლების საშუალება. ის იძლევა შესაძლებლობას, რომ შეთანხმებულ იქნას საბაზრო და დაგეგმვის მექანიზმები სასურველი ეკონომიკური, ტერიტორიული, სოციალური და ბუნების დაცვითი მიზნების მიღწევის პირობებში.

ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვა სახელმწიფოებრივი ფუნქციაა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვა ქვეყნის მასშტაბითა და ტერიტორიულ ერთეულებში, როგორც წესი 15-20 წლით და მეტით. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოამზადოს სამართლებრივი ბაზა და დახმარება გაუწიოს მის განხორციელებას ადგილებზე. საქართველოსთვის, ისევე როგორც გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის საერთოდ, უნდა განხორციელდეს დარგობრივი მართვის სისტემის რეგიონული მართვის სისტემით ჩანაცვლება.

ქვეყნის მასშტაბით შემუშავებული ტერიტორიულ-სივრცობრივი განვითარების გეგმებიდან გამომდინარეობს ქვედა დონის (ქალაქების, მუნიციპალიტეტების) გეგმები. აქცენტი, როგორც წესი, კეთდება მიწათსარგებლობის რეგულირებაზე და სისტემურ მიდგომაზე, დაბალანსებულ, კოორდინირებულ და ინტეგრირებულ სექტორალურ განვითარებაზე. ეს არ არის მხოლოდ მიწათსარგებლობის უბრალო მართვა. მოცემულ ტერიტორიაზე უნდა შექმნას ისეთი მიწათსარგებლობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვის ნარმატივა დამოკიდებულია შემუშავებული გეგმის ხარისხზე, მმართველობის ხარისხზე, ხელისუფლების პოლიტიკასა და პოლიტიკურ ნებაზე, კადრებზე.

აქ ისეთი შემთხვევაა, რომ თევზის თავს ვერ ვაგნებთ.

ფაქტი ერთია, რომ საქართველოს მთავრობამ არც ღარიბაშვილის დროს და არც კვირიკაშვილის დროს არ შეასრულა კანონის მოთხოვნა საქართველოს სივრცითი მოწყობის თაობაზე. მათ არაფერი არ გააკეთეს ამ მიმართულებით, გარდა იმისა რომ შექმნეს სამთავრობო კომისია და ამ კომისიაში ღარიბაშვილის „უნესკო ნასვლის“ შემდეგ ის ჩანაცვლეს კვირიკაშვილით.

ეს ამბავი დოკუმენტურად შეგიძლიათ იხილოთ:

საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ (მთავრობის დადგენილება №89 09.03.2015)

„საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2015 წლის 9 მარტის №89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ხელისუფლება არ ახდენს საქართველოს მთელი ტერიტორიის მონესრიგებას და თბილისში ეს მიზეზთა გამო მწვავედ იჩენს თავს.

ამ სფეროში მოქმედი საქართველოს კანონი „სივრცითი მონყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მხოლოდ პრინციპების დონეზე განსაზღვრავს საკითხებს. საჭიროა სრულფასოვანი კანონმდებლობა.

**უკვე მეორე წელია საქართველოს პარლამენტში დევს 2016 წლის 24 ნოემბერს წარდგენილი კანონპროექტი - „საქართველოს სივრცითი მონყობისა და მშენებლობის კოდექსი“, რომლის მიღება გამოგონილი მიზეზებით იჭიმება.**

საკმარისია ამ კანონპროექტის გაცნობა, რომლის მსგავსი კანონი ყველა ცივილიზებულ ქვეყანას გააჩნია, რომ გამოჩნდეს ის სავალალო მდგომარეობა, რაც საქართველოშია მასში ასახული ნორმების დაუკანონებლობის გამო. ბუნებრივია ქალაქი, რაც არ უნდა დიდი იყოს ის და რაც არ უნდა დიდი წილი და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, როგორც მაგალითად თბილისს საქართველოსთვის, ის მაინც იქნება მთელის - ქვეყნის ნაწილი და მისი სივრცობრივ-ტერიტორიული მონყობა დამოკიდებული იქნება მთელი ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცობრივ მონყობაზე. ყველა სხვა ცდა და ქვეყნის სივრცობრივ-ტერიტორიული მონყობის გარეშე ქალაქების, მინიციპალიტეტების ტერიტორიულ-სივრცობითი მონყობა მეცნიერული თვალსაზრისით სრულფასოვნად შეუძლებელია.

**საქართველოში ტერიტორიულ-სივრცობრივ მონყობას თითქოს გაუმართლა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით, განსაკუთრებით პრემიერად გიორგი კვირიკაშვილის შემდეგ, როდესაც მან „ქართული ოცნების“ საქართველოს მრავალ ათეულ პუნტიანი განვითარების პროგრამა ოთხ პუნქტზე დაიყვანა და ამ ოთხი პუნქტს შორის დატოვა ქვეყნის სივრცითი მონყობის ამოცანა.**

**ცენტრალური ხელისუფლება ამ მოთხოვნას არ ასრულებს!**

ეს საკითხი ძალიან ჰგავს მიწის საკითხს. აქაც მიღებულია ფრაგმენტული კანონები. ქვეყანას დღემდე არ აქვს „მიწის კოდექსი“.

აი სად არიან „შეთქმულების“ გენერლები, თუმცა მართალია თევზი თავიდან კი ყარს, მაგრამ შემდეგ სხეულის სხვა ნაწილებზეც ხომ ვრცელდება? ამ შეთქმულებაში მონაწილეები საბოლოო ჯამში ერთვება მთელი მოსახლეობა. ეხლა და აქ უბრალოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულება“ ვერ ეტევა თბილისის ფარგლებში.

ქალაქთმშენებლობისა და მიწის ფუნდამენტური კანონების არ არსებობა წარმოადგენს მისი სივრცობრივ-ტერიტორიული მოუნყობლობის მიზეზს.

ეს არ არის მარტო დღევანდელი ხელისუფლების დამახასიათებელი ნიშანი. უბრალოდ გასაოცარია როგორ ჰგავს დროსა და სივრცეში დაშორებულ ხელისუფალთა ქცევა ერთმანეთს, როგორ ერთტიპიურია ისინი.

2004-2007 წლებში მიღებულ იქნა ცალკე პარლამენტის დადგენილებები საქართველოს კანონის „საქართველოს სამშენებლო კოდექსის“ 2008 წლისთვის მომზადების უზრუნველყოფის მიზნით. მხოლოდ 2014 წლის ნოემბერში შევიდა პარლამენტში „სამშენებლო კოდექსის“ კანონპროექტი. შემდეგ გაგრძელდა ამ კანონის ირგვლივ „ჭირთა ბადის“ ქსოვა და უკვე 2016 წლიდან მის ბედს იზიარებს, როგორც ითქვა ახალი კანონპროექტი სახელწოდებით - „საქართველოს სივრცითი მონყობისა და მშენებლობის კოდექსი „

კანონპროექტი მაინც მოქმედებს მოვლენებზე. ის მთავრობის მიერაა შეტანილი პარლამენტში და იქ მოცემული დებულებები გარკვეულ მოლოდინს ქმნის.

კანონპროექტი არ იცნობს „მინათსარგებლობის გენერალური გეგმის „ცნებას, აქ ის შეცვლილია ცნებით - „მინათსარგებლობის გეგმა“. ეს საკითხი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ უკვე ის და იმ სათაურით რის მიღებაზეცაა კამათი (ანუ მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“ და რის მიღებასაც საარჩევნო პროგრამით კახი კალაძე დაგვირდა არ შეესაბამება მთავრობის მიერ მოწონებულ (რომლის ვიცე პრემიერიც თვითონ იყო მაშინ) ვერსიას!

თუმცა ცხოვრება ვერ გაჩერდება და ადგილი აქვს ურბანული და სასოფლო სივრცეების სტიქიურ კერძო წარმოდგენებითა და ინტერესებით, საბაზრო მექანიზმებზე სრული დამოკიდებულებით, სტიქიურ განვითარებას.

ამან მიიყვანა თბილისი ურბანულ კრიზისამდე. ეს პროცესი ნელ ნელა გადადის სხვა ქალაქებშიც. პოსტაბჭოთა კრიზისი გადადის თბილისის ახალ კრიზისში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქალაქის დეინდუსტრიალიზაცია, სამუშაო ადგილების შემცირება, ქალაქიდან მოსახლეობის ემიგრაცია და სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაცია. ამას დამატა ახალი კრიზისი- მკვეთრი არათანასწორობა, სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულების ზრდა, ქალაქის მოსახლეობის „შეცვლა“, მიგრაცია აფრიკის და აზიის ქვეყნებიდან, უპატრონო ბავშვები, ქალაქის ინფრასტრუქტურის დაძველება და სხვა. ამას ემატება სტიქიური განაშენიანება, ძველი ტრანსპორტით გადაჭედვა და აერის გაჭუჭყიანება, საცობები...

**თბილისის, როგორც ქალაქის კრიზისი 25 წელია გრძელდება და ღრმავდება.**

**თბილისის განვითარების სტრატეგია და კრიზისის დაძლევის გეგმა არ არსებობს.**

როგორც ზემოთ ითქვა ქალაქის პოლიტიკას გულგრილად ეკიდება ცენტრალური ხელისუფლება და არ იღებს შესაბამის კანონს. უნესრიგობა მიწისა და ქალაქის ქონების ნაწილში აწყობს პირველ რიგში ხელისუფლებას.

## **6. გამოსავალი: არსტანდარტულ სიტუაციაში - არასტანდარტული მოქმედება!**

**კახი კალაძე ცაიტიტოშია.**

ის იგივე მდგომარეობაშია, როგორშიც იყო დავით ნარმანია 2014-ში.

მისი უპირატესობა ნარმანიას გამოცდილებაა. როგორ მოიქცეა ნარმანია? ის სიტუაციას მოერგო, შეეგუა.

ის მთლიანად გახდა „ნაციონალების“ ქალაქმშენებლობითი საქმეების გამგრძელებელი. მან მემკვიდრეობით მიღებული 2009 წლის „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“ ხელმეორედ დაამტკიცა სახელწოდებით „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა“, კანონმდებლობის მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის დასამყარებლად. საქმით კი გაგრძელდა ის, რაც კეთდებოდა სააკაშვილისა და ყველა წინა ხელისუფლების დროს, გარდა განაშენიანების ინტენსივობის K2-კოეფიციენტის გაზრდის შეჩერებისა, ზოგიერთ რაიონში.

ნარმანიამ აღიარა, რომ მან ვერაფერი ვერ მოახერხა იმ ვალდებულებებთან და გაცემულ ნებართვებთან რაც მანამდე დახვდა. „წინა ხელისუფლების დროს გაცემული სამშენებლო ნებართვების შეჩერება შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს დეველოპერებისთვის ბიუჯეტიდან ზიანი უნდა აენაზღაურებინა.“<sup>1</sup>

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს თბილისის კრიზისის დაძლევის გზად მგ იყო მიჩნეული. ამან არ გაამართლა უკვე მითითებული მიზეზების გამო.

**რას იზამს კალაძე?**

გაიმეორებს იგივეს და მოახდენს მისი იმიჯის გაწმენდას?!

ანუ გახდება იმის ტყვე რაც დაუტოვა ნარმანიამ და „სითი ინსტიტუტი თბილისის“ მასალებიდანაც ჩანს, რომ პოზიტიური ქალაქ ცოტა აქვს. ფაქტობრივად ქალაქი გაკოტრებულია - რომ არა ცენტრალური ბიუჯეტის სუბსიდიები, საკუთარი შემოსავლებით ქალაქს მისი ვალდებულებების, მისი ექსკლუზიური ფუნქციებს განხორციელება არ შეუძლია.

**რას უდრის სამშენებლო ნებართვების ჯამი? რას უდრის ცენტრალური ხელისუფლების მიერ საინვესტიციო პირობებით გაცემული ტერიტორიები? რა ინტერესები დევს „სითი ინსტიტუტ თბილისის“ მომზადებულ რუკებში? როგორი იქნება სოლოკრატიული სისტემის შიგნიდან თხოვნები?**

მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის ნახვის შემდეგ (პირველი კახი კალაძემ ის უნდა ჰქნას, რო ეს პროექტი გაასაჯაროოს), შეგვეძლება თქმა: ის მისაღებია, თუ არა. თუმცა, მარტო მისი მიღება, როგორც ითქვა საკითხს არ წყვეტს. იყო 2009 წლიდან მგ მაგრამ არც ერთი კრიზისი თბილისში არ დაძლეულა. ახალი დაკვეთაც ხომ ამ 2009 წლის მგ განახლებაა?

**შეძლებს კალაძე სტიქიური განაშენიანების შეჩერებას?**

**შეძლებს კალაძე გაფუჭებულის სტატუსს კვოს შენარჩუნებას, თუ კიდევ დაუშვებს მდგომარეობის გაუარესებას?**

1 <http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/4601-48-ver-vityvi-rom-raghac-ukheshi-an-gamoustsorebeli-shecdoma-davushvi-aseti-ar-mqonia.html>

ნარმანია გახდა ყოველდღიურობის ტყვე. რუტინამ დაამარცხა.

კალაძე შეეგუება მდგომარეობას ნარმანიასავით, თუ გაუნწევს წინააღმდეგობას.

**ნარმატებისთვის კალაძემ სწრაფად უნდა გადაწყვიტოს „სითი ინსტიტუტი თბილისის“ საკითხი. ის უნდა გადაიყვანოს მეორეხარისხოვან საკითხებში და ჩააბაროს შესაბამის სტრუქტურას შესაბამისი ინსტიტუტით. თბილისის მგ-ს ჩასწორებული ვარიანტი გასაჯაროვდეს, თუ გათვალისწინებულია შენიშვნები და თუ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით წაყენებულ მოთხოვნებს უნდა იქნას მიღებული ყოველგვარი, თუ არა და -არა. მის მიმართ დამოკიდებულება უნდა იყოს შეღავათების გარეშე.**

**ამავე დროს კალაძემ უნდა შეაჩეროს სტიქიური განაშენიანება!**

**არ უნდა დაუშვას გაფუჭების მასშტაბების ზრდა.**

მან უნდა შეისწავლოს (ბუნებრივია შესაბამისი სტრუქტურების ჩართვით) ყველა აღებული ვალდებულებების კანონიერება.

მას შეუძლია დროებითი ეფექტის მიღწევა მაშინაც კი, თუ უარყოფს ყველაფერს, რაც არ მოდის სოლოკრატიიდან და „პარტიული დაკვეთის“ გარეთ მოიქცევა მკაცრად, რაც ნარმანიამ ვერ შეძლო - ის ასრულებდა სოლოკრატიის დაკვეთასაც და ჩაეფლო გარემოში. კახი კალაძემ მოძლიერების შემდეგ ეს პრაქტიკაც უნდა გააუქმოს.

ნარმანიას რომ მარტო ივანიშვილის თხოვნები შეესრულებინა (ნებისმიერი ფორმის) და დანარჩენი ყველაფერი წესრიგში მოექცია. სიტუაცია მრავალჯერადად უკეთესად იქნებოდა.

და მთავარია **კახი კალაძემ გიორგი კვირიკაშვილთან და ირაკლი კობახიძესთან ერთად მოილაპარაკონ და გადაწყვიტონ „საქართველოს სივრცითი მონყოლისა და მშენებლობის კოდექსისა“ და „მინის კოდექსის“ მიღებისა და პარალელურ რეჟიმში ქვეყნის სივრცობრივი მონყოლისა და თბილისის ქალაქთმშენებლობის გეგმის მიღების საკითხები.**

თუ როგორი უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯები, ამის შესახებ მას შემდეგ რაც გავეცნობით მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განხლებულ ვერსიას.

**ფაქტი ერთია: პოლიტიკურად კახი კალაძის კრახი გარდაუვალია თუ ის ნარმანიას შექმნილ საძირკველზე დადგება!**

ყველაფერი დავწერე უფრო დიდი სურვილით, ვიდრე მოლოდინით, რომ კახი კალაძე, თბილისის ახალი მთავრობა, ახლადარჩეული საკრებულო გაითვალისწინებს ნათქვამს“.

**თ. ბამოსავალის კიეზა**

2017 წლის 13 ნოემბერს კახი კალაძეს გაეგზავნა კოლექტიური ღია წერილი<sup>1</sup> თბილისის მინათსარგებლობის გენგემის შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

ბ-ნო კახა, უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ 2017 წლის 21 ოქტომბერს ქ. თბილისის მერად არჩევას და გისურვებთ, თქვენი წინასაარჩევნო პროგრამის ნარმატივებით განხორციელებას.

პროგრამაში ერთ-ერთი უმთავრეს საკითხად, სამართლიანად გქონდათ გამოყოფილი ქ. თბილისის მინათმონყობის გენერალური გეგმა.

ამასთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო პროგრამაში ნათქვამია, რომ „მერია საბოლოოდ დაამუშავებს და დაამტკიცებს თბილისის მინათმონყობის გენერალურ გეგმას, რომელიც შეასრულებს თბილისის ურბანული განვითარების ქვაკუთხედის ფუნქციას. გენერალური გეგმა იქნება სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული, წლებზე გათვლილი ქალაქის „კონსტიტუცია“. გენერალური გეგმა შექმნის ქალაქმშენებლობისა და ურბანული განვითარების ახალ პარადიგმას, რომელიც იქნება არა მხოლოდ დედაქალაქის განვითარების ახლებური ხედვა, არამედ გახდება მაგალითი საქარ-თველოს სხვა, დიდი ქალაქების განვითარების კონცეფციებისთვის.“

თქვენ მემკვიდრეობით გერგოთ ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებული უამრავი გადანყვეტილება, რომლებიც, მათი ავკარგიანობის მიუხედავად, თქვენგან დამოუკიდებლად განხორციელდება. ისე აღმოჩნდით „დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის“ (მგგ) განახლების ჩახლართულ ისტორიაში ჩართული, რომ ყველა დასმულ კითხვასა და კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემა თქვენ მოგიწევთ. ამასთან, ყველა ხილული თუ უხილავი მანქანა იმუშავებს/უკვე მუშაობს იმისთვის, რომ თქვენ ვერც მოახერხოთ ამ ისტორიებში გარკვევა და გახდეთ თბილისის-ის, როგორც ქალაქის, დეგრადაციის მონაწილე, მსგავსად თქვენი წინამორბედებისა.

პირველი ასეთი მახე თქვენ დაგიგეს წინასაარჩევნო პროგრამის ზემოთ მოტანილი ტექსტის შემოთავაზების დროს. როდესაც თქვენ მინათსარგებლობის გეგმის მიღების პერსპექტივაზე საუბრობდით, მაშინ დედაქალაქის მინათსარგებლობის გეგმის მიღება უკვე დაანონსებული ჰქონდა მერიის ხელმძღვანელობას. თუმცა, მგგ-ს პროექტის მიღება წარმოდგენილი სახით, შეუძლებელი აღმოჩნდა ქართველი ექსპერტების მიერ მისი ნეგატიურად შეფასებისა და კრიტიკის გამო. ახლა ყველა, ვინც მილიონები დახარჯა მგგ-ს პროექტის შედგენაზე (უშუალოდ სამუშაოების ღირებულება 2,8 მლნ. ლარია. გარდა ამისა, დიდა თანმდევი ხარჯებიც), ცდილობს, რომ ეს გეგმა თქვენ მიიღოთ,

**1 13.11.2017.- „ღია წერილი ქ.თბილისის მერს ბ-ნ კახა კალაძეს თბილისის მინათსარგებლობის გენგემის შესახებ“ წყარო: <https://www.facebook.com/http://fact2.ge/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98/>**

თანაც, შემჭიდროებულ ვადებში. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მგგ-ს პროექტის საბოლოო ვარიანტი 13 ნოემბერს წარედგინება მერიის შესაბამის სამსახურს, ხოლო 22 ნოემბერი კი, ბოლო ვადაა, როცა არქიტექტურის სამსახურმა ან უნდა გააფორმოს საბოლოოდ მიღება-ჩაბარების აქტი და წარუდგინოს დოკუმენტი დასამტკიცებლად საკრებულოს, ან შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მგგ-ის შემდგენელი კომპანია.

მგგ განხილვის საგანია, თუმცა იმ სახით, რა სახითაც დღემდე წარმოდგენილი, მისი მიღება გაქცევთ სიტუაციის ტყვედ, ხოლო თბილისის ნორმალური ქალაქის მომავალს დაუკარგავს, საუკეთესო შემთხვევაში კი – ის იქნება მკვდრადშობილი დოკუმენტი. ვფიქრობთ, გრძნობთ აღნიშნული სიტუაციის სიმძიმეს. ამის ნიშანია თქვენ მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ გადანყვეტილება, შეხვედრები სპეციალისტებთან.

მივესალმებით თქვენს ასეთ მიდგომას საკითხისადმი და გვინდა, მოგახსენოთ ჩვენი პოზიცია კითხვაზე: რა ვქნათ? – პასუხის გასაცემად.

მთელი რიგი ქართველი სპეციალისტები, სხვადასხვა სამთავრობო თუ სამოქალაქო ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტები თანხმდებიან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არც მინათსარგებლობის გენერალური გეგმაა და არც განაშენიანების დეტალური მაკონტროლებელი რეგულაცია. ის არ გვთავაზობს სივრცითი მონყობის სტრატეგიის ნათელ ხედვას, რომელიც შეიძლება, დამტკიცდეს თბილისისთვის. დოკუმენტი არ არის საკმარისად დეტალური, რომ გამოიყენებოდეს მინის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვების გასაცემად. ამასთან, გვხდება როგორც მნიშვნელოვანი შეცდომები, ასევე, ნაკლოვანებები კონცეფციისა და მისი იმპლემენტაციის კუთხით, რაც სერიოზულ პრობლემებს შექმნის მისი განხორციელების შემთხვევაში.

დოკუმენტი არ ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკას და შეიძლება ჩაითვალოს, რომ არ არის თანხვედრაში „იუნესკოსა“ თუ „გაეროს“ ჰაბიტატის სახელმძღვანელო პრინციპებთან. რაც მთავარია, ის უსპობს თბილისს – საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ცენტრს, განვითარებისა და ქვეყნის თუ რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის პერსპექტივებს. ის არ აუმჯობესებს თბილისელთა ცხოვრებას და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, საფრთხეს უქმნის თბილისს, როგორც უძველეს ქალაქსა და მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ სიმბოლოსა და მონაპოვარს.

მასალების ანალიზით კარგად ჩანს, რომ აშკარაა, ერთხელ ჩადენილის – განმეორების მცდელობა. კერძოდ, თბილისის შეატყუონ ძველი გენგემებიდან (რომლებიც მოძველებულია და ვერ ასახავს დღევანდელ რეალობას) გადმოკ-ობირებული ანალიტიკური მასალით შეზავებული დოკუმენტი, რომლის მიზანია, შეცვალოს ქალაქის ფუნქციონალური ზონები კონკრეტული ჯგუფების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, რაც კარგად

შენიღებულ ჯგუფურ, პარტიულ და კორუფციული მომენტების არსებობასაც არ გამოორიცხავს. უკეთეს შემთხვევაში, ეს დოკუმენტი კვლავ წარმოადგენს 2009 წლის გენგეგმის კორექტირებულ ვარიანტს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი გადმოწერილია 2005 წლის გენგეგმის მასალებიდან და ასე შემდეგ. დღეს კი 2017 წელია და ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში, რეგიონში, საქართველოში და თანამედროვე მოთხოვნები სულ სხვა რეალობის გათვალისწინებას საჭიროებს.

ჩვენი პრინციპული პოზიციაა, რომ მგგ-ის დამტკიცება იმპლემენტაციის მიზნით დაუშვებელია. ის შეიძლება მიიღოს, როგორც საცნობარო დოკუმენტი, როგორც – „იდეების ყუთი“ და არა ქალაქის განვითარებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი და პროფესიულ დონეზე მომზადებული სახელმძღვანელო.

დარწმუნებულები ვართ, რომ ასეთი ფორმით მგგ-ის მიღება ეწინააღმდეგება თქვენ მიერ დაანონსებულ თბილისის განვითარების ახალი და თანამედროვე გენგეგმის შექმნას და თქვენ სრულად გამოიყენებთ თქვენს მანდატსა და პოლიტიკურ ავტორიტეტს ამ პროცესის მართებულად წარმართვისთვის.

**გამოსავალი საჯაროობაში!**

რადგანაც შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს, თქვენს ყურადღებას მივაქცევთ, თუნდაც თბილისის მუნიციპალიტეტის თხოვნით, აზიის განვითარების ბანკის მიერ დაქირავებული, პარიზში დაფუძნებული კომპანიის, Institut d'aménagement et d'urbanisme d'Ile-de-France-ის, ექსპერტის – ბატონ ერიკ ჰიუბრესტის მიერ მომზადებულ დასკვნას „თბილისის განახლებული მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შეფასებისადმი“. გასაჯაროეთ აღნიშნული ექსპერტული დასკვნა, მოუსმინეთ ადგილობრივ სპეციალისტებს (რომელთა კრიტიკული შენიშვნები სრულად ემთხვევა საერთაშორისო ექსპერტის შენიშვნებსა და წინადადებებს). აქვე იმასაც დავძენთ, რასაც არც მგგ-ის შემქმნელი კომპანია უარყოფს, რომ გგმ-ის შემოთავაზებული პროექტი არ ეყრდნობა არცერთ კვლევას.

მოგინოდებთ, გაუკეთეთ ორგანიზება დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის (რეალური) შექმნის საჯარო და ღია პროცესს, დაინტერესებული მხარეებისა და თბილისის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით.

ჩვენ ჩვენის მხრივ, მზად ვართ ჩავერთოთ ამ პროცესში და მაქსიმალურად დავიხარჯოთ თბილისის სტრატეგიული განვითარებისთვის საჭირო დოკუმენტის შესამუშავებლად“.

**ი. კვლავ ინფორმაციული რაკეტაობა**

გენგეგმის მიღება-ჩაბარების გამოცხადებული ვადა გავიდა ისე, რომ საზოგადოებას ამ პროცესთან დაკავშირებით არავითარი ინფორმაცია არ მიუღია. მიიღეს-არ მიიღეს და თუ არ მიიღეს რატომ და ა.შ.

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის საიტზე დევს „თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული მასალები“ 20.11.2017<sup>1</sup> და

1 <http://tas.ge/?p=content&type=3&news=81404>

9.12.2017<sup>2</sup> რიცხვებით.

ეს მასალები აკადემიური თვალსაზრისით გაუმჯობესებულია, მასში მოცემულია ახალი მასალები, გათვალისწინებულია ზოგიერთი შენიშვნა, მაგრამ თვისობრივი განახლება მასში მოცემული არაა.

მათი ამ ფორმით არც მიღება და არც მიუღებლობა თბილისის მინათსარგებლობისა და საერთოთ ქალაქმშენებლობის საკითხებს არ წყვეტს.

საკითხის გადაუწყვეტლობა კი იმ ძალების ინტერესებშია, ვისაც სურს, რომ სტატუს-ქვო იქნას შენარჩუნებული. ყოველდღიურად მოსახლეობის მიერ დასმული და უპასუხოდ დატოვებული ქალაქმშენებლობის სხვადასხვა საკითხები ერთ მშვენიერ დღეს ისეთი კუმულირებული, დაგროვილი ენერჯით „შეუტევს“ მერიას, რომ შეიძლება საერთოდ არაორდინალური ღონისძიებების გატარება გახდეს საჭირო.

ამიტომ დრო არ ითმენს. ეხლა არსებული გენგეგმის „გადარჩენაზე“ ფიქრი დროის ფუჭი კარგვაა.

საჭიროა, როგორც ითქვა, ზეაქტუალური პრობლემების გამოყოფა და მათი პროგრამული გადაჭრა სრულყოფილი საკანონმდებლობისა და ქალაქმშენებლობის გეგმის შექმნის პარარელურად.

ქვეყნის სივრცობრივ-ტერიტორიული მოწყობა აუცილებელი წინაპირობაა ცალკეული მუნიციპალიტეტების სივრცობრივ-ტერიტორიული მოწყობისათვის და ქალაქმშენებლობის სწორი დაგეგმვისათვის.

ეს კანონზომიერია არა მარტო თბილისისათვის, არამედ ნებისმიერი დასახლებისათვის.<sup>3</sup>

რას აპირებს მერია ჯერ უცნობია. პროცესების მოსალოდნელი განვითარების შესახებ მხოლოდ ვარაუდია შესაძლებელი.

ასე, რომ თბილისის გენგეგმის ქრონიკა გრძელდება.

**რეზიუმე**

მოცემულია ქრონიკა თბილისში ქალაქმშენებლობის გენერალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. ნაჩვენებია ამ პროცესში წესრიგის პრობლემა.

საკვანძო სიტყვები: **თბილისი, მინათსარგებლობის გეგმა.**

**THE URBAN CRISIS OF TBILISI IS REFLECTED IN THE CHRONICLES OF “GENERAL PLAN”**

**Mikheil Jibuti**

Doctor of Economic Sciences, Professor

**RESUME**

There is a chronicle about the development of urban planning in Tbilisi. The problem of ordering in this process is shown.

Key Words: Tbilisi, land use plan.

2 <http://tas.ge/?p=content&type=3&news=82401>

3 ამის შესახებ იხ.მიხეილ ჯიბუტი სტუმრად ბონდო მძინარაშვილთან. 13.12.2017. ობიექტივი TV, <http://www.obieqtivi.net/tv.php?id=33982>

# სუსპენზიური ეფექტი ადმინისტრაციულ სამართალში

**სუსპენზიური ეფექტი** - ასე ეწოდება ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის მოქმედების დროებით შეჩერებას. მისი განხორციელება დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოსთვის საჩივრითა და სამართლო ორგანოსთვის სარჩელით მიმართვასთან. აღნიშნულ ღონისძიებაზე მიუთითებს სზაკ<sup>1</sup>-ის 184-ე და სასკ<sup>2</sup>-ის 29-ე მუხლები.

ადმინისტრაციული სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის უფლებების ფაქტობრივი რეალიზაციის სრულყოფა, ადმინისტრაციული სამართალში ჩვენ ვხვდებით როგორც უფლების დაცვის რეპრესიულ, ასევე უფლების დაცვის პრევენციულ საშუალებებს. აღნიშნული რეგულაცია მაქსიმალურად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნას და ამავდროულად დადგენილ კონსტიტუციურ გარანტიებს.

იმისთვის, რომ სუსპენზიური ეფექტი გამოყენებულ იქნას აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის არსებობა, ამიტომაც, მისი გამოყენება შესაძლებელია შეცილებითი და აღიარებითი მოთხოვნის დროს (ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების ან არარად აღიარების მოთხოვნა).

თუ პარალელს გავავლებთ, ადმინისტრაციული საჩივრის შედგენისთვის განკუთვნილ მოთხოვნებს იმ ვალდებულებებთან, რაც გააჩნია მოსარჩელეს სამოქალაქო სამართლებრივ დავაზე სარჩელის შედგენისას, დავინახავთ შინაარსის სრულ მსგავსებას<sup>3</sup>. თუ შევადარებთ სზაკ-ის მიერ საჩივრის განმხილველი ორგანოსთვის დადგენილ მოქმედებებს, შევნიშნავთ მის თვალსაჩინო მსგავსებას

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასთან. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო, სასამართლოს მსგავსად, დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას თავისი უფლებები დაიცვას უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით, წარმოადგინოს მტკიცებულებები, საშუალება მისცეს გამოთქვას თავისი მოსაზრება. თუ სამოქალაქო სამართლო პროცესი მიმდინარეობს მხარეთა დისპოზიციური<sup>4</sup> უფლებებისა და შეჯიბრებითობის ფონზე,

1 სზაკ - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

2 სასკ - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

3 ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება [ავტ. მ. ტივიშვილი] ალმანახი, 17 (I) 2001, გვ. 73.

4 დისპოზიციურობის პრინციპი - ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.



**ციალა მელაძე,**  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის  
სამართლისა და საერთაშორისო  
ურთიერთობის ფაკულტეტის  
მე-2 კურსის მაგისტრანტი

ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებები მკაცრად რეგლამენტირებულ ფარგლებში ექცევა და საჩივრის განმხილველ ორგანოს ავალდებულებს იმოქმედოს მხოლოდ წინასწარი განსაზღვრული წესით.

ადმინისტრაციული წარმოება განსაკუთრებულია იმით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ალბულო მალალი პასუხისმგებლობა საქმის სრულფასოვნად გამოკვლევისთვის ადმინისტრაციული წარმოებისას, რაზეც მეტყველებს სზაკ-ის 96-ე და 97-ე მუხლები. მას აქვს ვალდებულება ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამის შემდეგ გადაწყვეტილება მიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. იმისათვის რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიკვლიოს მტკიცებულებები, ამისთვის მას აქვს მთელი რიგი უფლებამოსილებები, კერძოდ: გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს და ა.შ. შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს არაერთი კანონისმიერი ბერკეტი იმისთვის რომ საქმე სრულყოფილად იქნას გამოკვლეული, ხოლო სამოქალაქო პროცესისას მხარეებს და არა სასამართლოს, ევალება წარმოადგინოს მტკიცებულებები და დაიცვან საკუთარი უფლებები. ადმინისტრაციული წარმოება არ ემყარება მხოლოდ დაინტერესებული პირის ხელთ არსებულ მტკიცებულებებს. ადმინისტრაციული ორგანო აცნობიერებს რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს საკმაოდ გააზრებულ კანონისმიერ ნაბიჯებს.

ამასთან სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემული უფლების წინასწარი დაცვის საშუალება -

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და არა სასამართლოს ინიციატივით, ხოლო ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებას (სუსპენზიურ ეფექტს) მხარის შუამდგომლობის გარეშე, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე სასამართლოში.

ეს ყოველივე მეტყველებს ადმინისტრაციული სამართალში უფლების დაცვის საშუალებათა მაღალ ხარისხზე. თუმცა, ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განსხვავებულ მიდგომას აწესებს ნორმატიული ადმინისტრაციულ აქტთან მიმართებით, ის არ უშვებს ავტომატურ შეჩერებას ადმინისტრაციული აქტის, ვინაიდან გათვალისწინებული აქვს მისი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დატვირთვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 თებერვლის 13გ/ად-71 კ-ს-01-ი განჩინება, რომლითაც განიმარტა რომ ნორმატიული აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს და შესაბამისად, მისი სოციალური დატვირთვაც უფრო დიდია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის სახით ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას ნათელი უნდა იყოს ამ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ეჭვი ნორმატიული აქტის კანონიერების თაობაზე ან უზრუნველყოფის გამოუყენებლობა არსებით ზიანს უნდა აყენებდეს მხარეს ან შეუძლებელს ხდიდეს მისი კანონიერი უფლებების დაცვას ან გადაწყვეტილების აღსრულებას<sup>1</sup>.

**„ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ“** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონის 80 აბს. 1 თანახმად: საჩივარს და შეცილებით სარჩელს აქვს სუსპენზიური ეფექტი. აღნიშნული მოქმედება აგრეთვე სამართლებრივი ურთიერთობის შემცველ და აღიარებით აქტებთან მიმართებით, ასევე იმ აქტების დროს, რომელთაც აქვთ ორმაგი ზემოქმედების ეფექტი“ (ადმინისტრაციული აქტი ერთი პირისთვის აღმჭურველია, მეორისთვის შემზღუდველი). განსხვავებით ქართული მოდელისგან, გერმანული კანონმდებლობით ერთადაა მოწესრიგებული დროებითი ქმედება ადმინისტრაციული საჩივრის დროს და ადმინისტრაციული სარჩელის დროს. მსგავსი სისტემა გასაგებია ვინაიდან, გერმანული კანონმდებლობა წინასწარ წარმოებს, ანუ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ეტაპს პროცესუალურ საკითხად მიიჩნევს და აწესრიგებს „ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის“ შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონით, განსხვავებით საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსისაგან, სადაც წესრიგდება ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტი<sup>2</sup>.

აღსანიშნავია რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლი და საქართველოს ადმინისტრაციული პროცესის 29-ე მუხლი სისტემურად მსგავსია. კერძოდ პირველ ნაწილში მითითებულია, რომ ადმინისტრაციული საჩივარი და ადმინისტრაციული სარჩელი აჩერებს სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას. თუმცა, ადმინისტრაციული საჩივრის მიღების დროს, სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებისთვის აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ხოლო სასამართლოში სარჩელის მიღება ავტომატურად აჩერებს ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას.

ამასთან 184-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 29-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია ის შემთხვევები, როდესაც სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედება არ შეჩერდება. ძირითადად, თითოეული მათგანი განპირობებულია მაღალი საჯარო ინტერესით. ამ დროს შეიძლება ითქვას რომ სახეზეა კონფლიქტი აღსრულების ინტერესსა (ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესი ან კერძო ინტერესი) და აღსრულების გადადების ინტერესს (კერძო ინტერესი) შორის. თუმცა, ადმინისტრაციული ორგანო არ აძლევს დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მოითხოვოს იმ სადავო ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რომელსაც საგამონაკლისოდ არ აჩერებს იგი.

ხოლო, სასამართლოს შეუძლია მხარის მოთხოვნით იმსჯელოს მსგავსი (ადმინისტრაციული აქტები, რომელთაც ავტომატურად მოქმედება არ უჩერდებათ სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით) ადმინისტრაციული აქტის მოქმედების გაგრძელების თაობაზე. სასამართლოს შეუძლია მხარის მოთხოვნით გააგრძელოს იმ აქტის მოქმედება რომელის ავტომატურად ჩერდება სასამართლოში სარჩელის წარდგენისას. კანონმდებლობა მხარეს აძლევს საშუალებას წარადგინონ შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებულ პირებს არ ალჭურავს იმ უფლებებით რაც სასამართლო მხარეებს, აქედან გამომდინარე სასამართლოს გააჩნია მეტი უფლებამოსილება იმისთვის რომ საკითხი ადმინისტრაციული აქტის მოქმედებასთან დაკავშირებით იქნას დეტალურად დარეგულირებული.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სასამართლო სტადიაზე განხორციელებულ სუსპენზიურ ეფექტზე, პრაქტიკული თვალსაზრისით, ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უზრუნველს პირს იმ სამა-

1 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, [ავტ. ვაჩაძე მ., თოდრია ი., და სხვ.] თბილისი, 2005. გვ. 172.

2 უფლების დაცვის წინასწარი საშუალებანი ადმინისტრაციულ სამართალში, [ბ. წიკლაური], სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 10-11.



რთლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. ამით სასამართლო პირს აძლევს შესაძლებლობას არსებული მდგომარეობის შენარჩუნების, რომლის მიზანიც არის პირის დაცვა მმართველობის ღონისძიებების შედეგებისგან დავის საგანზე ადმინისტრაციულ წარმოებაში თუ პროცესში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე<sup>1</sup>, გამოცემამდე. ამით სასამართლო პირს აძლევს შესაძლებლობას არსებული მდგომარეობის შენარჩუნების, რომლის მიზანიც არის პირის დაცვა მმართველობის ღონისძიებების

შედეგებისგან დავის საგანზე ადმინისტრაციულ წარმოებაში თუ პროცესში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თუ ჩვენ გადავხედავთ სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებს აშკარა გახდება რომ ადმინისტრაციული სამართალი მაქსიმალურად უწყობს ხელს დაინტერესებულ პირს დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები, ეს ყოველივე ასევე ასახვას პოულობს სუსპენზიური ეფექტის განხორციელებისას. იქიდან გამომდინარე რომ ადმინისტრაციულ სამართალში ჩვენ გვაქვს საჯარო ინტერესები კანონმდებელმა შეეცადა ყოველმხრივ დახვეწილი და გაააზრებული ყოფილიყო უფლების დაცვის წინასწარი საშუალებები, რათა სახელმწიფოს არ მოეხდინა თავისი ძალაუფლების ბოროტად დემონსტრირება.

<sup>1</sup> ნიკლაური ბ., უფლების დავის წინასწარი საშუალებანი ადმინისტრაციულ სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 15

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ტივიშვილი მ., ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება. ალმანახი, 17 (1) 2001.
2. ვაჩაძე მ., თოდრია ი., და სხვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2005.
3. ნიკლაური ბ., უფლების დავის წინასწარი საშუალებანი ადმინისტრაციულ სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, სამართლებრივი ჟურნალი, 2011.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის, თბილისი, 2010.

**THE FEATURES OF THE SUSPENSION EFFECT  
IN THE ADMINISTRATIVE JUDICIAL RIGHT**

**Tsiala Meladze**

**SUMMARY**

The suspension effect is realized at the utilization of the administrative complaint (action). On this indicate the 184 and 29 points of the code.

The suspension effects no may be realized without the presence of the administrative statement. If in the civil legal code is given the protection institution, which may be realized only on the base of the petition both in the administrative organ and in low-court. All this indicates on the high level protection of the rights in the administrative right.